# სამთავროს მაყვლოვანი

1854/2
2023
12



პერიოდული გამოცემა

**№19 (44).**

აპრილი. 2023 წელი

„ვითარცა მტევანმან კეთილმან,
შეჰკრიბე ქართველნი და
მიჰგუარე ღმერთსა მართალსა,
დედაო წმიდაო ნინო ...“

გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „სამთავროს მაყვლოვანის“ გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერმონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა; ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაყვლოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738
უკდ (UDC) 27 + 271.2
მ – 407

№ 19 (44)

მცხეთა. მირიან მეფის ქუჩა №3.
ელ-ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

„ჩემო პატრიარქო“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ქადაგება ... 6
მიტროპოლიტი სერგის წერილი ... 10
შეიცან თავი შენი ... 12

სამთავროს ისტორია

დედათა მონასტრის დაარსება სამთავროში ... 14
წმიდა ნინოს მაყვლოვანი ... 22

„ბერის დიადემა“

აღმსარებლობიდან სამთავრომდე ... 28
მოგონებები წმიდა გაბრიელ ბერზე ... 38

საქართველოს პატრიარქები

მოგონებები პატრიარქ ეფრემზე ... 44
წმიდა ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერები ... 50

„ოქროს წყარო“

ქრისტე ყველაფერია ... 56
საუბრები და წერილები ... 60
თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვარი, სქემიღუმენია ელეონორა ... 64

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

„მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“ ... 72

ქადაგება

წმიდა იუსტინე (პოპოვიჩი) ... 76

ლიტურგიკა

საეკლესიო კანონიკა პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით ... 83

მონასტრის ფოტომატიანე

სამონასტრო მორჩილება ... 88
მორჩილად კურთხევა ... 90

40178

სტილისტი: სალომე ზვიადაძე

სარედაქციო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მღვდელმონოზონი ილია (თვალიაშვილი),
მონოზონნი: სოსანა (კუპრეიშვილი), ნინო (სამხარაძე),
სერაფიმა (მეტრეველი),
იოანა (ნიშნიანიძე), მელანია (მამისაშვილი).

სამთავროს დედათა მონასტერი მადლობას უხდის და ლოცავს:
გამომცემლობა „შარავანდის“ ხელმძღვანელს,
ბატონ თამაზ შარიქაძეს;
სტამბა „ფავორიტი სტილის“ ხელმძღვანელს,
ბატონ ივანე თევდორაშვილს;
საპატრიარქოს არქივის დირექტორს, ქალბატონ მზია კაცაძეს;
დოკუმენტალისტებს: ქალბატონ ნინო ხოფერიას
და ბატონ ზვიად მიქელაძეს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



„განვებითა სამ-მნათობიერისა ღ(ვთ)ისა, და წამისყოფითა ყ(ოვლა)დ წმიდისა ღ(ვთ)ის-მშობელისათა, მე, უნდომან მონამან მისმან, მ(ღვდე)ლ მონაზონმა ილია, ივერიის მონასტრის ძმათაგანმა, შენდობითა სულიერისა მამისა ჩემისა, სქემონაზონი მაკარისა, დავასვენე წ(მიდ)ა ხატი ესე სახელ წოდებით სასწაული მოქმედი, დიდა ღ(ვთ)ისა ივერიის კარისა, და შევწირე მცხეთის სამთავრო ფერისცვალების, დედათა მონასტერსა, ვ(ითარც)ა მფარველად მიუცილებელად, სარწმუნოებითა და შიშითა ღ(ვთ)ისათა მკვიდრთა მის შ(ინ)ა. ვასრულებ ჩ(ემ)ი წრფელი გულით დაჰპირებულსა, სულიერისა ძმისა მ(ღვდე)ლ მონ. პავლე ჯაფარიძესა, რ(ომე)ლმან მაიძულა ამის სრულყოფად. ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ათ ღ(ვთ)ის-მშობელო, მწე და მფარველ გვეყავ. ამინ. ათონის მთა წ(მიდ)ა. ივერიის ქართველთა მონასტერი. 1912. ჩჟიბ. წელსა."

(წარწერა სამთავროს ივერიის ღვთისმშობლის ხატისა).





ქრისტე აღდგა!
„სად არის, სიკვდილო, საწერტელი შენი?“
ქრისტე აღდგა!
„სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (კორ. 15,55)

როგორც პავლე მოციქული ამბობს. ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის გაწირვა მართალთათვის, ქრისტემ კი თავი დადო ჩვენთვის, რომლებიც ვიყავით ურჯულონი, მტრები და მოწინააღმდეგეები მისთვის (შდრ. რომ. 5; 6–8).

— და რატომ ვიყავით მტრები და ურჯულონი?

— ღმერთი სიყვარული არის და ამ გრძნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სიწმინდეში, მოწყალებაში, სიხარულში...

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით დაცემამდე მთელი კოსმოსი, დედამიწა და მკვიდრნი მას შინა.

როდესაც გველის ცდუნებით ადამმა და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით შემოქმედსა და მისი მცნებებით ცხოვრებაზე თქვეს უარი. მადლდაკარგულებს ამპარტავნების ვნება დაეუფლათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა და საღვთო დიდებისათვის

განმზადებულმა თავი წარწყმედისათვის გაწირა.

— როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით?

— ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში მიდიოდა.

მამა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თავისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეუერთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცება.

იესო ქრისტემ ყოვლისმომცველი, მსხვერპლშეწირული სიყვარულის ძალით ბოროტების საკრველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მეუფება, მართალთა სულები გამოიხსნა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი გახსნა. ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ ცხონების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად. ამიტომაც წერია ფსალმუნში: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა,“ ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდათა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენითა და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მოწყალებით, წმინდათა შორის დაემკვიდრება, ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ლოცვაში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს: „წმინდათა თანა განუსვენე, ქრისტე, მონასა (ან მხევალსა) შენსა...“

სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

— თუ სიკვდილი განქარდა, რატომღა კვდებიან ადამიანები, რატომ დარჩა გარდაცვალება ყველასთვის აუცილებელ მოვლენად?

— სამოთხეში ადამს და ევას სხვაგვარი სხეული ჰქონდათ, შემდეგ კი ხრწნადობა შეიმოსეს და მოკვდავნი გახდნენ. აქედან მოყოლებული, ადამიანი ამ მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთობას წარმოადგენს, რომელთა განცალკევებაც სიკვდილისთანავე ხდება.

მართალთა სულები ქრისტეს აღდგომის შემდეგ უფლის წიაღს იმკვიდრებენ, ცოდვით დამძიმებულთა — კვლავ ბნელეთის ანგელოზთა დასს უერთდებიან, სხეული კი იხრწნება და უერთდება მიწას, რომლისგანაც შეიქმნა. როგორც მარცვალი ხნულში ითესება და იხრწნება, რათა აღდგეს უხრწნელებით, ასევე „ითესება სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი, ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებაში“ (კორ. 15. 44,45).

ეს მოხდება მეორედ მოსვლის ჟამს. ყოველი გარდაცვლილის სული (ცოდვილთა თუ მართალთა) შეიერთებს თავის უხრწნელ სხეულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სული და სულიერი სხეული მარადიული ნეტარებისათვის აღდგეს და არა მარადიული სატანჯველისა და გეენიისათვის.

— ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები იწყება მაშინ, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

— ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია.

თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გულიატკინე და სთხოვო პატიება — ეს შენი ვალდებულებაა; თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

— როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ თუ არა სხვას დანაშაული?

— პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი სათნოება გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს სიკეთით უპასუხებ.

— შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შევუნდოთ, მით უმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს. მაგრამ როგორ შევიყვაროთ მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

— ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოსთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, აუხსნა მას საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; თუ შედეგი ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე, ღვთის სადიდებლად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ „მტრის“ მხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით სწირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია.

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), — აღმსარებელ და სალოსი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ; ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ, ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც — დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

— გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

— მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ, მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათ წყლულებს.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

„ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე,“ — ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველთვის პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომ, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს, სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდოლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აწ გარდაცვლილი ნეკრესელი მიტროპოლიტი სერგის წერილი პატრიარქს

ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე უწმინდესისა და უნეტარესის დარიგებამ, როდესაც მოსკოვის სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. მაშინ მოძღვრის პრობლემა შემექმნა. მე ძალიან მინდოდა ბერობა და ყველაფერს ვაკეთებდი ამისთვის, ჩემმა პირველმა მოძღვარმა კი მაკურთხა, რომ ცოლი მომეყვანა და თავი გამენებებინა ქადაგებისათვის. ცოტა ხანში ისე გამიჭირდა, რომ სემინარიისთვის თავის დანებებასაც კი ვფიქრობდი. ჩამოვედი მის უწმინდესობასთან, გავაცანი ჩემი პრობლემა. კარგა ხნის საუბრის შემდეგ უწმინდესმა ამიხსნა, რომ მოძღვარი უნდა შემეცვალა. შემდეგ ვკითხე, როგორ ამოვირჩიო–მეთქი. ისე კარგად დამარიგა მისმა უწმინდესობამ, რომ ვთვლი, ეს ბევრმა უნდა იცოდეს:

პირველი: როდესაც მოძღვართან მოხვდები და იგი თავისთავად დაიწყებს ლაპარაკს ისეთ თემაზე, რაც შენ გაწუხებს და გეხება, ეს შეიძლება ჩაითვალოს ნიშნად, რომ ის შენი მომავალი მოძღვარია.

მეორე: როდესაც კარგა ხანს რაღაცა გაწუხებს, გაინტერესებს რაიმე სულიერი საკითხი და პასუხს ვერ იღებ ვერსად და მოძღვრისგან შენდობის წაკითხვის მერე, უცებ გეხსნება ეს სულიერი საკითხი, ესეც არის ნიშანი, რომლის შემდეგაც შეიძლება ეს შენი მოძღვარი იყოს.

მესამე: როდესაც მოძღვართან ურთიერთობა ძალიან, ძალიან გაგახარებს.

უწმინდესმა სამი მოძღვარი მირჩია — მამა კირილე, მამა ნაუმი და მამა ლავრენტი. მამა კირილეს ვერ შევხვდი, ხშირად ავადმყოფობდა. მამა ლავრენტისთან კი მქონდა სიხარული, მაგრამ ეს არ იყო სრული. უწმინდესმა მითხრა, სული სულს იპოვისო, მე კი ასეთ სულიერ კომფორტს ვერ ვგრძნობდი.

მამა ნაუმთან რომ მივედი, გამომკითხა და მაკურთხა: რა დროს ცოლია, შენ ამაზე აღარ იფიქრო. ამდენი ქართველი დადის აქ ლავრაში და მათ არავინ უქადაგებს, იარე და ქართულს რომ გაიგებ, მიდი და ასწავლე, მუზეუმში წაიყვანე; ექვს თვეში კი უწმინდესს გამოსთხოვე ლოცვა–კურთხევა და აქ, ჩვენთან, ლავრაში გადმოდი სემინარიიდანო. ისეთი გახარებული გამოვფრინდი მამა ნაუმისგან, რა თქმა უნდა, ლოცვა–კურთხევა არ შევასრულე და მაშინვე გავქანდი ფოსტაში.



ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღე, ხან ორ დღეში ერთხელ, სულ ვრეკავდი საპატრიარქოში და ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდი, ხოლო ექვსი თვე რომ გავიდა, თვითონ უწმინდესი ჩამობრძანდა ფინეთიდან ტროიცე-სერგიევოს ლავრაში და ლავრაში გადასვლის კურთხევა მომცა.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო უწმინდეს ილია II-ს, მისი უაღრესად დიდი წვლილია, რომ მე მონოზვნობის გზა ავირჩიე. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი, ჩვენო პატრიარქო!

პირველ რიგში მინდა უწმინდესსა და უნეტარესს ვუსურვო ჯანმრთელობა, შემდეგ ის, რაც ყველა სასულიერო პირის ოცნებაა: მისმა სამწყსომ სწორად და ყველაზე მეტად ადიდოს ღმერთი, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი ცხონდეს!

# შეიცან თავი შენი

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ზღვა, განსაკუთრებით დილით, როცა ის სუფთა, მშვიდი და ალერსიანია. შემეძლო, მთელი დღე გამეტარებინა ზღვაზე, მხოლოდ მზის ჩასვლისას ვბრუნდებოდი შინ და მოუთმენლად ველოდი, როდის გათენდებოდა, რომ მეგობრებთან ერთად ზღვაზე გავქცეულიყავი. ერთ საღამოს ვფიქრობდი, რატომ არსებობს ღამე და როგორ მოხერხდება, რომ მალე დადგეს დილა. სწორედ ეს ვკითხე ბებიას, რომელიც ძალიან კარგი პედაგოგი და ბრძენი ადამიანი იყო, „შენ დაწექი, დახუჭე თვალები და ხუთ წუთში გათენდება!“ – მიპასუხა მან. „ნუთუ მართლა ხუთ წუთში გათენდება?!“ – ისევ ვკითხე მე. „ნამდვილად ასე იქნება!“ – გამიმეორა ბებიამ. მართლაც, ზღვაზე გატარებული მთელი დღის შემდეგ, დავხუჭე თუ არა თვალი, მაშინვე დამეძინა, ღამე მართლა თითქოს ხუთ წუთში გაფრინდა, დადგა დილა და მე და ჩემმა მეგობრებმა ზღვას მივაშურეთ.

ო, ნეტარი ბავშვობა, მუდამ მზით გაბრწყინებული, სადაც არის თბილი ზღვა, ერთგული მეგობრები, ყველაზე უკეთესი ბებიები და ბაბუები და მხოლოდ ხუთი წუთი გრძელდება ღამე!

მაგრამ ერთხელ ბავშვობა დამთავრდა – მე ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე, უფრო სწორად, ღამე. იმაზე ფიქრით, რომ ხუთ წუთში გათენდება, დავხუჭე თვალები, მაგრამ ვერ დავიძინე, და გათენდა არა მაშინვე, არამედ ჩვეულებრივ, როგორც წესია, რამდენიმე საათის შემდეგ.

იქიდან მოყოლებული, უძილო ღამეებში მე ორ კითხვას ვუსვამ ჩემს თავს: „ვინ ვარ მე? და სად ვარ მე?“ და თუ ბავშვობაში ძალიან ადვილად შემეძლო მეპასუხა – „მე ვარ მეორეკლასელი გიორგი, ჩამოვედი ბებიასთან და ბაბუასთან სოხუმში და დილას ფეხშიშველი გავიქცევი ზღვაზე!“ – ასაკის მომატებასთან ერთად უკვე ვფიქრობდი, რომ ამ, ერთი შეხედვით, უბრალო კითხვებზე პასუხი საკმაოდ ძნელია.

აი, ღამით მაღვიძებს ყვირილი: „სასწრაფო ოპერაცია!“ ვეკითხები ჩემს თავს: „ვინ ვარ? სად ვარ?“ – და მევე ვპასუხობ: „მე სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს სანიტარი ვარ და ერთ წუთში უნდა გავიქცე არა ზღვაზე, არამედ საოპერაციოში, რადგან ვიღაცას სისხლდენა აქვს და სასწრაფო ოპერაცია სჭირდება!“

გაივლის დრო და ღამე მაღვიძებს ტელეფონის ზარი, სულ ორი სიტყვა: „გული გაჩერდა!“ ისევ იმ ორ კითხვას ვუსვამ ჩემს თავს და უკვე რეანიმაციისკენ გაქცეული, ვპასუხობ: „მე ვარ გულის ქირურგიის ცენტრის ექიმი. პაციენტს ოპერაციისშემდგომი გართულება აქვს და კარდიორეანიმაციაა საჭირო!“

გავიდა დრო. ღამე ჩამესმის ზარის რეკვა და უკვე სხვაგვარად ვპასუხობ ამ ორ კითხვას: „მე დავითგარეჯის მონასტრის მონოზონი ვარ და ღამის მსახურებაზე წასვლის დროა!“

საინტერესოა, რომ ეს კითხვები ჩნდება ღამით და არა დღე. ღამე ტვინი ისვენებს, გული კი მღვიძარებს; ღამე ადამიანი გულწრფელია საკუთარ თავთან, ამიტომ პასუხი მართალი და გულისხმიერია.

„ვინ ვარ მე? სად ვარ?“ – ვფიქრობ, ეს არის მარადიული კითხვები, მსგავსი ამისი: „სადა ხარ, ადამ?“, რომლითაც ღმერთი მიმართავს თითოეულ ადამიანს (გამოსვლ.,3,9). წმიდა ამბროსი მედიოლანელი განმარტავს, რომ ღმერთი ეკითხება ადამს არა იმდენად იმას, თუ სად არის, არამედ იმას, რა მდგომარეობაშია; ამ კითხვაში ჟღერს მისი ღვთაებრივი მოწოდება ყველა ცოდვილისადმი, რათა გადაარჩინოს.

„თავიდან ღმერთი ადამიანს სიყვარულით ეჩურჩულება; თუ არ გაიგონებს – მიმართავს სინდისის ხმით; თუ კიდე არ შეისმენს – ვნებათა განსაცდელის რუპორით ჩასძახებს“ (კლაივ ლუისი).



შესაძლებელია, ეს ღამეული ყვირილი, ტელეფონის წკრიალი, ზარის რეკვა არის ლოდინი ღვთისა, რომელიც, როგორც სიძე, შუაღამისას მოვალს, როგორც ხუთი ბრძენი და ხუთი სულელი ქალწულის იგავში (მთ. 25; 11-32), ან კიდევ უძღები შვილის დაბრუნება – ეს გრძელი ღამე – ყარიბობა „შორსა სოფელსა“ – (ლკ. 15, 11-32).

შემთხვევითი არ არის, რომ ანდრია კრიტელის სინანულის კანონში მთავარია და ხშირად მეორდება სიტყვები: „სულო ჩემო, სულო ჩემო, აღსდეგ, რასა გძინავს: აღსასრული მოახლებულ-არს და გეგულვების აღშფოთება. განიღჳძე, რათა შეგიწყალოს შენ ქრისტემან ღმერთმან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს.“

როგორ მინდა, დამთავრდეს ეს ღამე ყვირილისა და ზარებისა და დადგეს მზიანი დილა – დავბრუნდეთ ბავშობაში, სადაც ყოველივე ღვთის საჩუქარია, მაგრამ უნდა დავიმსახუროთ ნეტარი ბავშვობის დაბრუნება. წმიდა ნიკოლოზ სერბი ამბობს: „ამ წუთისოფელში ჩვენ მოგვავლინეს არა ბედნიერებისათვის, არამედ იმიტომ, რომ დავიმსახუროთ ეს ბედნიერება;“ ამიტომ ზოგჯერ გრძელი და შფოთიანია ღამე – ეს თვით ქრისტეა დაჭრილი, ვნებული და სისხლმდინარე, ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, გავუკეთოთ სიკეთე მოყვასს, როგორც გვასწავლის უფალი: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25, 40).

შეიძლება, ეს გრძელი ღამე არის განკურნების 38-წლიანი მოლოდინი განრღვეულისა (ინ. 5,1-15). ხომ მხოლოდ ღმერთმა იცის, ვინ ვარ და სად ვარ მე, 38 დღის, თვის ან წლის შემდეგ აუცილებლად მოვა და განმკურნავს; ამისთვის კი საჭიროა, გონს მოვეგოთ, შევიცნოთ საკუთარი თავი, ვირწმუნოთ, რომ ღვთის შვილები ვართ და გვინდა, მამის წიაღს დავუბრუნდეთ. დაე, იყოს შენდობა, კურნება და იქმნეს ლხინი და სიყვარულის ოკეანე, დილით კი გავიქცევით ზღვაზე. ამინ!

*წალკელი ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)*

# დედათა მონასტრის დაარსება სამთავროში

საქართველოში დედათა მონასტერი ოფიციალურად 1825 წელს კვლავ არ არსებობდა, რაც დასტურდება სინოდალური კანტორის სიებით. იქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ქალთა მონასტრები საქართველოში არ არსებობს“. თუმცა არაოფიციალურად სამთავროს დედათა მონასტრის დაარსების თარიღად 1820 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების საბუთად გამოგვადგება რამდენიმე ცნობა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ 1820 წელს თავადის ქალი ამილახვარი და რამდენიმე განდეგილი დედა მისულან, აუგიათ სენაკები და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით დასახლებულან სამთავროში. მონოზვნებს მხოლოდ შემოწირულობით უცხოვრიათ, ამასთან თურმე ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ. თავიდან მხოლოდ ოთხნი ყოფილან, შემდეგ კი სხვა დედებიც შემატებიან.

უფრო დაწვრილებით თავადის ქალის – ნინო ქრისტეფორეს ასული ამილახვრისა და მისი თანამოაზრეების სამთავროში მოსვლისა და მოღვაწეობის შესახებ ვგებულობთ მომდევნო საქმიდან სამთავროს განახლების თაობაზე (ნინო ამილახვარი აქ მოხსენებულია, როგორც ქრისტეფორეს ასული; საფლავის ქვაზე და ზოგ სხვა საბუთში კი ქაიხოსროს ასულად მოიხსენიება. შესაძლებელია, ეს ორი სახელი ერთი და იმავე პიროვნების საერო და სასულიერო სახელები იყოს). ეს საქმე იწყება საქართველოს ეგზარქოსის იონას წერილით (1829 წ.). იგი აღნიშნავს, რომ IV საუკუნეში აგებულ სამთავროში, სადაც სამთავროს ეპარქიის გაუქმების შემდეგ ყოფილი ეგზარქოსის, თეოფილაქტეს, ნებართვით მონოზვნები დასახლებულან, გალავანშემოვლებული, დიდი ზომის და კარგად ნაშენი ნაგებობები მდგარა. უყურადღებობით ეს ნაგებობები თანდათან ზიანდებოდა, ამიტომ ეგზარქოსს განუზრახავს ტაძრის, გალავნის, სხვა ნაგებობებისა და სამთავროს ყოფილი მთავარეპისკოპოსის სახლის აღდგენა და იქ მამათა მონასტრის გახსნა. ბერების გადმოყვანა სამთავროში ეგზარქოსს იოანე ნათლისმცემლის გაუქმებული უდაბნოდან დაუპირებია. ტაძრისა და ნაგებობების მონახულება, გაზომვა და აღდგენითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა სინოდალური კანტორის არქიტექტორ რიპარდისათვის დაუვალებია (სამთავროს ნაგებობების ანაზომები შეუსრულებიათ 1831 წელს. სამწუხაროდ, ეს ანაზომები ვერ მოიძებნა). როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, სამთავროში მამათა მონასტერი არ დაარსებულა.

ვინაიდან იმ დროისათვის საქართველოში ქალთა მონასტრები აღარ მოქმედებდა, ეგზარქოს იონას გადაუწყვეტია თბილისში დედათა მონასტრის ოფიციალურად დაარსება. მას საეკლესიო მმართველობისათვის დაუვალებია, გაერკვიათ, თუ სამთავროს გარდა კიდევ სად იმყოფებოდნენ მონოზვნები. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მონოზონი მთაწმინდაზე, „ფერისცვალების“ ეკლესიასთან სახლობდა. ასევე იმერეთსა და სამეგრელოში რამდენიმე ეკლესიასთან განდეგილად ცხოვრობდნენ დედები, მაგრამ იყვნენ თუ არა ისინი აღკვეცილნი მონოზვნებად, ვერ დაუდგენიათ, სამთავროში მყოფი დედების შესახებ კი ცნობები მცხეთის არქიმანდრიტ საბას მიუწოდებია.

აქრიმანდრიტ საბას წვრილად გამოუკითხავს მონოზვნები, რომელთაც თავ-

იანთ წინამძღვრად ნინო ამილახვარი დაუსახელებიათ. იმ დროისათვის (1830 წ.) სამთავროში სულ 10 დედა მოღვაწეობდა. დედათა სიას თან ერთვის მათი ბიოგრაფიული მონაცემები:

ნინო ქრისტეფორეს ასული ამილახვარი, დაბადებულია 1784 წელს სოფელ ჭალაში. შავი ანაფორა შეუმოსავს მისთვის არქიმანდრიტ საბას სოფელ ჭალის „ღვთისმშობლის შობის" ეკლესიაში 1810 წელს, მონოზვნად აღუკვეცავს ეპისკოპოს გერვასის რუისის „ფერისცვალების" ეკლესიაში 1812 წელს, ხოლო ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით სამთავროში დაფუძნებულა 1820 წლის 10 ნოემბერს.

თეკლა გიორგის ასული ბიძინაშვილი, დაბადებული 1770 წელს სოფელ ფლევში. შავი ანაფორა შეუმოსავს მთავარეპისკოპოს იოანე ქარუმიძეს გორის ტაძარში 1807 წელს, მონოზვნად აღუკვეცავს იქვე, 1808 წელს. სამთავროში მოსულა 1820 წლის 6 აგვისტოს, მცხეთის ყოფილი დეკანოზის იოანე მაღალაშვილის შუამდგომლობით და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით.

დომნა თამაზის ასული გოგინაშვილი, დაბადებული 1780 წელს დუშეთის მაზრის სოფელ დამპალოში. ანაფორა შეუმოსავს კათოლიკოს ანტონ II-ს ანჩისხატის ეკლესიაში 1800 წელს, მონოზვნად აღუკვეცავთ 1800 წელსვე. სამთავროში მოსულა 1821 წლის 1 ნოემბერს.

მარიამ ზაზას ასული ეგაძე, დაბადებული 1796 წელს მცხეთაში. ანაფორა შეუმოსავს ბერმონოზონ ათანასე ამილახვარს შიომღვიმეში 1826 წელს. სამთავროში მოსულა 1820 წლის 10 ნოემბერს.

თეკლე (თეონა) გიორგის ასული ბერიძე, დაბადებული 1772 წელს ზემო აჯვალაში. ანაფორა შეუმოსავს მცხეთაში 1829 წელს. სამთავროში მოსულა 1821 წლის 1 ნოემბერს.

ტატიანა ევსტატეს ასული ბიჭიკაშვილი, დაბადებული 1769 წელს სოფელ ხოვლევში. ანაფორა შეუმოსავს შიომღვიმეში 1827 წელს. სამთავროში მოსულა 1824 წლის 28 დეკემბერს.

ქრისტინე ბესის ასული ოქროპირიძე, დაბადებული 1799 წელს სოფელ დოესში. ანაფორა შეუმოსავს ბერმონოზონ ათანასეს შიომღვიმეში 1826 წელს. სამთავროში მოსულა 1827 წლის 17 მარტს.

მარიამ გიორგის ასული გუდაბერიძე, დაბადებული 1777 წელს სოფელ ახალქალაქში. ანაფორა შეუმოსავს შიომღვიმეში. სამთავროში მოსულა 1827 წლის 17 მარტს.

მელანია ლაზარეს ასული მჭედლიშვილი, დაბადებული 1804 წელს სოფელ სართიჭალაში. სამთავროში მოსულა 1829 წლის 14 ნოემბერს.

დარეჯანა გიორგის ასული კობახიძე, დაბადებული 1805 წელს. სამთავროში მოსულა 1821 წელს დომნა გოგინაშვილთან ერთად, რომლისთვისაც მამას ჩაუბარებია აღსაზრდელად.

აი, ამ დედებს დაუწყიათ მოღვაწეობა ნინო ამილახვრის წინამძღვრობით და საფუძველი ჩაუყრიათ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრისათვის.

მონოზონ ნინოს ღვაწლს უკვე 1827 წელს ვხვდებით. სვეტიცხოვლის კანდელაკი იოანე ბარისოვის მიერ ეგზარქოს იონასადმი გაგზავნილი პატაკიდან ცნობილი ხდება, რომ სამთავროს ფერისცვალების ტაძრის მახლობლად მდგომი მცირე ზომის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია აღუდგენიათ მონოზვნებს ნინოსა და მარიამს, ალბათ ეგაძეს და შეუმკიათ იგი მათ მიერვე შეძენილი საეკლესიო ნივთებით. ეს ეკლესია უკურთხებიათ 1828 წლის 14 იანვარს, წმიდა ნინოს სახელობის დღეს მის სახელზევე.

იმავე (1828 წ.) წელს ეგზარქოსი იონა, თბილისის სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინისათვის საქართველოს უძველე-



სამთავროს ფერისცვალების ტაძრის ინტერიერი

სი ეკლესიების სიის წარდგენისას აღნიშნავს, რომ „მცხეთის მახლობლად, ნახევარ ვერსტში ტაძარია მაცხოვრის ფერისცვალებისა, სამთავროს ყოფილ მღვდელმთავრებისა, რომლის გალავანში ამჟამად მონოზვნები ცხოვრობენ;" ტაძრის აგების თარიღად კი 317 წელს მიიჩნევს.

ზემოთ აღნიშნულ საქმეში სამთავროს განახლების შესახებ ვკითხულობთ მცხეთის არქიმანდრიტი საბას, კანდელაკი იესე ბარისოვისა და შიომღვიმის ბერმონოზონი ათანასეს პატაკებს სამთავროში მოსულ დედათათვის შავი ანაფორის შთაცმის თაობაზე და ლოცვას ანაფორის შთაცმის შესახებ. ეს ლოცვა ამგვარი იყო:

„უფლისა მიმართ ვილოცოთ!

გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან მრავლითა წყალობითა შენითა იხსენ მხევალი ესე შენი (სახელი) ამაოსა ამის სოფლისა ცხოვრებისაგან და უწოდე ამას ნეტარებისა ამის აღთქმისა, ღირს-ჰყავ ცხოვრებასა ღირსებით ანგელოზებრივისა მოქალაქეობისასა და დაიცევ ესე მახეთაგან ეშმაკისათა და წმიდა-ყავ სული და ხორცი ამისი ვიდრე სიკვდიდმდე და რათა ტაძრად წმიდად ღირს-იქმნას და გულისა ხმა უყავ ამას ხსენებად შენდა ყოვლადვე და შენთა ბრძანება და სიმდაბლე, სიყვარული და სიმშვიდე მიანიჭე მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმიდათა. ამინ!

უფლისა მიმართ ვილოცოთ!

უღელსა შენსა, მეუფეო, საცხოვრებელსა შეიწყნარე მხევალი ესე შენი (სახელი) და ღირს-ჰყავ ესე რჩეულთა სამწყსოსა შენისათა აღრიცხვად და შემოსე ამას სამოსელი ნათლისა და სახიერებითა შენითა შეარტყ წელთა ამისთა და ყოველსა შინა საქმესა კეთილსა აჩვენე ესე

მტკიცედ მოღვაწედ და ჩვენ სულიერთა მადლთა აღსრულება მოგვანიჭე მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმიდათა შენთათა. ამინ!"

ამავე საქმეში აღნიშნულია,რომ ვინაიდან სამთავროში ღვაწლმოსილი დედების ნებით აღმდგარა სამონასტრო ცხოვრება, ამიტომ საეკლესიო მმართველობას დედათა მონასტრის ოფიციალურად დამტკიცება 1835 წლისათვის უკვე სამთავროშივე უფიქრიათ და თბილისის მთაწმინდის ფერისცვალების ეკლესიის მონოზვნებისთვის სამთავროში გადასვლა შეუთავაზებიათ. იმ დროს მთაწმინდაზე ოთხი დედა სახლობდა. უფროსი მონოზონი სალომე, თეკლე, ელისაბედი და ანასტასია კობიევი. ოთხივე დედას უარი განუცხადებია და მთაწმინდაზე დარჩენილან (თუმცა ანასტასია აზნაურ სვიმონ კობიაშვილის ასულს შემდეგ უკვე სამთავროში ვხვდებით).

აქვე მოცემულია სამთავროს აღწერა „მცხეთის სობოროს ყმათა და მამულთა განმგებლის არხიმანდრიტ საბას და ამავე სობოროს დეკანოზის იესე ბარისოვისაგან." სამღვდელო პირები აღნიშნავენ: „მახლობლად მცხეთის სობოროსა,სამთავროს არიან ოთხი შენობანი, კირითა, კლდის ქვითა და სიპის ქვითა. აღმოსავლეთის მხრივ შენობა, სადგომი ყოფილი მთავარეპისკოპოზისა, იპყრობს სამთა ოთახთა; ჩრდილოეთის მხრივ პალატად წოდებული შენობა იპყრობს სამსა განყოფილებასა, დასავლეთის მხრივ – შენობა განუყოფელი და საშუალს ადგილს – კოშკი ორატაჟიანი – მრგვალი, აგრეთვე განუყოფელი; აღმოსავლეთის მხრით შენობასა აქუს სიგრძე შვიდი საჟენი და სიგანე სამი, რომელიც არის ორ ატაჟიანი, პირველი ამისი ზეით ატაჟისა აქვს ჭერი დაქცეული, ხოლო ქუითი ატაჟა ჭერიანი და ხურვილი და დამაგრებული, დასავლეთის მხრივ შენობა ჭერ დაუხურველი, სიგრძე მისი თხუთმეტი საჟენი და სიგანე ოთხი; სამხრეთის მხრივ შენობაა, აქუს პირველ განყოფილებასა ხუთი საჟენი და სამი ჩარექი (საჟენი=213,36 სმ) სიგრძე და სიგანე ორი საჟენი. კოშკსა ორ ატაჟიანს, ქვითკირით კამარა შეკრულისა, აქვს თვითოეულსა ატაჟის სიგანე და სიგრძე ორ-ორი საჟენი; აღმოსავლეთის მხრივ მთავარეპისკოპოსის სადგომი არს და დაპყრობილი ოთხთა მონოზონთა და ორნი მორჩილთაგან, ხოლო შემდგომნი ხსენებულნი შენობანი არიან უქმად, ვინაითგან შესაძლებელ არ არს მათ შინა დგომა გაუკეთებლივ. გარდა ხსენებულთა შენობათა, არიან ქოხები უვარგნი,რომელთამე მონოზონთაგან ტალახით,ქვით ან ფიცრით გაკეთებული ექვსნი. აგრეთვე აქვთ სრულებით ყოველსავე შენობასა შემოვლებული გალავანი ირგვლივ ქვიტკირისა, ადგილ ადგილ გადაქცეული; რომლის სიგრძე მისი არს ორმოც და რვა საჟენი და სიგანე ორმოც და სამი". აქვე აღნიშნულია, რომ ამ ნაგებობათა შეკეთების შემდეგ მათში 30 მონოზონის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი.

ეს იყო მონასტრის ნაგებობების პირველი ზოგადი აღწერა. ამ დროისათვის (1835 წ.) გარდაიცვალა ორი მონოზონი, მარიამ გუდაბერიძე და თეკლე ბერიძე, ხოლო თეკლე ბიძინაშვილი წილკანს წასულა. მონოზვნებს თავიანთ წინამძღვრად კვლავ ნინო ამილახვარი აურჩევიათ, ხაზინადრად – მარიამ ეგაძე, „ბლაგოჩინად" – დარია ფაღავა, რომელიც მონასტერში 1831 წელს მოსულა. შვიდ დარჩენილ დედას 1835 წლისთვის თხუთმეტნი დამატებიან და ამგვარად სულ ოცდაორი გამხდარან. მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები აღწერილია ამ საქმის 107-110 გვერდებზე.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერში 1830-იან წლებში მოსულ დედათა სია

მონოზვნები:

ანუსია გიორგის ასული იაშვილი, დაბადებული 1774 წელს.

დარია ხიტუს ასული ფალავა, დაბადებული 1804 წელს.

მორჩილები:

მარია (მინადორა) ავთანდილის ასული ფურცელაძე, დაბადებული 1805 წელს, მოვიდა – 1834 წელს.

თეკლა (მიტრადორა) ავთანდილის ასული ფურცელაძე, დაბადებული 1807 წელს, მოვიდა – 1834 წელს.

მართა დავითის ასული გამყრელიძე, დაბადებული 1805 წელს, მოვიდა – 1833 წელს.

ნატალია იასეს ასული ამილახვარი, დაბადებული 1815 წელს, მოვიდა – 1833 წელს.

ნინა იოანეს ასული თულაშვილი, დაბადებული 1815 წელს, მოვიდა – 1833 წელს.

ნისიმე იოსების ასული ციციანოვი, დაბადებული 1810 წელს, მოვიდა – 1834 წელს.

ანასტასია სიმონის ასული კობიაშვილი, დაბადებული 1802 წელს, მოვიდა – 1834 წელს.

ნინა გიორგის ასული კობიაშვილი, დაბადებული 1785 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

ევლამპია დავითის ასული ბასილაშვილი, დაბადებული 1802 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

ფებრონია ფრიდონის ასული ოთინაშვილი, დაბადებული 1802 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

მავრა ესტატეს ასული ხარატიევი, დაბადებული 1819 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

ვარვარა ივანეს ასული იაძე, დაბადებული 1814 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

ქეთევან დავითის ასული ელიოზიშვილი, დაბადებული 1808 წელს, მოვიდა – 1835 წელს.

1835 წელსვე ეგზარქოს ევგენის (ბაჟენოვი, 1834-1844) მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ საეკლესიო მმართველობას განზრახული ჰქონია სამთავროს ტაძრის, სამრეკლოს, გალავნის შეკეთება და სენაკების აგება მონოზვნებისთვის. ჩასატარებელ სამუშაოთა თანხა შეადგენდა 21 774 რუბლს.

იმავე დროს მონოზვნებს – ნინო ამილახვარს, დარია ფალავასა და ქრისტინე ოქროპირიძეს ეგზარქოსისგან მოუთხოვიათ ერთი წლით რუსეთის ქალაქებში წასვლის უფლება, რათა იქ მოენახულებინათ ქალთა მონასტრები, შემწეობა ეთხოვათ და მათ მსგავსად გაემართათ სამთავროს მონასტრის საქმიანობაც. როგორც მომდევნო ცნობებიდან ირკვევა, მონოზვნები რუსეთს ვერ გამგზავრებულან, თუმცა უწმინდეს სინოდს განუხილავს მონოზონთა ეს მოთხოვნა და უბრძანებია, დაეჩქარებინათ საქმის გარკვევა თბილისის გუბერნიაში ქალთა მონასტრის ოფიციალურად დაარსების შესახებ.

სამთავროს მონასტრის შეკეთების სურვილი სინოდალურ კანტორას ჰქონია, მაგრამ სახარჯთაღრიცხვო თანხის სიდიდის გამო ხაზინა მის გადახდაზე არ დათანხმებულა.

იმავე ხასიათის ცნობებს ვხვდებით იმ დროის სხვა საქმეშიც. ამ საქმიდან ვგებულობთ, რომ უფროსი მონოზონი ნინო აუწყებს ეგზარქოს ევგენის მონასტრის სავალალო მდგომარეობას და სთხოვს შენობებისა და ტაძრის სახურავის შეკეთებას სამთავროს სავანის საშტატო მონასტრად დამტკიცებამდე. აქვე დაცულია სინოდის 1837 წლის ბრძანებულება, დაეჩქარებინა სამთავროში მე-3 კლასის დედათა მონასტრის დამტკიცება. სინოდს ასევე დაუდგენია მონასტრის ნაგებობების შე-

კეთება საეკლესიო თანხით. სამწუხაროდ, 1837 წელს ვერც მონასტრის დამტკიცება ვერ მოხერხდა და ვერც სამონასტრო შენობების განახლება, თუმცა მცირე რამ მაინც გაკეთებულა. ამის მაუწყებელია მცხეთის იღუმენი იოანეს, კანდელაკი მღვდლის იოსებ ბარისოვის და დეკანოზ დავით გაბაევის ანგარიშები და ხარჯთაღრიცხვა. ამ დროს ჩაუსვამთ მინები სარკმლებში, განუახლებიათ კარიბჭე, შეულესავთ და შეუთეთრებიათ სენაკები და სხვ.

მონასტრის დამაარსებელი ნინო ამილახვარი გარდაიცვალა 1839 წელს. იგი დაკრძალულია სამთავროს მაყვლოვანში, წმიდა ნინოს ეკლესიის სამხრეთ ფასადთან. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ლოდი ესე ჰფარავს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონაზონის ნინასსა, რომელმანც დააარსა მონასტერი ესე 1820 წ. თებერვალსა 11-ს.“

განუზომელია ნინო ამილახვრის ღვაწლი სამთავროს დედათა მონასტრისათვის. იგი იყო მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი. როდესაც ნინო სამთავროში მივიდა, ქართლის მთავარეპისკპოსთა ეს ადრინდელი სამყოფელი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში დახვდა: დაზიანებული იყო ორივე ტაძარი და სხვა სამონასტრო შენობები. მოშლილი იყო მეურნეობა, დაკარგული და გაპარტახებული – საეკლესიო ქონება. ნინო ამილახვარმა სული შთაბერა მიმქრალ სავანეს და ააღორძინა სამონასტრო ცხოვრება. მისმა დაუღალავმა ღვაწლმა და მონდომებამ აიძულა საეკლესიო მმართველობა, რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ სამთავროსადმი. ნინო ამილახვრის საქმე გააგრძელეს მისმა აღზრდილებმა და რამდენიმე ხანში სამთავროს დედათა მონასტერი ოფიციალურად გაფორმდა და დამტკიცდა.



წმიდა ნინო ( ამილახვარი) სამთავროელის საფლავი

ოდნავ უკან დავბრუნდეთ და განვიხილოთ ის საბუთები, რომლებშიც საუბარია სამთავროს მეტოქი ეკლესიის შესახებ თბილისში. ზემოთ აღნიშნულია, რომ სამთავროს მეტოქი ეკლესია თბილისში აუგია მთავარეპისკოპოს რომანოზს XVIII საუკუნის I მესამედში. განსხვავებულ ცოდნას გვაწვდის არქიტექტორი თენგიზ კვირკველია. იგი აღნიშნავს, რომ ძველ თბილისში, ანჩისხატის მახლობლად კვირაცხოვლის (დღევანდელი რამიშვილების) ქუჩაზე „ძველთაგანვე მდგარა კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც მონგოლებს დაუნგრევიათ. XVII საუკუნეში ამ ადგილზე მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს (ამილახვრების გვარიდან) აუშენებია მცირე ზომის ახალი ეკლესია. XIX საუკუნეში



სამთავრო XIX ს.

ეკლესია ანჩისხატზე იყო მიწერილი და სამთავროს ეპისკოპოსის მეტოქად ითვლებოდა, რომელიც დანგრევის პირას ყოფილა მისული. რამდენიმე წლის წინ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მიაკვლიეს ეკლესიის საძირკველს.“

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ამილახვარი ცნობილი არ არის, კვირკველია კი არ აკონკრეტებს, საიდან აქვს ამგვარი ცნობა. კვირკველიას ცნობაში საინტერესოა ის, რომ აღნიშნულია ეკლესიის ადგილმდებარეობა და ამასთან ირკვევა, რომ 1980-იანი წლებისათვის ამ ეკლესიის მხოლოდ საძირკველი ყოფილა შემორჩენილი.

კვირაცხოვლის, ანუ „თომას კვირის“ ეკლესია აღნიშნულია თბილისის XIX საუკუნის გეგმებზე – ანჩისხატის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დღევანდელ რამიშვილების (ყოფილ ავლევის) ქუჩაზე (გეგმები ინახება თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში). დღეს ამ ეკლესიის კვალიც აღარ ჩანს

და მის ადგილას საბავშვო ბაღის შენობაა აღმართული. როგორც ჩანს, თენგიზ კვირკველიას ეს ცნობა ამოუღია დავით კარიჭაშვილის კატალოგიდან, რომელშიც მოყვანილია თბილისის ეკლესია-მონასტრების 1839 წლის აღწერის ნუსხა. ამ ნუსხაში აღნიშნულია: „ტფილისსავე შინა არის პატარა ეკლესია წმიდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა, ქვითკირისა, უგუმბათო, აღშენებული მთავარეპისკოპოსისა ქრისტეფორე ამილახოროვისაგან მეტოქედ, ანუ ფოდვერიად თუსად წელსა 1703-სა. ამას შინა არის ერთი მღვდელი."

შესაძლოა, ეს ქრისტეფორე 1702 წლის საეკლესიო კრების განჩინებაში დასახელებული მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორეა. 1703 წელს წმიდა მოციქული თომას ეკლესიის ამგებ ქართლის მთავარეპისკოპოსს ქრისტეფორე ამილახვარს მოიხსენიებს აგრეთვე პლატონ იოსელიანიც. მეორე ნაშრომში პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ სამთავროს მთავარეპისკოპოსთა სახლი და მოციქული თომას ეკლესია, რომელიც აგებული ყოფილა ადრინდელ ნანგრევებზე, 1840 წლიდან დალუქულია და დანგრევა ემუქრება.

ცნობები სამთავროს მეტოქის შესახებ გვხვდება XIX საუკუნის დასაწყისიდან. 1816-1817 წლებში მავან ფარსადან ციციშვილს თხოვნით მიუმართავს მმართველობისათვის, რათა ნება დაერთოთ, ექირავა საეკლესიო სახლი თბილისში, ყოფილი სამთავროს ეპარქიის მეტოქში.

1817 წლის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია „ყოფილი სამთავროს ეპარქიის კუთვნილი კვირაცხოვლის ეკლესია, ყოფილი სამთავროს არქიეპისკოპოსის მეტოქში... კვირაცხოვლის, ანუ თომას კვირის ამ ეკლესიის მფლობელობაში 5 კომლი ყმა, სახლი 4 ოთახით, დუქანი და საჯინიბო."

სამთავროს მეტოქის არსებობა თბილისში დასტურდება 1824 წლის საბუთითაც, რომელშიც საუბარია სინოდალური კანტორის მიერ თბილისის I ნაწილის III კვარტალში, სამთავროს ეპარქიის მეტოქში, 1822 წელს 6 წლის ვადით, გლეხ ხათუაშვილისათვის იჯარით გადაცემული სახლის შესახებ.

სამთავროს მეტოქში არსებულ სახლზეა აგრეთვე საუბარი 1827 წლის საბუთშიც. ამ ცნობას თანდართული აქვს სამთავროს მეტოქში სინოდალური კანტორის პროკურორისათვის სახლის აშენების ნებართვა.

თბილისის ეკლესიების 1831 წლის სიაში კვლავ არის აღნიშნული სამთავროს მეტოქი. აქ მე-2 კვარტლის პირველ ნაწილში მოხსენიებულია ანჩისხატზე მიწერილი „თომას კვირის ქვის ეკლესია სამთავროს მეტოქში."

1833 წლის თბილისის სამრევლო ეკლესიათა ნუსხაში „თომას კვირის" ეკლესიის აგების თარიღიც არის მოყვანილი. „თომას კვირის" ეკლესია ააგო მთავარეპისკოპოსმა რომანმა 1716 წ." – აღნიშნულია ცნობაში (ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ეს თარიღი მთლად ზუსტი არ უნდა იყოს).

შემდეგი ცნობა გვხვდება 1837 წელს, აღნიშნულია, რომ წმიდა თომას ეკლესია შეუკეთებიათ, მაგრამ არ არის ნათქვამი, თუ სახელდობრ რა შეაკეთეს და არც ადგილმდებარეობაა დაკონკრეტებული.

როგორც ვხედავთ, ზოგი წყარო ამ ეკლესიას 1703 წელს მთავარეპისკოპოს ქრისტეფორე ამილახვრის აგებულად მიიჩნევს, ზოგი კი მის მშენებლობას მიაწერს მთავარეპისკოპოს რომანოზს (1716 წ.). ერთი რამ კი ცხადია: XVIII საუკუნის დასაწყისში სამთავროს თავისი მეტოქი მამული ჰქონია თბილისში ეკლესიითა და სახლით.

*გია ჭანიშვილი*

## წმიდა ნინოს მაყვლოვანი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „წმიდა ნინოს ცხოვრება“

საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა. სწორედ ზეციური დედოფლის დავალებით I საუკუნეში შემოაბრძანა იბერიაში მისი ხელთუქმნელი ხატი, შემდგომში აწყურისად წოდებული და იქადაგა ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა. ანდრია მოციქულის გარდა პირველ საუკუნეშივე საქართველოში იმყოფებოდნენ და აქვე დაიკრძალნენ კიდევ ერთი ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან – სიმონ კანანელი აფხაზეთში, ნიკოფსიაში, ახალ ათონზე და მოციქული მატათა, რომელიც იუდას მაგიერ გამოირჩიეს – აჭარაში, გონიოში. მაშინვე შეიქმნა პირველი ქართული ქრისტიანული თემები.

მიუხედავად ამისა, მიზეზთა გამო, ქართველთა მეფე და ქვეყნის უდიდესი ნაწილი „დაშთა მასვე სიბნელესავე და საცთურსა კერპ-მსახურებისასა“ და საჭირო გახდა, ქრისტეს აქეთ IV საუკუნეში საქართველოში სამოციქულო მისიით მოსულიყო, ასევე დედაღვთისას კურთხევით, ქალწული ნინო, რომელმაც ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია ჯერ დედოფალი ნანა და მეფე მირიანი და სამეუფო ქალაქი მცხეთის, შემდეგ კი მთელი ქვეყნის მოსახლეობა; ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად; ამას მოჰყვა ახალი ესთეტიკა, ტაძრების მშენებლობა, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა, ჩამოყალიბდა განათლებული სასულიერო ფენა... ერმა და ეკლესიამ წმიდა ნინოს ქართველთა განმანათლებელი უწოდა და მოციქულთა სწორის მაღალი პატივი მიანიჭა.

ბუნებრივია, ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა სათანადოდ აისახა ხალხის მეხსიერებასა და ისტორიოგრაფიაში. შეიქმნა ქართული ორიგინალური წყაროები, რომლებშიც გადმოცემულია ქართლის მოქცევის ამბავი, წმიდა ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა; დაიწერა მისდამი მიძღვნილი საგალობლები, საეკლესიო საკითხავები, დაუჯდომელები...

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიც შედის ქრონიკა ალექსანდრე მაკედონელიდან IV საუკუნის ბოლომდე და „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნინოჲსი“.

ეს ტექსტები მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული – IX-X-XVIII საუკუნეებისა – გამოიყოფა რამდენიმე რედაქცია: სინური, შატბერდული, ჭელიშური, მეტაფრასული, მროველისეული, სვინაქსარული.

ქართული მეცნიერება ინტენსიურად სწავლობს ქართლის მოქცევისა და ნინოს ცხოვრების საკითხებს. პირველი გამოკვლევები ამ თემაზე XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა შატბერდული ხელნაწერი, შემდეგ – ჭელიშური. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან და გრძელდება თანამედროვეობამდე. დაიბეჭდა არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია, პუბლიკაცია და სამეცნიერო კრებული, რომელთა ჩამოთვლით ჩვენი ჟურნალის მკითხველს არ გადავღლით.

სხვადასხვა დროს არსებობდა სხვადასხვა მოსაზრება ძეგლის დათარიღების, ავტორისა (ავტორობისა) და ქართლის გაქრისტიანების სხვა საკითხებთან დაკავშირებით. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

თ. ჟორდანიას აზრით, უძველესი საეკლესიო მატიანე არსებობდა ჯერ კიდევ VI საუკუნემდე;



დედა ღვთისა. წმიდა მოსე და წმიდა ნინო მაყვლოვანში. კრეტსაბმელის ნაქარგობა

ე. თაყაიშვილი ვარაუდობდა, რომ „ქართლის მოქცევის“ ტექსტი VII საუკუნისაა. ამ მოსაზრებას ეთანხმებოდნენ გ. მელიქიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, პ. ინგოროყვა, ე. ხოშტარია-ბროსე. IX საუკუნით ათარიღებდნენ ა. ხახანაშვილი, ს. კაკაბაძე, ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა.

იმის კვალობაზე, რომ აღმოჩნდა ახალი ხელნაწერები, მეცნიერების ინტერესი არ ნელდება, მიმდინარეობს აქტიური კვლევები „ქართლის ცხოვრებისა“ და მოქცევის საკითხებზე; ქართველი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ნინოს ცხოვრების“ პირველი ვარიანტი შეიქმნა IV საუკუნის დასაწყისში (მ. ჩხარტიშვილის ამ დებულებას იზიარებენ მ. ლორთქიფანიძე, ა. ჯაფარიძე, რ. სირაძე, გ. კუჭუხიძე), ტექსტის ავტორი (ჩამწერი) და რედაქტორ-შემდგენელი არის სალომე უჯარმელი. ტექსტზე არაერთი სხვადასხვა პროფილის მკვლევართა დაკვირვების, სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებთან შეჯერებისა და შესწავლის შედეგად დადგინდა აგრეთვე, რომ „ქართლის მოქცევის“ ტექსტი სანდო ისტორიული წყაროა.

მ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ „ამ ციკლის პირველი ტექსტები წარმოიშვნენ ქართლის მოქცევის თითქმის თანადროულად, V საუკუნის II ნახევარში კი მათ ბაზაზე შეიქმნა თვისობრივად ახალი ნაწარმოები – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიც გაერთიანდა ნინოს ცხოვრების ციკლის ორი შტო“.

დაახლოებით იმავეს ასკვნიან თ. მგალობლიშვილი და ზ. ალექსიძე. კერძოდ, თ. მგალობლიშვილი წერს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ (რომელიც „მოქცევაჲს“ ტექსტს ეყრდნობა) შემორჩენილი უნდა გვქონდეს ქართლის მოქცევის შესახებ არსებული ძველისძველი გადმოცემა, შექმნილი მცხეთელ იუდეველ ქრისტიანთა წრეში“.

ზ. ალექსიძემ, რომელმაც შეისწავლა და გამოსცა სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში 1975 წელს აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის 1990 წელს გამოვლენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის შემცველი აქამდე უცნობი ორი ხელნაწერი (sin-48, sin-50), დაასკვნა: „სავარაუდოა, რომ IV საუკუნეში ქართულ ენაზე მართლაც არსებობდა ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელშიც აღწერილი იქნებოდა წმიდა ნინოს მისიონერული მოღვაწეობა. ამას ადასტურებენ IV-V საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსები (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე

სქოლასტიკოსი და ერმია სოზომენე), რომლებიც დაახლოებით ისევე მოგვითხრობენ ქართლში ტყვე ქალის მისიონერულ მოღვაწეობაზე, როგორც ეს არის აღწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲში".

„ქართლის ცხოვრების" ტექსტის შემცველი ხელნაწერები IX-X საუკუნეებიდან მოყოლებული, XVIII საუკუნის ჩათვლით თარიღდება. არსებობს მრავალი ბეჭდური გამოცემა. ძეგლი თარგმნილია რუსულ (ე. თაყაიშვილი, 1900 წ.; მ. ჩხარტიშვილი, 1989 წ.), ინგლისურ (მ. ო. უორდროპები, 1900 წ.), გერმანულ (პეჩი 1975 წ.) და პოლონურ (კოლბაია) ენებზე.

### მაყვალი / მაყვლოვანის სიმბოლიკა

მაყვალი, „მაყვალი შეუწველი" ბიბლიური სახე-სიმბოლოა და პირველად გამოსვლათა წიგნის მესამე თავში გვხვდება: მოსეს ერთ დღეს „მოჰყუანდეს ცხოვარნი იგი უდაბნოდ. და მოვიდა მთასა მას ღვთისასა ქორებად. ეჩვენა მას ანგელოზი უფლისაჲ ცეცხლითა ალისათა მაყლოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყლოვანსა მას აღატყდების ცეცხლი, და მაყლოვანი იგი არა შეიწუების" (გამოსვლათა 3, 1-2).

როგორც დედანში, ისე ყველა სხვა ენაზე ამ ადგილას წერია ბუჩქი ან ეკლოვანი ბუჩქი და მხოლოდ ქართულში არის მაყვალი, აქედან მაყვლოვანი – ადგილი, სადაც ბევრი მაყვალი იზრდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს სახე მაყვლისა ფართოდ გავრცელდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მწერლობისათვის, ქართველებისთვის, რადგან წმიდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული. (ეს საკითხი გამოიკვლიეს ქ. ბეზარაშვილმა და ბ. კულიმ „მაყვლოვანის გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში" და აქ მათ დასკვნებს წარმოვად-



სამთავრო. წმიდა ნინოს მაყვლოვანი (IV ს.)

გენთ.). მაყვლოვანის სახე წარმმართველია წმიდა ნინოს ცხოვრებაში, რამდენადაც იგი ღვთისმშობლის ნაცვლად და მისი ბრძანებით მოვიდა განსანათლებლად და საქადაგებლად საქართველოში. სიმბოლურად იგი ღვთისმშობლისა და ქრისტეს პარადიგმაა (წინასახეა).

მაყვალი, ეკლიანი ბუჩქი, წინასახეა კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნების შერწყმისა ქრისტეში, მის პიროვნებაში სრულყოფილად არის დაცული ადამიანური ბუნება. ამასთანავე, მაყვლის ბუჩქი არის ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლის სიმბოლო; მიანიშნებს აგრეთვე ეკლესიის მუდმივ განახლებას დევნის შემდეგ. აღნიშნავს აგრეთვე თეოფანიას (ღვთის გამოცხადებას) მიწიერ სფეროში.

კერპების დამსხვრევის შემდეგ, „ოდეს დასცხრა სეტყუაჲ იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა. და პოვა თუალი იგი ბივრილი, ალილო“ და კლდის კიდეზე მშვენიერი ბრინჯის ხის ქვეშ, „სადა-იგი ყოფილიყო ბარტამ მეფის საგრილი“, ექვსი დღე იმყოფებოდა, ილოცვიდა და მადლობდა ღმერთს. შემდეგ ჩავიდა მცხეთაში და ცხრა თვე ცხოვრობდა მეფის ბაღის მცველის სახლში, ფარულად დაიმოწაფა ეს ოჯახი, შემდეგ კი „ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისაჲ, სადა აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა საეპისკოპოსო, და იგი შექმნა საყოფელად თჳსა და შექმნა ჯუარი ნასხლევისა და აღმართა ქოჩსა მას ქუეშე და მარადის ილოცავნ დღე და ღამე დაუცხრომელად“ (მროველისეული). აქ „ბრძამი მაყულისაჲ “ (იგივე ეკლიანი ბუჩქი), სადაც ცხოვრობს ნინო და აღმართავს ჯვარს, არის წარმართი ხალხის სიმბოლო, რომელიც ნინომ უნდა მოაქციოს და გაანათლოს (ბეზარაშვილი, კული). იგივე მისია ქართლში შემოსვლამდე განეცხადა მას ღმრთისა მიერ, როცა რიფსიმეანნი იმარტვილნეს, ხოლო ნინო დაშთა „ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა“, შეღაღადა ღმერთს, „რად დამიტეობო შორის ასპიტთა და იქედნეთა?“ – ზეცით მოესმა ხმა: „ესე იყოს წარყვანებაჲცა შენი, ოდეს-იგი ეკალი, რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველივე იქმნას ვარდის ფურცელ“. ეს ეკალიც არის წარმართი მოსახლეობა, მკვიდრნი ქართლისა, რომელსაც უნდა მოეფინოს მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი, განათლდეს და აყვავდეს.

„ეს სახე – „ვარდი ეკალთა შორის“ – გამოყენებულია წმიდა ნინოს ცხოვრებასა და მისადმი მიძღვნილ საგალობლებში... და დაკავშირებულია მეორე სახე-სიმბოლოსთან – მოსეს მაყვლოვანთან (ეკლის ბუჩქთან), რომელიც არის ღვთისმშობლის იპოდიგმა და მიწიერის გამოხატულება ღვთაებრივთან მიმართებაში, ღვთისმშობელი კი თავის მხრივ წმიდა ნინოს იპოდიგმაა. აქედან აშკარაა წმიდა ნინოს კავშირი ღვთისმშობელთან და მოსეს მაყვლოვანთან. აქედანვე გასაგები უნდა იყოს, რომ ნინოს მიერ ჯვრის აღმართვა მაყვლოვანში მოასწავებს წარმართი ხალხის გაქრისტიანებას, რაც ეკლის სურნელოვან ვარდად ქცევის ტოლფასია“ (ბეზარაშვილი, კული).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯვარი ვაზისა ქართული ეკლესიის უპირველესი სიწმინდეა, მასში მოიაზრება როგორც იესო ქრისტე – ჯვარი მისი სიმბოლოა – ისე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი – „ვენახი აღყუავებული“. „ასე დააკავშირა ვაზის ჯვარმა ხილული და უხილავი ძაფებით წმიდა ნინო, ღვთისმშობელი და მისი წილხვდომილი ქვეყანა – ქართლი“ (ს. მახარაშვილი). „სახე – ნინო მაყვლის ბუჩქში – მიგვანიშნებს, რომ ღვთისმშობელია მისი მფარვე-

ლი,მისი სულიერი მფარველი“ (რ. სირაძე).

წმიდა ნინოს ცხოვრების ყველა რედაქცია ერთნაირად გადმოსცემს წმიდა ნინოს მაყვლოვანში გაწეული ღვაწლისა და მრავალი კურნების ამბავს: მცხეთაში „იყო სამ წელ ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲთა და შექმნა სახჱ ჯუარისაჲ ნასხლევისაჲ და მუნ დაადგრა და ილოცვიდა და ადგილი იგი იყო ზღუდისა გარეგან, ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოსა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი“ (შატბერდულ-ჭელიშური).

Sin – 48. წმ. ნინო მცხეთაში „იყო მწირობით სამ წელ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა, ბრწამლითა მაყულისაჲთა შებურვილსა. და შექმნა ნასხლევისა სახედ ჯუარი, აღიდგა იგი მუნ და ილოცვიდა იგი მის წინაშე და მათ მაყუალთა ადგილი ზემოჲსა ეკლესიისა საკურთხეველი არს“.

„ხოლო წმიდა ნინო ილოცვიდა დაუცხრომელად საყოფელსა მას თჳსსა მაყუალთა მათ ქუეშე“. ავადმყოფი დედოფლის მსახურებმაც იპოვეს წმიდა ნინო „ქოჩსა მას ქუეშე მაყვლისასა,ილოცვიდა ჟამსა მეექვსესა...“ მირიანის ნადირობიდან დაბრუნებისას „ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყვლოვანსა მას შინა, ჩვეულებისაებრ მისისა...“ ვფიქრობ, მაგალითებად კმა არს. აღვნიშნავთ მხოლოდ ტაძრის აგებისას ნინოსა და მირიან მეფის საუბარს; კითხვაზე, სად ავაშენოო ტაძარი,„რქუა წმიდამან ნინო: „სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს!“ რქუა მას მეფემან: „მიყუარან მე მაყუალი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ვყო ესრეთ, არამედ „სამოთხე ესე სამეფო ბაღი ხორციელ წარმწყმედელი შეგუეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ,და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩვენდა ვიდრე მოსვლამდე მღდელთა საბერძნეთით“. იმპერატორი კონსტანტინეს წარმოგზავნილი სასულიერო და საერო პირები ჩამოვიდნენ, მეფე და მთელი ქალაქი მოინათლნენ... „და იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგან ზღუდესა მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო.“ – ეს არის სამთავროს ფერისცვალების ტაძარი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო ქართლის ეპისკოპოსების რეზიდენცია, რაც მრავალი უტყუარი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება.

ქ. ბეზარაშვილმა და ბ. კულიმ,როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლიანად გამოიკვლიეს მაყვალთან (ეკლიანი ბუჩქი) დაკავშირებული საკითხები. „ალმოდებული მაყვლოვანი... ღვთისმშობლის წინასახე ქალწულების საიდუმლოს მომასწავებელია, ვინაიდან ქალწულისაგან კაცობრიობას ღვთაებრივი ნათელი იმგვარად გამოუჩნდა, რომ ქალწულების მორჩი ამ შობით არ ვნებულა, ისე, როგორც მაყვლოვანს არ დაშავებია რაიმე ძლიერი ალისაგან“ და სიმბოლურია, რომ სწორედ იქ, სადაც წმიდა ნინო მკვიდრობდა, და სწორედ ღვთისმშობლისა და წმიდა ნინოს მადლითა და შეწევნით დამკვიდრდნენ წმიდა ღირსი ნინო ამილახვარი და სხვა დედები 200 წლის წინ, დიდი სიძნელეების გადალახვით გაალღვივეს ქრისტიანული მოღვაწეობის მინავლებული ნაკვერჩხალი და მიუხედავად კომუნისტური უღმერთობის წლებში განადგურების მრავალგზისი მცდელობისა – არაერთხელ გადაკაფეს, ამოთხარეს, წვავდნენ, ფესვებში ასხამდნენ ნავთსა და მჟავას, – სწორედ აქ, წმიდა ნინოს სახელობის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში წმიდა ნინოს მაყვლოვანი დღემდე ცოცხალია, ყვავის და გვახარებს და ასე იქნება უკუნისამდე ჟამთა. ამინ!

*მოამზადა სალომე ზვიადაძემ*



წმიდა ნინოს ცხოვრება.
ხატმწერი მონოზონი ნანა (ქუთათელაძე)

# აღმსარებლობიდან სამთავრომდე
(გაგრძელება)

მამა გაბრიელი სალოსობის დროს გლახაკად ჩაცმული დადიოდა. ხანდახან მხარზე ძირგავარდნილ კოკას შემოიდებდა და ქუჩაში მოსიარულე, ხალხის გასაგონად ხმამაღლა ამბობდა:

– გაიგეთ, ხალხო, უსიყვარულო ადამიანი აი, ამ ძირგავარდნილ კოკასა ჰგავს. რაც არ უნდა შთაასხათ მასში, არ დადგება და უკვალოდ გაქრება. ამისთვის შეიყვარეთ უფალი ღმერთი და მოყვასი, თორემ უნაყოფო იქნება ცხოვრება თქვენი!

ასევე ხშირად და შემდგომშიც მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე სამთავროში მისვლამდე, მამა გაბრიელი ნაგავსაყრელებზე დადიოდა და გადაგდებულ ხატებსა და საეკლესიო ნივთებს კრებდა. ეს – სიწმინდეთა ამ სახით უპატივცემულობა – სამწუხაროდ, ხშირად ხდებოდა იმ დროში. ვინაიდან კომუნისტური რეჟიმი კვლავ ბარბაროსულად ანგრევდა ტაძრებს და ხალხიც, ურწმუნოებითა და რეჟიმის შიშით, უკეთუ რაიმე სახის საეკლესიო სიწმინდე მოეპოვებოდა, ნაგავში აგდებდა. ვინც კი იმ წლებში ნაგავსაყრელებზე დადიოდა, მამა გაბრიელს ყველა იცნობდა. ესენი მეღორე და მესაქონლე ხალხი იყვნენ, რომელნიც პირუტყვისთვის ნაგავსაყრელებზე გადაყრილ პურებს აგროვებდნენ, რაც იმჟამად ჩვეულებრივი ამბავი იყო. არავინ უფრთხილდებოდა იმხანად ღმრთის ამ კურთხეულ საკვებს.

მამა გაბრიელი, ხატების მოძიებასთან ერთად, თავადაც აგროვებდა ტომრებით პურს, რადგან მოლაპარაკებული იყო ამ ხალხთან: თუ ვინიცობაა, ხატს ან რაიმე საეკლესიო ნივთს იპოვნიდნენ, გვერდზე არ გაევლოთ, არამედ შეენახათ და როდესაც კვლავ ნახავდნენ ერთმანეთს, მამა გაბრიელი მათ მიერ ნაპოვნ ხატს თუ საეკლესიო ნივთს თანხით ან თავისი შეგროვილი პურებით გამოისყიდდა. ასე მოაგროვა და მოიპოვა მან მრავალი ძვირფასი ნაკეთობის და უბრალო ხატი. ამ ხატებს იგი გულმოდგინედ წმენდდა, ასუფთავებდა და პატივით მიუჩენდა ადგილს თავის აშენებულ ეკლესია-სამლოცველოში. წლების განმავლობაში ამ გზით და თავისი გულმოდგინებით, მამა გაბრიელს მრავალი ძვირფასი პერანგიანი და უპერანგო ხატი დაუგროვდა. თუმცა ძალზე ახარებდა მათი ცქერა, მაინც სიმდაბლით ასე გადაწყვიტა:

– დიდი პატივია ჩემთვის ასეთი ძვირფასი ხატების ქონა, უმჯობესია, კათოლიკოსს შევწირო და მან, ეკლესიის მამამთავარმან, განაგოს.

ცნობილია, რომ მრავალი ასეთი ძვირფასი ხატი მამა გაბრიელმა საპატრიარქოს და კერძოდ პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს შესწირა. ეს ხატები მამა გაბრიელის ეკლესია-სამლოცველოდან თავად პატრიარქის გამოგზავნილი სამი მანქანით წაიღეს. ეს მოხდა 1980-იანი წლების ბოლოს. თვითონ მამა გაბრიელმა ნაკეთობის მხრივ უბრალო ხატები დაიტოვა.

ვისაც ერთხელ მაინც არ უხილავს მამა გაბრიელის აშენებული ეკლესია-სამლოცველო, ის ვერ გაიგებს შეძლებისდაგვარად სრულად, თუ როგორ უყვარდა მას ღმერთი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის სამოთხე მიწაზე, უხვი საღმრთო სიყვარულისა და სიმშვიდის საუფლო. მთელი ეს შენებულება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მისი ყოველი კედელი, შემკული და აღვსებულია წმიდა ხატებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო ნივთებით, რომელთა უმრავლესობა ნაგავსაყრელზეა მოძიებული. ეს არის წრფელი და მხურვალე სიყვარულით შექმნილი საღმრთო სამყარო.

აქ, ამ ეკლესია-სამლოცველოში, არის დიდი, ადამიანის სიგრძე-სიგანის, ქრისტე მაცხოვრის ხატი, რომელზეც უფალი ფეხზე მდგომარე არის გამოსახული. ეს ხატი მამა გაბრიელმა თავის ნაცნობ მხატვარს დაახატვინა. პირობა ასეთი იყო: მხატვარს უნდა ემარხულა და ხატი მარხვაზე მყოფს უნდა დაეხატა. პირობა შესრულდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს ხატი იხატებოდა, მამა გაბრიელი ყოველ სამუშაო დღეს მხატვართან იმყოფებოდა.

როდესაც ხატი დასრულდა, მამა გაბრიელმა მანქანა იქირავა და ხატი თავის ეკლესია-სამლოცველოში მიაბრძანა. მამა გაბრიელის უფროსმა დამ ასე გაიხსენა ეს ამბავი ჩვენთან:

„იმ დღეს, ხატი რომ უნდა მოეტანა, ძალზე ბედნიერი იყო. ეკლესია დაალაგა და ის ადგილი, სადაც ხატი უნდა მოეთავსებინა, წინდაწინ მოაწყო. ხატი დიდი მანქანით მოაბრძანა, ფრთხილად და დიდი პატივით ექცეოდა. გაბრიელმა და მხატვარმა ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და გამზადებულ ადგილზე დაჰკიდეს. ჩვენც, ოჯახის წევრებიც, შევყევით, მას რომ უხაროდა, ჩვენც სიხარულით აღვივსეთ. ის იყო, ხატი ადგილზე მოათავსეს, და უცებ, ერთ წამში, საამო სურნელება დადგა, მთელი სივრცე საამო სურნელით გაიჟღინთა. მივხვდი, რომ ეს რაღაც ჩვეულებრივი ამბავი არ იყო, გულმა არ მომითმინა და ხმამაღლა ვთქვი: მეჩვენება თუ მართლა რაღაც სურნელება დგას ჰაერში-მეთქი. სხვებმაც რომ დამიმოწმეს, გაბრიელს ცრემლები წამოუვიდა და გვითხრა:

– არ გეჩვენებათ, ნამდვილად ასეა. ეს იმის ნიშანია, რომ უფალმა ინება ჩემს ეკლესიაში მობრძანება.

მუხლებზე იდგა ასე თვალცრემლიანი და გახარებული ქრისტეს ადიდებდა.“

ხელისუფლებამ ამ ეკლესიის დანგრევა გადაწყვიტა. ეს იყო წითელი რეჟიმის შინაგანი ბრძოლა მამა გაბრიელის წინააღმდეგ. ამ ბოროტების მსახურნი შინაგან დონეზე ვერ ეგუებოდნენ მამა გაბრიელის მყოფობას ამ ქვეყანაზე. მათთვის ღმრთის განგება, რომელმაც იმ დროს შეუძლებელი შესაძლებელყო და მამა გაბრიელი დახვრეტასა და საგიჟეთში სამუდამოდ ჩაკეტვას გადაარჩინა, კვალად დაფარული და განუჭვრეტელი რჩებოდა. ამიტომ ცნობილია, რომ იმდროინდელი რეჟიმისა და ბელადის ბევრი მსახური, გაკვირვებული და გამწარებული იმით, რომ მამა გაბრიელი ცოცხალი და თავისუფლებაში მყოფი დარჩა, ბრაზობდა საკუთარ თავზე და ამბობდა:

– ჩვენი ბრალია, ჩვენ ვერ ვივარგეთ, თორემ ეს მღვდელი ასე როგორ გადარჩებოდა?!

ამ მრისხანების შედეგი იყო ის ხშირ-ხშირი დაბარება მამა გაბრიელისა ძალოვან ორგანოებში, სადაც მას სასტიკად სცემდნენ. ამ მრისხანებას კიდევ ემატებოდა ის, რომ ვერაფრით შეძლეს მისი გატეხვა და დაშინება, ისინი კვალად და კვალად ხედავდნენ მასში ღმრთის ურყევ რწმენასა და შეუგუებლობას ბელადისა და კომუნისტური წყობის მიმართ. ამ მრისხანების, მამა გაბრიელისადმი „წითელი რეჟიმის“ შინაგანი სიძულვილის (შინაგანს ვამბობთ, რადგან თითქოს მათ ხომ მამა გაბრიელი ცოცხლად დატოვეს) შედეგი იყო მათი ახალი გადაწყვეტილება – დაენგრიათ ეკლესია-სამლოცველო, რომელიც იმ დროისთვის ერთადერთი თავშესაფარი და ნუგეშისმცემი ადგილი იყო მამა გაბრიელისათვის ამ სოფელში, თუმც კი ძნელია წარმოდგენა იმაზე მეტად შეჭირვებული



წმიდა მამა გაბრიელი

და დამცირებული ცხოვრებისა, რაც მამა გაბრიელს ნატვრით ჰქონდა – ღვაწლი ღვთისათვის სულელად ყოფნისა, ცხოვრება სასაფლაოებზე, ღია ცის ქვეშ ყინვაში, თოვლში, წვიმაში, ქარში, მწველ სიცხეში. გლახაკობა, ანუ მათხოვრობა, რათა არსებობისთვის საჭირო მცირედი საშუალება ჰქონოდა, და მაინც, ხელისუფლება დაუნდობელი იყო მისდამი.

4 წელი იყო გასული ციხიდან და საგიჟეთიდან განთავისუფლების შემდეგ, 4 უმძიმესი წელი. თითქოს უნდა დაივიწყებოდა ხელისუფლებას მამა გაბრიელი, მისი ამგვარი გლახაკი ცხოვრების გამო, მაგრამ არა, არ დავიწყებია!

ჟამითი ჟამად, იშვიათად, მამა გაბრიელი თავის აშენებულ ეკლესია-სამლოცველოს მოინახულებდა, რამდენიმე დღით დარჩებოდა და შემდეგ ისევ თავისი ცხოვრების წესს – სასაფლაოებზე ცხოვრებას უბრუნდებოდა. ეკლესია-სამლოცველოში მისული დიდხანს არ რჩებოდა, რადგან საკარმიდამო ეზოში მცხოვრებ ოჯახის წევრებს – დედას და დას, რომელიც იმ დროისათვის გათხოვილი იყო და ქმარ-შვილი ჰყავდა, ხელისუფლებისგან კვალად პრობლემები არ შექმნოდათ. ეს, მცირე დროით, ეკლესია-სამლოცველოში დარჩენა, მისი გამწარებული ცხოვრების ერთადერთი ამსოფლიური ნუგეში იყო. აქ, მისთვის საყვარელ კედლებსა და ჭერს შეფარებულს, მამა გაბრიელს შეეძლო, სასაფლაოზე ცხოვრების სიმძიმისაგან მცირედ მოესვენა ღია ცის ქვეშ და რამდენიმე დღით, სიმშვიდეში, მყუდროდ ელოცა და ედიდებინა ღმერთი.

ხელისუფლებამ ამ ეკლესიის დანგრევა გადაწყვიტა და ეს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს მკაცრად მოსთხოვეს:

– თქვენი მღვდელია და თქვენვე მიხედეთ!

შაბათს, მწუხრისა და ცისკრის მოსასმენად სიონში მისულა მამა გაბრიელი, რათა კვირას წირვაზე ჩვეულად, საეროთა თანა ზიარებულიყო. ღვთისმსახურებას კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II აღასრულებდა. მწუხრის დაწყების წინ პატრიარქს მამა გაბრიელი საკურთხეველში მოუხმია და უთქვამს:

– მთავრობა ძალზე ბრაზობს შენს აშენებულ ეკლესიაზე და დანგრევას ითხოვენ. ცუდი დრო არის, ახლა არ შეიძლება მათთან ურჩობა, უმჯობესია, არ გავაბოროტოთ და დაანგრიე.

თავზარი დაეცა ამის გაგონებაზე მამა გაბრიელს, დაბნეულა, მცირე ხანს ჩუმად მდგარა, შემდეგ ძალა მოუკრებია და პატრიარქისთვის უთქვამს:

– ვერ დავანგრევ, მე მაგას ვერ ვიზამ!

პატრიარქს, ღმრთისმსახურების დაწყების გამო, საუბარი ამ თემაზე აღარ გაუგრძელებია, არამედ მხოლოდ ესღა უთქვამს:

– არ გვინდა ახლა მაგაზე საუბარი, ლოცვა რომ მორჩება, მერე დაგელაპარაკები.

ლოცვა დამთავრდა, მღვდლები არ წავ-

იდნენ, იცოდნენ, რაც ხდებოდა, და საუბრის მოსასმენად დარჩნენ. გამოსულა საკურთხევლიდან პატრიარქი ეფრემი და ტაძარში მდგარი მამა გაბრიელი მოუხმია:

– ნუ ურჩობ, გაბრიელ, ვიცი, ადვილ საქმეს არ გეუბნები, მაგრამ ეს ჩემი კურთხევაა და უნდა შეასრულო!

მამა გაბრიელი თხოვნით მიმართავდა პატრიარქს, ნუ დამავალებ ამის გაკეთებას, მაგრამ უწმინდესი ეფრემი კურთხევის აღსრულებას მოითხოვდა. მაშინ მამა გაბრიელმა უთხრა:

– მამამთავარი ხარ ჩვენი და შენგან გვმართებს ჩვენ მაგალითით ცხოვრება. მაგალითი მიჩვენე, ჯერ შენ მოშალე, კათოლიკოსო, შენი სალოცავი კუთხე და მერე მე მითხარი ამ საქმის აღსრულება. მაგ უღმერთოთ რომ ვუსმინოთ, ჯვარსაც აგვახსნევინებენ გულიდან. ვერ ვიზამ მაგას, რაც ღმრთის სადიდებლად ავაშენე, ჩემი ხელით როგორ დავანგრიო?!

გული მოულბო ამ სიტყვებმა უწმინდეს ეფრემს და ამიტომ ამ საქმის აღსრულებისგან ხელი აიღო. უწმინდეს ეფრემს კი მოულბა გული, მაგრამ პარტიულ ხელისუფალთ არა. მოხდა უცნაური რამ: რამდენიმე დღეში ამ საუბრიდან მამა გაბრიელს სახლში ეწვია კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, მას ახლდნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებული, იმ რაიონის რაიკომის მდივანი და რამდენიმე მილიციელი. მამა გაბრიელი, ბედად, თავის ეკლესია-სამლოცველოში იმყოფებოდა. გამოვიდა, პატრიარქს პატივით შეეგება და დანარჩენ სტუმართაც თავაზიანად მიესალმა. უწმინდესმა ეფრემმა გვერდზე გაიხმო მამა გაბრიელი და უთხრა:

– ძალიან წყრებიან ამ შენს ეკლესიაზე, გაბრიელ, და დანგრევას ითხოვენ, დამიჯერე, ახლა ცუდი დროა, არ ღირს ამათთან ურჩობა, დაანგრიე, და როცა შენების დრო მოვა, მაშინ ააშენე!

მამა გაბრიელმა მხოლოდ და მხოლოდ უწმინდეს ეფრემს გაუწია ანგარიში, სცა პატივი, რადგან მოერიდა ხნიერი პატრიარქის ასეთ უხერხულ ვითარებაში ხილვა; ხვდებოდა, რომ ის მთავრობის იძულებით იყო მოსული და ამიტომ უხმოდ, მათ თვალწინ, ეკლესიის წინკარის მორღვევა იწყო. ეს წინკარი ორ პატარა ოთახს – ხალხის მოსაცდელ და მამა გაბრიელის სადურგლო სახელოსნოს წარმოადგენდა. გახარებით მთავრობის წარმომადგენლებს ამის დანახვა და რამდენიმე ხანი ამ სანახაობით დამტკბარნი, ბედნიერნი გაბრუნებულან უკან. პატრიარქი ეფრემი მათზე ადრე წასულა.

მამა გაბრიელმა მართლაც მონაგრია ეკლესია-სამლოცველოს წინკარი, მაგრამ თავად ეკლესია-სამლოცველოს ხელი არ ახლო. რამდენიმე დღე რომ გავიდა, ადგა და ხელახლა მიაშენა ადრინდელის მსგავსად, შედარებით უფრო პატარა წინკარი. ეს ამბავი დეტალურად აცნობეს პატრიარქ ეფრემს მთავრობის წარმომადგენლებმა და პატრიარქმა ეფრემმაც თავისთან იხმო მამა გაბრიელი. აღელვებული შეხვედრია პატრიარქი მამა გაბრიელს და მკაცრად უთქვამს:

– მე ხომ გითხარით, დაანგრიე! ცუდი დრო არის და როცა აშენების დრო მოვა, მაშინ ააშენე-მეთქი. ან რა იყო მაშინ დანგრევა, თუ არ ანგრევდი, ან ხელახლა რაღად მიგიშენებია ის დანგრეული?!

– მაშინ, რაც დავანგრიე, კათოლიკოსო, თქვენი იქ ყოფნის გამო გავაკეთე. მაშინ ცუდი დრო იყო და დავანგრიე, გავიდა რამდენიმე დღე, შენების დრო დადგა და ავაშენე. რა ვქნა, რაც ღმერთის სადიდებლად ავაშენე, როგორ დავანგრიო!

ამ პასუხის გამო კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ მამა გაბრიელს უზიარებლობის კანონი დაადო.

მამა გაბრიელის დები ასე იგონებდნენ ამ პერიოდს:

– მოვიდოდა ისე, რომ ხმას არ გაგვცემდა, ეკლესიაში შევიდოდა და ხმამაღლა ტიროდა: „უფალო, რაც შენს სადიდებლად ავაშენე, ის ჩემი ხელით როგორ დავანგრიო.“

ძნელია და საშინელი ცხოვრება, როდესაც ყველასგან შერისხული ხარ. უცილობელია, რომ ეს პერიოდი, როდესაც მამა გაბრიელი ზიარებისგანაც დააყენეს და 8 თვეს გაგრძელდა, ყველაზე მძიმე ჟამი იყო მის ცხოვრებაში. ასეთი უღლის ტვირთვა – როდესაც უსასტიკესად იცდება შენი რწმენაც, რისგანაც უმძიმესი ტკივილი მოგეყენება, არ დაკარგო და შეინარჩუნო სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული – მხოლოდ დიდთა რჩეულთა ხვედრია. ეს უმძიმესი განსაცდელი იყო, იმ დიდი და ბრწყინვალე ჯვრის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მამა გაბრიელმა ყრმობისას ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე იხილა და რომლის ხილვის არსსაც გარდაცვალების ჟამს ჩასწვდა – „ეს ჩემი ჯვარი იყოო...“ ღმერთთან სრული ერთობის მოსწრაფეს, სრული გამოცდისა და სრული განსწავლის გზა უნდა გაევლო.

მთავრობა არ დაცხრა, რამდენიმე დღეში მივიდნენ და ულამაზესი 7-გუმბათიანი ეკლესია-სამლოცველო დაანგრიეს. მამა გაბრიელის უფროსმა დამ ასე გვიამბო ეს ამბავი:

„დიდი აურზაურით მოვიდნენ. ქალაქკომის პირველი მდივანი, მილიციის უფროსი, მილიციელები და მუშები. ყველაფერს ჩვენი რაიონის რაიკომის მდივანი ქალი ხელმძღვანელობდა. გაბრიელი თავისთან ეკლესიაში იყო და იმათი მოსვლით ყველაფერს უთქმელად მიხვდა. შევშინდი, მიველი და ვთხოვე: ვასიკო, ძმაო, გეხვეწები, არაფერი უთხრა, ხომ ხედავ, როგორი გაშმაგებულები არიან, რამე არ მოგწიონ, ესენი უკან არ დაიხევენ-მეთქი.

გამიკვირდა, რაღაცნაირად მშვიდად იყო და ძალიან მტკიცედ მითხრა:

– ნუ გეშინია, დაო, დღეს ამათ უხარიათ, ხვალ იმწუხრებენ. დღეს მე ვარ მწუხარე, მაგრამ ხვალ გავიხარებ. რასაც დაანგრევენ, ღვთის ნებით, უბნის გარეთ ვერ გაიტანენ, მივალ და ხვალვე ყველაფერს უკან დავაბრუნებ.

ეს მითხრა, სახლში შევიდა და მეორე სართულის აივანზე ჩამოჯდა, იქიდან დაჰყურებდა მთელ ამ უბედურებას. ჯერ გუმბათები მოარღვიეს, შემდეგ სახურავს დაუწყეს აყრა და გადახდა. კედლებს ხელი ვერ ახლეს, დრო აღარ ეყოთ, რადგან უკვე ღამდებოდა და დანგრეული მასალის მანქანაზე შეყრას ვეღარ მოასწრებდნენ.

გაბრიელს გარეთაც კი არ გაუხედია, მთელი ღამე კედლებს ნანგრევებისაგან ასუფთავებდა. არ დაიჯერებთ, არ ვიცი, რა მოხდა, მძღოლი დაღლილი იყო, ღამის გამო შორს წასვლა დაეზარა თუ რა, მაგრამ სასწაული ის არის, რომ, როგორც გაბრიელმა მითხრა, უბანს გარეთ ვერ გაიტანენ და ხვალ ყველაფერს უკან დავაბრუნებო, ზუსტად ყველაფერი ისე ახდა: ძველად, აგერ ახლოში, 2-3 კილომეტრში, სამას არაგველამდე არ მისული, ერთი მიტოვებული სკვერი იყო, აულია და მძღოლს ეს მანქანა იქ დაუცლია. გაბრიელი კი დილით სახლიდან გავიდა, ეს ყოველივე რაღაცნაირად მოიძია, მანქანა იქირავა და მართლაც ყველაფერი უკლებლივ უკან დააბრუნა. უნდა გენახათ, როგორი გახარებული იყო, გაბრწყინებული სახით მეუბნებოდა:

– ნახე, დაო, როგორი დიდია ღმერთის მოწყალება, დღესვე შევუდგები განახლებას!

ვთხოვე: იქნებ ცოტა ხანი გაჩერებულიყავი, გაბრიელ, გეცლია, დრო გასულიყო, დაავიწყდებით, რისხვაც გადაუვლით და მერე აგეშენებინა; თორემ, გუშინ დაანგრიეს, ხოლო შენ რომ დღეს აშენებას დაიწყებ,

გადაირევიან და ნამდვილად არ გაპატიებენ!

სათქმელს რომ მორჩი, შემომხედა და მითხრა:

– რამდენის უფლებაც მიეცათ ღვთისაგან, ის ქნეს! მეტს ვეღარ დაანგრევენ!

გავიდა რამდენიმე საათი, შუადღე გადასული იყო, გაბრიელი უკვე ეკლესიაზე მუშაობას იყო შემდგარი, რომ ჭიშკარზე კაკუნი გაისმა. კარი მე გავაღე და ვხედავ, მილიციის უფროსი დგას. შევშინდი, ვიფიქრე, ალბათ აცნობეს და აი, დასაჭერად მოვიდნენ-მეთქი, მაგრამ თურმე არა. თავაზიანად მითხრა:

– ქალბატონო, მამა გაბრიელის ნახვა მინდოდა!

ჭიშკარში შემოვიყვანე და გაბრიელს ვაცნობე. ბოდიში უხადა, სულ თავდახრით ესაუბრებოდა. მე მოშორებით ვიდექი და საუბარი ვერ გავიგე, მაგრამ მომხდარზე ბოდიში რომ მოუხადა და ძალიან თავაზიანად ესაუბრებოდა, ეს გავიგე და ვხედავდი. ამით არ დასრულებულა ის უცნაური დღე. ღამე, ყველანი რომ სახლში ვიყავით, ჭიშკარზე კაკუნი გაისმა. გავედი და რას ვხედავ?! ჩვენი რაიკომის მდივანი მოსულიყო, მანქანა წინ გაეჩერებინა, არ ვიცი, რატომ, ალბათ, ვინმემ გაბრიელთან მისული არ შეამჩნიოსო. გაბრიელს დავუძახე და ამ ქალბატონს ეზოში შემოსვლა შევთავაზე. მხოლოდ ორი ნაბიჯი შემოდგა, ჭიშკარი რომ მოეკეტა და იქვე დაელოდა. მივიდა გაბრიელი, მშვიდად მიესალმა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. მეც იქვე ვადექი, ერთი სული მქონდა, გამეგო, რას ესაუბრებოდა. ძალიან შეშინებული იყო:

– ბოდიშს გიხდი, მამა გაბრიელ, ჩემს ამ ჩადენილ საქციელზე, გეხვეწები, არ შემრისხოთ, ოჯახი მყავს, შვილები, აქ აღარავინ მოვა, აი, ფული მოგიტანეთ, რაც დაანგრიეთ, რომ აღადგინოთ. მე ვერ გამოვჩნდები, მაგრამ გაფრთხილებული მეყოლება, ხვალ თუ მობრძანდებით რაიკომში და „ზაზხოზს“ იკითხავთ, სახურავისთვის 3 კაპიკად შიფერს მოგცემენ. აქ იმდენი ფულია, რომ ყველაფერს ეყოფა!

გაბრიელი ფულს არ შეხებია, ბოლომდე, ვიდრე სათქმელს არ მორჩა, ხმა არ გაუცია, დააცადა და რომ დაასრულა, მოკლედ უთხრა:

– თქვენი ფული არ მინდა, მხოლოდ თავი დამანებეთ. თქვენ და თქვენს ოჯახს კი ღმერთმა ჭეშმარიტი სარწმუნოება მოგცეთ და ცოდვათა შენდობა.“

მამა გაბრიელმა ეკლესია-სამლოცველო მალევე აღადგინა, ოღონდ არა პირვანდელი სახით, რომელიც უფრო დიდებული ყოფილა, ვიდრე მეორე, განახლებული. ეკლესია-სამლოცველოს ზომა ოდნავ შეუმცირებია – მოკლო სადურგლო ოთახი და 7 გუმბათის მაგივრად მხოლოდ ერთი და მაღალი გუმბათი დაადგა თავს.

ეს, ერთი რომ, სრულმა უსახსრობამ გამოიწვია და მეორე – ორმოცს გადაცილებულ, ტანჯვა-წამებაგამოვლილ მამა გაბრიელს, აღარ ჰქონდა ადრეულ დროთა დარი ახალგაზრდული შეძლება – ჯანმრთელობა, რომელიც უპირობოდ სჭირდებოდა იმ მძიმე ფიზიკურ შრომას.

დღეს ამგვარი, მეორე სახით არის მოწევნული ჩვენამდე ეკლესია-სამლოცველო, რომელიც მნახველის გაკვირვებას და აღფრთოვანებას იწვევს. პირველის მხოლოდ მოაზრება და წარმოდგენა შეგვიძლია იმ ბუნდოვანი ფოტოთი, რომელიც ერთადერთი მოწმობაა პირვანდელი შენებულობისა.

საკვირველი საქმე გვიჩვენა ღმერთმა მამა გაბრიელით – გვიჩვენა, რომ უკეთუ მისებრ ჭეშმარიტად მივიქცევით ღმრთისაკენ და გამოვავლენთ მტკიცე ძალისხმევას – თავისუფალი ნების შეუდრეკელ მოქმედებას ღმრთისადმი რწმენაში და ჩვენი დაცემული ბუნების სინანული-

თა და სათნოებით განწმენდაში – ყოველივე ბოროტება უკუიქცევა და იძლევა ჭეშმარიტი რწმენისა და სათნოების წინაშე – ვგულისხმობთ, რომ ღმერთი, რომელიც მცველია ჭეშმარიტი რწმენისა და სათნოებისა ჩვენში, ადამიანში, უკუაქცევს და შემუსრავს ყოველგვარ ბოროტებას ყოველგვარ გამოვლინებაში.

„საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაელისა“ – ეს იყო საკვირველი, რადგან ამხელა ბოროტებამ – კომუნისტურმა რეჟიმმა – უკან დაიხია მამა გაბრიელის წინაშე. აპატიეს უპატიებელი – საპირველმაისო აღლუმზე ბელადის, მინისტრთა საბჭოს შენობაზე დაკიდებული, უზარმაზარი პორტრეტის დაწვა. ხოლო ახლა, ეკლესია-სამლოცველოს პირველი დანგრევის შემდეგ, მეორე მცდელობა ვეღარ გაბედეს და ღმრთის მოწყალებითა და განგებულებით ეს საკვირველი ნაგებობა დღევანდელ დღემდე ხელუხლებლად შემოგვრჩა.

მიუხედავად მთავრობის დადუმებისა, პატრიარქი ეფრემის პოზიცია მამა გაბრიელის მიმართ უცვლელად დარჩა, ვგულისხმობთ უზიარებლობის კანონს.

ეს იყო განსაკუთრებით მძიმე სულიერი ტკივილის რეჟიმი მამა გაბრიელის ცხოვრებაში, რადგან შერისხული მთავრობისაგან, შერისხული აღმოჩნდა თავისი მშობელი ეკლესიისგანაც, რაკი თავდაპირველად უარი ეთქვა სამღვდელო მსახურებასა და ტაძარში დადგინებაზე, ხოლო შემდგომში – ზიარებაზე.

მდგომარეობა რთული და თითქოს გამოუვალი იყო. პატრიარქი, მთავრობის გაბოროტებული მდგომარეობის გამო, დაიძაბა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად საბოლოოდ მამა გაბრიელს ეკლესია-სამლოცველოს დანგრევა უბრძანა, ეს კი მიუღებელი იყო ქრისტეს მხნე მოღვაწისათვის – მამა გაბრიელისათვის.

მიუხედავად ამ ყოველივესი, პატრიარქი ეფრემი შინაგანად კეთილად განწყობილი იყო მამა გაბრიელის მიმართ, იყო რა იგი საერთოდ კეთილი და მდაბალი თვისების კაცი. მაგრამ, მომხდარისა და იმდროინდელი საშინელი ეპოქის გამო, იმ დროს



მამა გაბრიელის მიერ აშენებული ეკლესია-სამლოცველო

და შემდგომშიც მამა გაბრიელთან ახლო ურთიერთობა მთავრობის წინაშე საშიშად ითვლებოდა. პატრიარქ ეფრემს მამა გაბრიელთან, გარეგნულად, თავი შორად ეჭირა. პატრიარქის გარეგნულად მკაცრი დამოკიდებულება მამა გაბრიელისადმი, ზოგი იმდროინდელი ღმრთისმსახურისთვის მიზეზად გამოდგა, რათა მათი შინაგანი უკეთურება გამოცხადებულიყო, რადგან, თითქოსდა პატრიარქის ერთგულებით აღძრულნი, ეკლესიაში სალოცავად შესულ მამა გაბრიელს უხეშად ექცეოდნენ – ამცირებდნენ ხალხის წინაშე, ლანძღავდნენ და ხანდახან ტაძრიდანაც კი აგდებდნენ. ამის შესახებ არაფერი უწყოდა პატრიარქმა ეფრემმა, რადგან მის წინაშე მამა გაბრიელისადმი ასეთ მოქცევას ვერავინ გაბედავდა, ხოლო თავად გაბრიელი დუმდა და დაითმენდა.

ზემოთ მონათხრობიდან გამომდინარე, ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ მამა გაბრიელი გულნაკლულად მომხსენებელი იქნებოდა პატრიარქი ეფრემისა.

ამა საქმეთა თავსმდები ადამიანი, კრიტიკულად,კაცობრივად განმსჯელი პატრიარქისა,უცილობლად დაჰკარგავდა კეთილგანწყობას მისდამი. მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტეს მოღვაწე მამა გაბრიელთან საქმე სხვაგვარად იყო. ის სიცოცხლის ბოლომდე დიდი სითბოთი იგონებდა პატრიარქ ეფრემს და არანაირი ხელოვნურობით, არამედ გულიდან მომდინარე სითბოთი იტყოდა:

– კეთილი და მდაბალი იყო პატრიარქი ეფრემი. ხანდახან სიონში მყოფს რომ დამინახავდა, მოვიდოდა, ხურდა ფულს მომცემდა და მეტყოდა: „გაბრიელ, წადი და ორი მაწონი იყიდე შენთვის და ჩემთვის.“ ხედავთ, სიტყვაშიც კი თავს იმდაბლებდა,რადგან ჯერ მე მახსენებდა და მერე თავისთავს. მაწონს რომ მივუტანდი, არ გამიშვებდა, არამედ ჩემთან ერთად შეჭამდა იმ ქილა მაწონს იქვე, სიონის ეზოში.

მათ შორის ასეთი ურთიერთობა იყო ვიდრე ზიარების აკრძალვამდე. ზიარების აკრძალვის შემდგომ კი პატრიარქი აღარ ურთიერთობდა მამა გაბრიელთან და იყო მისდამი მკაცრად, ვიდრე კვალად ზიარების დაბრუნებამდე.

ალბათ დამეთანხმებით,რომ ამ მონათხრობში მხოლოდ სითბო და სიკეთე შეიგრძნობა და სხვა არაფერი. მამა გაბრიელს,მის მადლმოსილ გულსა და გონებას, ჩვენგან განსხვავებით, ასეთი თვისება ახასიათებდა – ადამიანს იმ კეთილი მხრიდან მოიგონებდა და გაგაცნობდა, რომელიც მას ჰქონდა და არასოდეს, რაც არ უნდა ავად ყოფილიყო ვინმე მისდა მიმართ მოქცეული, უსიყვარულოდ და განყენებულად არ ახსენებდა. ყველა თხრობაში, იქნებოდა ეს დასმული შეკითხვიდან გამომდინარე, თუ სხვა ცხოვრებისეული ვითარებიდან, როდესაც მამა გაბრიელს იმ ადამიანის ხსენება უხდებოდა, რომელსაც მისდამი ნებსით თუ უნებლიეთ უჯერო საქციელი ჰქონდა ჩადენილი, ისეთი სითბოთი და სიკეთით ახსენებდა, რომ ვერავინ დაბადებული რაიმე კვალსაც კი ვერ დაინახავდა წარსულში მომხდარი აუგი საქმისას. პირიქით, თუკი შემდგომ, სხვა რამ წყაროდან გაიგებდი სინამდვილეს, გაკვირვებული რჩებოდი პატიების იმ საზომით, სიკეთითა და უბრალოებით, რომელიც მას ჰქონდა.

უზიარებლობის კანონი, რომელიც მამა გაბრიელს მის მიერ აშენებული ეკლესია-სამლოცველოს არდანგრევის გამო დაედო, მერვე თვეს, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მოწყალებით კეთილად დასრულდა. მამა გაბრიელმა თავად მოგვითხრო ამის შესახებ:

სვეტიცხოვლობის დღესასწაული მოწევნულიყო. გადაუწყვეტია, თბილისიდან ფეხით წასულიყო მცხეთაში და ღამისთევით შეგებებოდა სვეტიცხოვლობის – მაცხოვრის კვართისა და მირონმდინარე სვეტის დღესასწაულს. სურდა, საუფლო კვართის განსასვენებელთან შევედრებოდა უფალს შემწეობასა და შეწყალებას, რათა სულის შემაჭირვებელი უზიარებლობის კანონიდან ეხსნა და კვალად ღირსი გამხდარიყო საღმრთო ზიარების მიღებისა. ასევე განზრახული ჰქონდა, ენახა პატრიარქი ეფრემი, მაგრამ არ იცოდა, მათი შეხვედრისა და საუბრის შემდეგ რა შეიცვლებოდა. მამა გაბრიელი ურყევი იყო თავის რწმენაში, პატრიარქი ეფრემი კი უპირობოდ თავისი კურთხევის აღსრულებას მოითხოვდა:

– მხოლოდ უფლის იმედი მქონდა, რადგან ვიცოდი, რომ პატრიარქი ჩემდამი მოცემულ კურთხევაში უცვლელი იყო.

ჩანაფიქრისამებრ სვეტიცხოვლის ტაძარში დაესწრო სადღესასწაულო მწუხრისა და ცისკრის ლოცვას, რომელსაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II ატარებდა. პატრიარქი ლოცვის დამთავრებისთანავე თბილისში ისე წავიდა, რომ მამა გაბრიელმა მასთან მისვლა და საუბარი ვერ შეძლო, ამიტომ მათი შეხვედრა თავისთავად მეორე დღისთვის გადაიდო. მამა გაბრიელი ტაძარში დარჩა და მაცხოვრის კვართის განსასვენებელთან ლოცვის კანონის შესრულება იწყო. ასე გასტანა რამდენიმე საათმა. შუაღამე გადასული იყო, როცა მოსასვენებლად იქვე – სვეტთანვე ჩამოჯდა და ჩაეძინა. აქ მან იხილა ის საკვირველი ჩვენება, რომელმაც დასასრული დაუდო მამა გაბრიელის მტანჯველ სულიერ სიმწარეს – უზიარებლობის კანონს:

– ვხედავ, მაცხოვრის კვართის განსასვენებელთან ვდგავარ, უკვე დილაა და სადაცაა პატრიარქი უნდა მობრძანდეს, ყველანი – სამღვდელოება, სტიქაროსნები მის დასახვედრად ემზადებიან. გაისმა ზარების რეკვა და ტაძარში პატრიარქი შემობრძანდა, ჯერ მაცხოვრის კვართის განსასვენებელს ემთხვია, ხოლო შემდგომ წესისამებრ შევიდა საკურთხეველში. სიჩუმე ჩამოდგა, ტაძარში მყოფნი წირვის დაწყებას ველოდებოდით. ამ დროს, უეცრად, ტაძარში მაცხოვარი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი გამოჩდნენ, ჩემთან მოვიდნენ, აღსავლის კარით საკურთხეველში შემიყვანეს და ტრაპეზის წინ დამადგინეს. შემდგომ მაცხოვარმა პატრიარქისკენ გაიხედა, ჩემზე ხელით მიუთითა და უბრძანა: „ამისგან შევიწირავ!“ გამომეღვიძა, ნანახისაგან ნუგეშისცემული სული დიდ სიტკბოებას განიცდიდა და იმედი მომეცა, რომ რაღაცა აუცილებლად შეიცვლებოდა სიკეთისაკენ.

საღმრთო ჩვენებისაგან ნუგეშცემულმა მამა გაბრიელმა გადაწყვიტა, რომ ზიარების ლოცვები წაეკითხა, რადგან იფიქრა:

– იქნებ ეს ხილვა იმას ნიშნავდა, რომ დილას, წირვაზე პატრიარქმა ზიარების უფლება უნდა დამიბრუნოს, ამიტომ ჯობს, მე ჩემ მხრივ მოვემზადო და თუ მართლაც ეს ასე მოხდა, ზიარებას აღარ გამოვრჩები.

მიუხედავად ამგვარი საღმრთო ჩვენებისა, მდაბლად ზრახავდა მამა გაბრიელი საკუთარ თავზე. ალბათ, ასეთია თვისება ჭეშმარიტად ქრისტეს მოწაფეებისა.

დილით მოვლენები ასე განვითარდა: პატრიარქი, უწმინესი ეფრემი, ტაძარში განწესებულ ჟამს მიბრძანდა. მამა გაბრიელი მაცხოვრის კვართის განსასვენებელთან იდგა და როდესაც პატრიარქი ეფრემი მაცხოვრის კვართის განსასვენებელთან თაყვანისცემისათვის მივიდა, მამა გაბრიელმა პატრიარქს ღრმად თავდადრეკით პატივი მიაგო. მცირე ხნის შესული იყო პა-

ტრიარქი საკურთხეველში, როდესაც მამა გაბრიელს უწმინდესი ეფრემის ბრძანებით საკურთხეველში უხმეს. მამა გაბრიელი საკურთხეველში შევიდა. პატრიარქი ეფრემი ტახტზე იჯდა. მივიდა და ლოცვა-კურთხევა აიღო. როგორც მამა გაბრიელმა გვითხრა:

– პატრიარქს სახე შემკრთალივით ჰქონდა, ეტყობა, მანაც რაიმე ჩვენება იხილა, მაგრამ მაგას მე ხომ არ მეტყოდა. მკითხა, ვიყავი თუ არა მზად ზიარებისთვის, და როცა თანხმობა ვუთხარი, ლოცვა-კურთხევა მომცა, რომ შევმოსილიყავი და მეწირა.

ეს საკვირველი დღე ამით არ დასრულებულა, როდესაც წირვა დამთავრდა, პატრიარქმა ეფრემმა მამა გაბრიელი თავისთან იხმო და ჰკითხა:

– სამთავროს დედათა მონასტერში და სემინარიაში (მაშინ სემინარია სამთავროს მონასტერში იყო განთავსებული) მოძღვრად რომ დაგნიშნოთ, თუ წახვალ? – მამა გაბრიელი დასთანხმდა.

მაშინ პატრიარქმა ასეთი რამ დაავალა:

– წადი და ნახე მიტროპოლიტი ილია (დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; მისი უწმინდესობა მაშინ სემინარიას განაგებდა). ჩემი სურვილი აუწყე სასწავლებელში მოძღვრად დანიშვნისა და თუ თვითონაც თანახმა იქნება, სთხოვე, რომ თანხმობა წერილობით დამიდასტუროს.

მამა გაბრიელმა მიტროპოლიტი ილია იმ დღესვე ნახა და პატრიარქის საუბარი დაწვრილებით აუწყა:

– ძალიან გაუხარდა ილიას, მომილოცა სამღვდელო მსახურებაში დაბრუნება და პატრიარქისათვის გადასაცემი თანხმობის წერილი დაუყონებლად დამიწერა.

მამა გაბრიელი პატრიარქს ესტუმრა და მიტროპოლიტი ილიას თანხმობის წერილი გადასცა. ამის შემდეგ პატრიარქმა ეფრემმა უკვე ლოცვა-კურთხევით დაადგინა სამთავროს დედათა მონასტრისა და სემინარიის მოძღვრად მამა გაბრიელი. საცხოვრებლად, მუდმივ მფლობელობაში გადასცა სამთავროს მონასტერში მდებარე ძველი კოშკი, რომლის პირველ სართულზე, მომცრო კელიაში დაიდო ბინა მამა გაბრიელმა. ამიტომ იყო, რომ ხანდახან წრფელი სიხარულით იტყოდა:

– მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოწყალებით და ორი პატრიარქის კურთხევით მაქვს ეს სენაკი მოცემული!

საკვირველია ეს დღე, რადგან თუ არა ღმრთის ნება და მოქმედება, შეუძლებელი იყო, ასე ერთბაშად შეცვლილიყო სიკეთისაკენ მამა გაბრიელის ცხოვრება, რომელსაც მთელი ხუთი წლის განმავლობაში ტანჯვა და დევნა ახლდა. ქრისტეს წინაშე ყოველივეს კეთილად დამთმენმა და ჭეშმარიტი ერთგულების გამომავლინებელმა, ყოველივე დაკლებული ერთ დღეში მიიღო, სამართლად მიიღო და უმეტესი მიიღო, რადგან მას დაკლებული ჰქონდა რა ხელდასხმით კუთვნილი მღვდელმსახურება და ზიარების უფლება, ეს, როგორც ბრალის არმქონეს, სამართლად აღუდგა. ხოლო უმეტესი იმისთვის ვთქვით, რომ სამთავროს მონასტერში მოძღვრად დადგინება და, ამავე დროს, სასულიერო სემინარიის მოძღვრობის პატივი, ეს მართლაც იმ უმეტესს განაპირობებს, რომელიც ჯილდოდ მიეცა ქრისტესგან ჭირთა კეთილად დათმენისათვის. ამას კიდევ თან ერთვის საკვირველი საპატრიარქო კურთხევა, რომლითაც მამა გაბრიელს კოშკის პირველი სართული – ეს მომცრო სენაკი – მუდმივ მფლობელობაში გადაეცა. ზემოთ აღწერილი ამბავი მოხდა 1971 წლის 14 ოქტომბერს.

*არქიმანდრიტი კირიონის (ონიანი) წიგნიდან: „ღირსი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი, ცხოვრება და მოღვაწეობა“*

# მოგონებები წმიდა გაბრიელ ბერზე

მახსოვს, თვითონ მიამბო: „მე ბავშვობაში ხატის მონას მეძახდნენ, მაშინ ცხრა წლის ვიყავი, ავიდოდი მაღალ გორაკზე, იქ, სადაც ეკალ-ბარდები და ბუჩქები იყო, დავგორდებოდი იქიდან, დავეცემოდი მიწაზე და ვქადაგებდი, ვწინასწარმეტყველებდი; ერთი ნაკაწრი არ მქონდა, ყველას უკვირდა, ამიტომაც ხატის მონას მეძახდნენ, მაგრამ ეს ჩემგან კი არ მოდიოდა, არამედ – ღვთისაგან!“

ერთხელ მკითხა: „აი, ახლა გაიხედე გარეთ და წარმოიდგინე, რომ ქრისტე მოდის, რას იზამდი? მე დიდ ლოდს ამოვეფარებოდი და ძაღლივით წინ და უკან დავიწყებდი სირბილს და ყმუილს, მე ხომ ქრისტეს ძაღლი ვარ, – თან ტიროდა, – მხოლოდ ძაღლი უცოდველია, მე კი დიდი ცოდვილი ვარ. შენ რას იზამდი?“ დავფიქრდი და ვუპასუხე: „მე, მამა გაბრიელ, ვერ მივიდოდი, მაგრამ მერე, როცა უფალი წავიდოდა, გული დამწყდებოდა, რომ ვერ მივედი.“ მამა გაბრიელმა თავი დამიქნია და მითხრა: „ჰო! ის თვითონ დაგიძახებდა!“ – ეს პასუხი იყო ჩემთვის უდიდესი ნუგეში და სიხარული.

სხვა დროს ისევ მკითხა: „აი, ახლა წარმოიდგინე, ქრისტე მიჰყავთ გოლგოთაზე, რომის ჯარისკაცები იცავენ, როგორც კი მიეახლები, ეგრევე მოგკლავენ. მე ეგრევე გავიწირებოდი, შენ რას იზამდი?“ კვლავ დავფიქრდი და ვუპასუხე: „მამა გაბრიელ, მე ტირილს დავიწყებდი!“ მან თავი დამიქნია და მითხრა: „ჰო! კარქაა შენი საქმე!“

ამპარტავანს რომ უთხრა, ამპარტავანოო, იუკადრისებს, ხოლო თავმდაბალს რომ უთხრა – მიიღებს.

ჩემი უგუნურებით ვკითხე:

– მამა გაბრიელ, ღმერთს არავინ არ ენატრება?

– დამაცადე, – მიპასუხა, ზეცას აღაპყრო თვალები, დიდი პირჯვარი გამოისახა და ბრძანა: – ის თვითონ არის, დაო, სანატრელი!

ერთხელ მომმართა: „უგუნურო! – შემდეგ დააყოლა: – მშვიდად! ჯერ უგუნური უნდა იყო, რომ მერე ბრძენი გახდე, – კარგად დაიხსომე!“

რაღაც ვთხოვე, მინდოდა, შემსრულებოდა. ზეცას ახედა, თავი დახარა და დანანებით ტირილით მითხრა: მე კი მინდა, დაო, მაგრამ ღმერთს არ უნდა და რა გაეწყობა, რა ვქნა, არ შემიძლია. აბა, ღმერთია და ხომ უნდა გაუგო, უნდა დაუთმო.

ხშირად ამბობდა თავის თავზე: ჭუჭყი, ტალახი, მტვერი, ნაგავი, ნაგავიც რომ ყრია ქუჩაში, ის ნაგავიც ჩემზე უკეთესიაო; „რამ მოგიყვანა ჩემნაირ დიდ ცოდვილთან? ჩემი ცოდვები რომ იცოდე, აქედან გაიქცევი. არა გჯერა?“ ერთხელ მომმართა ტირილით: „როგორა ხარ, დაო, როგორ?“ მეც მისივე სიტყვები გავიმეორე:

„ნაგავიც კი მჯობია, მამა გაბრიელ!“

„მერე ღმერთს სწორედაც რომ ნაგავი უყვარს, დაო, ნაგავი! როგორები ვართ?!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი მანუგეშებელი იყო დიდი ცოდვილებისა. თუ აღიარებდი, რომ დიდი ცოდვილი იყავი, მაშინვე გეტყოდა, ჩემი ძმა ყოფილხარ, რა საერთო მაქვს წმინდანებთანო.

ჩემი აწ გარდაცვლილი მეგობარი იგონებდა: როდესაც ტკივილს მომაყენებდნენ, ან რაიმეს დავაშავებდი, მამა გაბრიელთან გავრბოდი, მეგონა, დამტუქსავდა, მაგრამ სახტად ვრჩებოდი, ყველაზე მეტს მაშინ მეფერებოდა, მეტად მიხუტებდა გულში და მამშვიდებდა. როცა დავწყნარდებოდი, ვეტყოდი: მამა გაბრიელ, შენ ყველაფერი იცი, იცი, რაც მოხდა, არ გამომდის ისე, როგორც შენ გინდა, რომ დავითმინო-მეთქი. როგორც ყოველთვის, სიყვარულით დამამშვიდებდა: არა უშავს, მერე რა მოხდა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდებაო, სხვა თემაზე გადაიტანდა საუბარს და მშვიდად მეტყოდა: „უფალს დაცემული ადამიანი არ უყვარს, გეყოფა, აღსდექი!“ თუ კიდევ დავაშავებდი, ასე მეტყოდა: ცდა და გამოცდილებაა, დიდი ცოდვილები დიდი წმინდანები გამხდარანო.

საუბარში მითხრა: „მოძღვარი გონებით უნდა აირჩიო და მხოლოდ მას უნდა დაემორჩილო, შენ ვინც გინდა, ოღონდ თუ სახარების მცნებებს გადავა, განერიდე მას, როგორც მტერს და როგორც ბოროტს!“

ვიღაც თამამად მიესალმა: „გამარჯობა, მამა გაბრიელ!“ მამა გაბრიელმა მრისხანედ შესძახა: „გამარჯობა გორბაჩოვს უთხარი! ქრისტემ მშვიდობა მოიტანა დედამიწაზე და მშვიდობის თქმა გმართებს!“

მამა გაბრიელთან მივდიოდი, ავტობუსში ფანჯარასთან დავჯექი. გარეთ გავიხედე და დავინახე, ხის ტოტზე ორი ბეღურა იჯდა. მოხდა ისე, რომ ეს ბეღურები გაფრინდნენ. გონებაში გამიელვა აზრმა, რომ ჩვენ ყველა მივატოვებდით მამა გაბრიელს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ბეღურები ისევ მოფრინდნენ და ტოტზე დასხდნენ, შემდეგ თითქოს ვიღაცამ საკენკი დაუყარა და მიწისკენ დაეშვნენ ასაკენკად. ისევ მომივიდა აზრი, რომ ჩვენ ყველა მივატოვებთ მამა გაბრიელს, ბოლოს კი დავბრუნდებით და ყველა მამა გაბრიელთან ვიქნებით. თუ ეს ჩემი ნაფიქრალი სწორია, ხომ მივდივარ მასთან, მან ხომ ყველაფერი იცის, იცის ჩემი ყველა გულის ნადები – სიზმარში რას ვნახავდი, ისიც კი იცოდა – თუ ეს ჩემი ფიქრები სიმართლეს შეესაბამება, იქნებ პასუხიც გამცეს ამ ყველაფერზე-მეთქი.

ადამიანის გონება სულ ჩართულია, ფიქრს ფიქრი მოსდევს და ამასობაში სულ დამავიწყდა ბეღურები. დაახლოებით ორმოც წუთში აღმოვჩნდი მამა გაბრიელთან კელიაში. იწვა, მივედი, კურთხევა ავიღე და ჩამოვჯექი მის გვერდით, პაუზის შემდეგ ვკითხე: „მამა გაბრიელ, როგორ ბრძანდებით?“, თუმცა ვერ იტანდა თქვენობით მიმართვას.

– უნდა მკითხო, როგორა გდიხარ, სად გაგონილა ბერის ბრძანება?! ეჰ, დაო, ბრძანება სადღაა, მე მარტო ჩიტებს ვუყურებ, როგორ მიფრინავენ და როგორ მოფრინავენ, ისინი მე მიმატოვებენ, მაგრამ მე მათ აქ ისეთ საკენკს ვუყრი, მერე ისევ მოფრინდებიან ამ კელიაში. არა გჯერა? ისინი მიმატოვებენ და მერე ისევ მოფრინდებიან ჩემს კელიაში.

მამა გაბრიელი თქმის დიდოსტატი იყო, უცებ ვერც მიხვდებოდი, ისე შეგაპარებდა სათქმელს, ოსტატურად. თითქოს რაღაც გამახსენდა, ბოლომდე ვერც მივხვდი. გამახსენდა ჩიტები, რომლებსაც თითქოს სადღაც ვუყურებდი.

– მამა გაბრიელ, თქვენც გიყვართ ჩიტები? – მან კი უფრო მკაცრი ტონით მითხრა: „მე მარტო ჩიტებს ვუყურებ, დაო, როგორ მიფრინავენ და როგორ მოფრინავენ. ისინი მე მიმატოვებენ, გაფრინდებიან ჩემგან, მაგრამ მე მათ აქ ისეთ საკენკს ვუყრი, მერე ისევ მოფრინდებიან, ისევ მოვლენ ჩემთან აქ, ამ კელიაში, არა გჯერა?" – და უცებ ყველაფერი გამახსენდა.

მორჩილებასთან დაკავშირებით: ბოთლი მომაწოდა, გამიხსენიო; მეც ეს ბოთლი სხვას მივაწოდე გასახსნელად და ისეთი ჩხუბი ატეხა, ერთი შეხედვით, გადაჭარბებული: რას შემიყარე მთელი ქვეყანა, მე შენ გითხარი და შენ სხვას მიაწოდე?! მორჩილება გაკლია, რას დაეთრევი ჩემთანო.

ერთხელაც კოვზი მომაწოდა უკუღმა და მითხრა, ერთი მაგ „სუპს" დაურიეო. კოვზი გავასწორე და ისე მოვურიე, ამაზე სულ გაგიჟდა. მთელი კერძი, თავისი ქვაბით, ძირს დაღვარა – აყროლდა ეგ საჭმელი, აღარ იჭმევა, მორჩილება გაკლიაო.

მორჩილებას მამა გაბრიელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ყოველთვის ითხოვდა ჩვენგან აბსოლუტურ მორჩილებას. მახსოვს, არაერთხელ გამაგდო, უშვერი სიტყვებით მლანძღა, ისე, რომ მთელ მონასტერს ესმოდა, მთელი დღის განმავლობაში ვილანძღებოდი; ცალკე დედებს გაგებინა, რომ ურჩობის გამო გამაგდო: თუ საერთოდ მორჩილება არ გააჩნია, რისთვის დაეთრევა მონასტერში. იმ დღეს ვინც მივიდა მასთან, ყველას მოუყვა, როგორ გამაგდო ურჩობის გამო. თან დასძენდა, რა უნდა იმას მონასტერში, ვისაც მორჩილება არ გააჩნიაო. რასაკვირველია, ასეთი გაკვეთილების შემდეგ ჩვენ ვცდილობდით, ფხიზლად ვყოფილიყავით, მაგრამ მაინც გვეშლებოდა.

ჩვენი გულისთვის მამა გაბრიელი დგამდა სულიერ სპექტაკლებს, რომლის რეჟისორიც, სცენარისტიც და მსახიობიც თვითონ იყო, ასე გვასწავლიდა მოყვასისა და ღვთის სიყვარულს. თავისი დამდაბლებული ზებუნებიდან გამომდინარეის სიმდაბლეს, სახარების სიყვარულს გვასწავლიდა. ჩვენ ყველა, როგორც ერთი ეზოს, ერთი სახლის შვილები, ისე ვიყავით მამა გაბრიელის გვერდით. ხშირად გვეტყოდა: „რა გვაქვს ქრისტიანებს ერთმანეთთან დასამალი? ჩვენ და-ძმები ვართ, ბოლომდე ერთად უნდა ვიყოთ!" ჩვენ შორის მამა გაბრიელი, ერთი შეხედვით ყველაზე უზნეო ადამიანი, თითქოს დიდი ამრევი, სინამდვილეში კი დიდი მასწავლებელი, დიდი დამლაგებელი იყო ცალკე მონასტრული ცხოვრებისა და ცალკე ჩვენი სწორი წარმმართველი ქრისტესთან. თანაც თვითონვე აღიარებდა, რომ უძლური და უვარგისი იყო და არ მიმატოვოთ, თქვენს მეტი არავინა მყავს. დავთვერი, შემეშალა, ხვალიდან აღარ დავლევ, უფალს დავპირდი. უფალო, შემიწყალეო, – ყოველთვის ტირილით ამბობდა.

მისი სწავლებიდან:

– დუმილი ოქროა, მოთმინება – ბრილიანტი! – ერთხელ ვკითხე: „მამა გაბრიელ, თქვენ რას ითმენთ?" მიპასუხა: მე სულ ვითმენდი და ახლაც ვითმენო.

მთელი დღის მშიერი საჭმელს გვერდზე

გადადებდა და უპასუხოდ არავის დატოვებდა. იტყოდა ხოლმე:

– თუ ადამიანს შენი დახმარება სჭირდება, ჯერ დაეხმარე, ჭამას ყოველთვის მოასწრებ, თუ არა და სასუფეველს დაკარგავ! ვინც ენასა და მუცელს სძლია, უკვე სწორ გზაზე დგას. ყველაფერში სასუფეველს უნდა ეძებდეთ. როდესაც ჭამთ, უნდა გახსოვდეთ მშიერნი, გაჭირვებულნი, უძლურნი – ამაშია სასუფეველი – ხოლო მონაზონს ჭამის დროსაც ლოცვა მოეთხოვება. საჭმელს როგორ შევჭამდი, სანამ ცაზე ვარსკვლავები კარგად არ გამოჩნდებოდნენ. მონასტერში დღეში ერთხელ უნდა ჭამდე – მწუხრით მწუხრამდე, მუდამ მარხვაში ჩაგეთვლება. რაც არ უნდა ჭამო, ასე უმჯობესია, წმინდა მამებმა დაადგინეს. კარგ ბერს ერთი სეფისკვერიც უნდა ეყოს. გადამეტებული მარხვა კი ეშმაკისაა!

შობის მარხვაში მე და ჩემი მეგობარი მარინე (ჩვენ ერთად დავდიოდით მამა გაბრიელთან) დაბადების დღეზე აღმოვჩნდით. რადგანაც მძიმე მარხვა არ იყო, სხვებთან ერთად ვისხედით სუფრასთან. მარინემ ვაშლით დაიწყო ქეიფი, მაგრამ შემდეგ დოლის დაკვრით, ცეკვა-სიმღერით გავაგრძელეთ ორივემ. „ახლა რომ მამა გაბრიელი გვიყურებდეს, რა დღეში ვართ, რას გვიზამდა?!“ – ვეუბნებოდით ერთმანეთს და თანაც ვიცინოდით. მეორე დღეს გავეშურეთ მცხეთას მამა გაბრიელთან. შესვლისთანავე გვამხილა: „ეს მარხვა მხიარული მარხვაა, ზოგი ვაშლსა ჭამს, ზოგი დოლს უკრავს, ზოგიც ცეკვავს და მღერის!“ ჩვენ გვენიშნა, რასაკვირველია, და დავიმორცხვეთ.

მძიმე მარხვაში, როცა მთელი მონასტერი შიმშილობს და წყალსაც მოზომილად სვამენ დედები, როცა ტაძრებში ყველგან ანდრია კრიტელის დიდი სინანულის კანონი იკითხება, მეც გადავწყვიტე, 



წმიდა მამა გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი

შეძლებისდაგვარად მკაცრად დამეცვა ეს მარხვა. სწორედ მაშინ მამა გაბრიელთან მივედი. წევს თავის საწოლში და დანანებით მეუბნება:

– ორმოცი წლის ბერი ვარ, რა გახდა ჩემთვის ერთი „კურიცა“ (ქათამი), კაი კატლეტი, ქაბაბი, კაი ტოლმა, ხინკალი, მწვადი... კაი მწვადი მინდა, კაი „კურიცა.“ – ძალიან დიდხანს ლაპარაკობდა ხორციან სადილებზე, ამასობაში მეც მადაზე მოვედი.

– ექიმმა მითხრა: გაბრიელ, გემოგლობინი გაქვს დაბალი, შენი მარხვა არ შეიძლება, შენთვის გულ-ღვიძლია, აუცილებელი, შენი წამალი გულ-ღვიძლიაო. წესით, მე ყოველდღე უნდა ვჭამო გულ-ღვიძლი, ავად ვარ, ერთი კაი ყაურმა, ორმოცი წლის ბერი ვარ და არ მეკუთნვის?! რა დროს



ღირსი მამა გაბრიელი

მარხვაა, ერთი კაი ყაურმა უნდა მოვხარშოთ, „კარქა ვჭამოთ.“ ფულს მოგცემ, წადი ბაზარში, გულ-ღვიძლი მიყიდე!

მეც გახარებული წავედი, კურთხევა შევასრულე. ვიფიქრე, მაინც მძიმე მარხვაა, ხორცს სენაკში დავჭრი, სამთავროს დედები საერთოდაც ძალიან მკაცრი ტიპიკონით ცხოვრობენ, ამიტომ მოსარიდებელია-მეთქი. მამა გაბრიელმა მაკურთხა: აქ ჰაერი არა მყოფნის, გარეთ გავიდეთ, იქ დაჭერი, როგორც გეტყვი, ისეო.

არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი, დავემორჩილე. ჩემთვის ვიფიქრე, სწრაფად მომეთავებინა საქმე. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დამსვა, თვითონაც გვერდით დაბრძანდა და ძალიან მკაცრად მაკურთხა: აბა, დღეს ჩემს მორჩილებაში ხარ და შენ იცი. რაც შეიძლება, წვრილად დაჭერი და რაც შეიძლება, ნელა, მე არსად არ მეჩქარებაო. შევუდექი საქმეს, ვჭრი ამ გულ-ღვიძლს და თან მერიდება დედების. მამა გაბრიელი ისევ აგრძელებს:

– დღეს ერთი კაი ყაურმა უნდა ვჭამო, გემოგლობინი მაქვს დაბალი, ექიმმა მითხრა, გაბრიელ, შენი მარხვა არ შეიძლება, ავად ხარო. – შემდეგ გარეთ დაიწყო ისევ ხორციანი სადილების ჩამოთვლა. მე რაღაც მომენტში დაუჩქარე ჭრას, მაშინვე დამიყვირა: – მე რა გითხარი? ნელა დაჭერი, არსად არ მეჩქარებაო. როგორც იქნა, დავჭერი და გავამზადე ყაურმაც გზადაგზა მისი კურთხევით, როდის რა უნდა ჩამეყარა და როდის დამერია ქვაბისთვის. ამასობაში საერთოდ გადამავიწყდა, რომ მძიმე მარხვაა და ერთი სული მაქვს, როდის მივირთმევ. „კერასინკაც“ (ნავთქურა) ჩავაქრე, ქვაბს სახურავი ავხადე და უცებ მოულოდნელად მამა გაბრიელმაც არ დააყოვნა, საშინლად განრისხებულმა მომმართა:

– მე როდის გაკურთხე, ქვაბს სახურავი რატო ახადე! შენ რაა, მძიმე მარხვაში ყაურმა უნდა შემიჭამო, გემოგლობინი გაკლია? – უშვერი სიტყვებით მლანძღა და გამომაგდო. – მარხვას რამდენჯერაც დაარღვევ, იმდენჯერ დაისჯები!

ჩემი სულიერი ძმის მალხაზ ჯინორიას მონათხრობი.

– ასეთი რამ ვკითხე: მამა გაბრიელ, რატომ არ იქადაგა ღვთისმშობელმა საქართველოში, წილი რომ მოუვიდა?

– ის ხომ დედოფალია ცისა და ქვეყნისა და უფალს არ უნდოდა, მის დედას კარდაკარ ევლო, – მიპასუხა.

–ქრისტეს სახეს რომ იღებს ბოროტი, ღვთისმშობლის ან ჯვარცმის სახეს რატომ ვერ იღებს?

– უფალმა თავი დაიმდაბლა და ჰნერწყვიდნენ, მაგრამ არავის მისცემს უფალი იმის ნებას, რომ ვინმე მის დედას მიემსგავსოს, ჯვარი კი ადიდა.

მახსენდება 1994 წლის წითელი პარასკევი. ამ დღეს მცხეთაში, სამთავ

როს მონასტერში ჩაველი, შევედი ტაძარში და რას ვხედავ: მამა გაბრიელი გარდამოხსნასთან შუაში ინახით ზის, წინ იატაკზე დიდი მათლაფით ლობიო უდგას და ქრისტეს დასტირის. დამინახა თუ არა, ტირილით მითხრა: „დღეს ქრისტეს ქელეხი გვაქვს, აი, ხო ხედავ, რა დღეში ვარ, დღეს მონასტერი გლოვაშია, დღეს ქრისტეს ქელეხია, აი, ლობიო დავუდგი, რა დღეში ვარ, ახლა ღვთისმშობლის მიტოვება არ შეიძლება. დედა ღვთისას ახლა გული მისდის, ერთადერთი უდანაშაულო შვილი მოუკლეს. შეხედე ხატებს, ყველა ტრაურშია! – ხატებს შავი თავსაბურავები ეფარათ. იგი ტირილს განაგრძობდა და ხმამაღლა მოთქვამდა: – ეს რა ჩაიდინა იუდამ, როგორ გაყიდა უდანაშაულო მოძღვარი, ახლა ღვთისმშობლის მიტოვება არ შეიძლება! – შემდეგ მე გადმომხედა საწყალი უსუსური თვალებით და შემეხვეწა ტირილით: – ძალიან გეხვეწები, არ მიმატოვო, ერთად ვიყოთ, არ მივატოვოთ ღვთისმშობელი, ნეტავ სულ ცოტათი მაინც გესმოდეს მისი, რა დღეშია!“

შემდეგ მაცხოვრის ვნების აღწერა დაიწყო. ისეთი სიზუსტით გადმოსცემდა, განცდით, ცრემლებით, თითქოს ამ ყველაფრის მნახველი და განმცდელი იყო, თითქოს ერთადერთი გადარჩენილი მოწმე ჩვენს დროში. შენთანაც ძალიან ახლოს მოჰყავდა უფალი. – თითქოს სახარება ჩემთვის და შენთვის დაწერილი წიგნია. ამ წიგნში ჩვენზეც წერია. ამ წიგნში შენც ხარ და მეც. შენც იცი ეს ყოველივე, იქ იდექი და არაფერი გააკეთე უფლისთვის, შენც მიატოვე სხვებივით, შენც გაწირე. უფალი კი იდგა გაწამებული შენი გულისათვის და სულ თვალებში გიყურებდა, გელოდებოდა და სჯეროდა შენი, შენი იმედი ჰქონდა, შენ კი ქვა ესროლე და ისე მიატოვე. სინდისის ხმა მკარნახობს და მესახის ისევ მამა გაბრიელი: „იუდა ხომ არა ხარ?! ამ ჯვარს ემთხვიე და ისე წადი, თუ მიდიხარ!“

მაშინ ეს ყველაფერი გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, სარწმუნოება არ იყო ჩემში. ღმერთი ხომ ზეცაშია? მამა გაბრიელი კი ქელეხს უხდის დედამიწაზე. სამი დღის შემდეგ განსაკუთრებული გრძნობით იძახდა, უდიდესი სიხარულით: „ქრისტე აღსდგა!“ ვერავინ ვერ შეძლებდა ამ ორი სიტყვის თქმას ისე ლამაზად, ისეთი დიდი სიხარულით, თითქოს ამ სიხარულს ცაც და მიწაც, სამყაროს ყოველი ნაწილაკი, უმცირესიც და უდიდესიც უერთდებოდა. „ქრისტე აღსდგა!“ – ამ ორ სიტყვაში გამარჯვების, თავისუფლების, მარადიული სიყვარულის ზეიმი იყო გამოხატული. იმ ღმერთის გამარჯვებისა, რომელსაც სამი დღის წინ ქელეხი გადაუხადა და ხმამაღლა დასტიროდა. მარადიული ზეიმი – „ქრისტე აღსდგა!“ ამის შემდეგ ღებავდა კვერცხებს ორმოცი დღის განმავლობაში. ყველას მასთან მიმსვლელს ახარებდა: „ქრისტე აღსდგა!“ და თან კვერცხს ჩუქნიდა. იტყოდა ხოლმე: „ვინც აღდგომა დღეს საკუთარ ცოდვებზე იგლოვებს, ის იუდა ისკარიოტელზე უარესია. აღდგომა იმდენად დიდი დღესასწაულია, გლოვა არ შეიძლება!“ გულში გავიფიქრე: „ნეტავ მაშინ, როცა კვერცხები გაწითლდა, რა ფერი იყო?“ ამის გაფიქრება და მომიბრუნდა და მთხოვა, შევიდეთ სატრაპეზოში, კვერცხები მაქვს შესაღებიო. მოვათავსეთ დიდ ქვაბში რამდენიმე კვერცხი, დუღილი რომ დაიწყო წყალმა, ოდნავ შეფერადდა კვერცხი, ისე, რომ მაინც თეთრი იყო, სიწითლე დაჰკრავდა, მამა გაბრიელმა ყვირილი დაიწყო: „სასწრაფოდ ამოყარე! მეტი აღარაა საჭირო, აღდგომის კვერცხი ასეთი ფერის უნდა იყოს!“

*ქეთევან ბექაური*

## მომდევნო თაობების დასამოძღვრად

(პატრიარქი ეფრემ II-ის შესახებ – მეუფე იოანეს ნაამბობი)

1990-იან წლებში გავიცანი მეუფე იოანე ანანიაშვილი. ის იმ დროს სოფ. მენჯში, მთავარანგელოზთა სავანის სიახლოვეს ცხოვრობდა. ხშირად არა, მაგრამ რამდენჯერ-აც კი შევხვედრივარ, არაერთი საინტერესო ისტორია უამბია ჩვენი ეკლესიის შორეული თუ ახლო წარსულიდან.

განათლებული ადამიანი იყო და უმდიდრეს არქივსაც ფლობდა, არაერთი რარიტეტული გამოცემა ინახებოდა მის ბიბლიოთეკაში. თვითონაც საინტერესოდ წერდა, როგორც იტყვიან, კალამი ერჩოდა.

მეუფე იოანეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორისადმი მიძღვნილი ეს მოგონება მამა ზინობი ჟვანიას თხოვნით დაუწერია და რამდენადაც ვიცი, დღემდე გამოუქვეყნებელია.

*პაატა ქურდოვანიძე*

ჩემო ზვიად, „ჩვენთან არს ღმერთი!“

მივიღე თქვენი წერილი, მაგრამ ვერ მოვახერხე მაშინვე საპასუხოს გამოგზავნა. ვერც ჩემს წინა წერილში აღთქმულის მოწერა შევძელი დღევანდლამდე, ხან რაღაც მიშლიდა ხელს და ხან კი სულიერად განწყობილი ვერ ვიყავი. ახლა თქვენი წერილიდან გავიგე და ზოიამაც მითხრა, რომ ჩემი მოგონებები მოგწონებიათ და მეტი ხალისით ვაგრძელებ.

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II-ის (სიდამონიძე) ცხოვრება აღწერილი აქვს ჩვენს ამჟამინდელ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავისი მიტროპოლიტობის ჟამს, როდესაც იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, შეადგინა საეკლესიო ტიპიკონი, ხელსაბეჭდ მანქანაზე თავისი ხარჯით დააბეჭდვინა რამდენიმე ათეული ცალი და უსასყიდლოდ დაურიგა მსურველთ. მაშინ დაწერა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ცხოვრებაც და ტიპიკონს დაურთო, უფრო სწორად, წაუმძღვარა. ეს იყო 1971 წლის შემოდგომასა და 1972 წლის ზამთარში. ამ ხელნაბეჭდი ტიპიკონის ასეთნაირად გავრცელების შემდგომ ეფრემ II მალე გარდაიცვალა – 1972 წლის 7 აპრილს, ხარებობას, დილის საათებში. საათი და წუთი ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა. მე არ მაქვს ეფრემ II-ის აქ აღნიშნული ცხოვრება. ეფრემ II-ისგან მსმენია, რომ იგი დაიბადა იმ წელს, როდესაც გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), დიდ გაბრიელად წოდებული. ეფრემ II დედით ადრე დაობლებულა და მამამისი მეორეჯერ დაქორწინებულა. დედინაცვალს დიდად ემადლიერებოდა, ამბობდა, უდედობა არ უგრძნობებია ჩემთვის, ძალიან ვუყვარდი და მუდამ დედას ვეძახდი, ძალიან მიყვარდაო.

ეფრემ მეორე მკაცრი იყო, მაგრამ იმავე ჟამს უბრალო ხასიათი ჰქონდა, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ როცა მცირედ უკეთესად იგრძნობდა თავს, სიონის ეზოში გამოვიდოდა ხოლმე უბრალოდ შემოსილი, ჩამოჯდებოდა სკამზე მარტოდმარტო და იყო თავისთვის. მის დროს სიონის ტაძრის უკან დიდი სახლები იდგა – ეზოს მხრიდან ორსართულიანი, სანაპიროს მხრიდან – სამსართულიანები. ეფრემ II-ისგან გამიგია, რომ ამ სახლებში წინათ სამღვდელოება ცხოვრობდა თავიანთი ცოლ-შვილით. ეს სახლები სიონის ტაძარს ეკუთვნოდა.



როცა ამა თუ იმ სასულიერო პირს სხვაგან გადაიყვანდნენ, იგი ათავისუფლებდა ბინას და მის მერე სხვა შესახლდებოდა ხოლმეო. ამ სახლებში ეკლესიისთვის საჭირო ოთახებიც იყო, მერე და მერე, როცა საქართველო გასაბჭოვდა, ეს სახლები დარჩათ მათში მცხოვრებლებს, ზოგიც სხვა შეასახლეს და ასეთნაირად წაართვეს სიონის ტაძარს მის ეზოში არსებული სახლები.

სიონის ტაძრის აღმოსავლეთით, მეორე სართულის ზემო მარჯვენა მხარეს, ორი ოთახი ეჭირა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე). პატრიარქობის ჟამს მას თითქმის მთლიანად იმ ორ ოთახში უცხოვრია, იქა ჰქონებია თავისი საძილე ოთახი, კანცელარიაც და ბიბლიოთეკაც, ხალხსაც იქ იღებდა, – ეს ვიცი ეფრემ II-ისა და სხვა ძველი სამღვდელოების მონათხრობით. ასეთ სივიწროვეში უცხოვრია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში დაუწყია კათოლიკოს-პატრიარქის ამჟამინდელი რეზიდენციის მშენებლობა, სიონის ეზოში რომ არის, იმისი, განუსრულებია, მაგრამ მას მერე მალევე გარდაცვლილა.

არ მახსოვს, წინათ მოგწერე თუ არა, ამიტომაც ახლა მაინც ვიხსენებ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს გარდაცვალების მიზეზს. კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ისაგან და მიტროპოლიტი რომანოზისგან (პეტრიაშვილი) მსმენია, რომ სიბერეში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დაემართა შარდის შეკავება. არ ვურჩევდით ოპერაციის გაკეთებას, რადგანაც ღრმად მოხუცი იყო ცხონებული პატრიარქი კალისტრატე, მაგრამ არ გაგვიგონა, რადგანაც ძალიან იტანჯებოდა ამ სენით, გაიკეთა ოპერაცია და ამის შემდეგ მალევე გარდაიცვალა ოპერაციის მიზეზით, რადგანაც არ შეუხორცდაო ნაჭრილობევი, – იხსენებდნენ.

ზემოხსენებულ ორ ოთახში დაცული იყო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესეული საღვთისმსახურო, საღვთისმეტყველო და სხვა წიგნები, ასევე მისი ხელნაწერები, სხვადასხვა ნაწერები, წერილები, რომლებსაც იგი იღებდა სასულიერო და საერო პირებისგან. ეფრემ II იმ ოთახებში არავის უშვებდა და და არც არავის აძლევდა რაიმე წიგნს. იგი ამ და სხვა წიგნებსა თუ თუნდაც უბრალო წერილსაც კი ინახავდა და ამბობდა: „ჩვენ ახლა ეს წერილი უმნიშვნელო გვგონია, მაგრამ დრო გავა, სხვა თაობები მოვლენ და მათ კი დააინტერესებთ.“ იგი იმ წერილებსაც კი ინახავდა, რომლებითაც მას ლანძღავდნენ ისეთი სიტყვებით, ყურს რომ არ გაუგონია. ერთი ასეთი წერილი, რომლითაც ყოვლად უხამსი სიტყვებით ლანძღავს მას ერთი ბათუმელი რუსი

ქალი (წერილიც რუსულ ენაზეა), ამჟამად მე მაქვს. როცა ერთი ახალგაზრდა შეეკითხა პატრიარქ ეფრემს, რატომ ინახავთ ასეთ წერილებსო, – მან მიუგო: „იმიტომ, რომ მომდევნო თაობებმა გაიგონ, თუ როგორ საშინელ პირობებში გვიწევდა მოღვაწეობა. ზოგს ჰგონია, რომ ახლა ჩვენ მშვიდობიან პირობებში ვცხოვრობთ...“ – მეც ამიტომ არ დავწვი აღნიშნული წერილი, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში. ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდგომ მის მიერ ასეთნაირად მოგროვილი წერილები, მისი ნაწერები და სხვა მრავალი გამოიტანეს სიონის ეზოში და დაწვეს. მაშინ გადავარჩინეთ ზოგი დოკუმენტი დაწვას.

წინათ, ეფრემ II-ისა და კათოლიკოს-პატრიარქი დავით V-ის დროს ძალიან ცოტა ადამიანი დაიარებოდა სიონში სალოცავად. ეფრემ II-ის წირვაზე ტაძარი ივსებოდა, სხვა დღეებში კი ორიოდე მორწმუნე თუ მოვიდოდა. თავად ეფრემ II იშვიათად სწირავდა და ლოცულობდა ტაძარში, რადგანაც ბოლო წლებში ავადმყოფობდა და უჭირდა ფეხზე დგომა. დიდებული მქადაგებელი და მოსაუბრე იყო. როცა სიონის ეზოში ჩამოჯდებოდა ხოლმე სკამზე, ჩვენ, ორიოდე მორწმუნე ახალგაზრდა, მივეახლებოდით ხოლმე დასალოცად. იგი ნებას გვაძლევდა, მის აქეთ-იქით დავმსხდარიყავით და გვიამბობდა ძველ ამბებს. ბევრი რამ საინტერესო აქვს მოთხრობილი, მაგრამ მე ცოტაღა მახსოვს, იმჟამად მეგონა, რომ კარგად მამახსოვრდებოდა და საჭიროდ არ მივიჩნიე ჩაწერა, მერე და მერე, ზოგი დროის მდინარების გამო დამავიწყდა, ბევრი რამ კი ჩემზე მოწევნილი მრავალი უსამართლობის გადატანით გამოწვეული გონებრივი გადაღლით. ახლა თავს ძალას ვატან და ზოგიერთს ვიხსენებ:

ეფრემ II-მ გვიამბო:

– ვსწავლობდი გორის სასულიერო სასწავლებელში. ჩემი იქ სწავლის ჟამს მოხდა ასეთი რამ: უფროს კლასში სწავლობდა მომავალი სტალინი, სოსო. იგი უკვე მაშინ გამოირჩეოდა თავისი მეამბოხე სულით. ერთ დღეს სასწავლებლის მასწავლებლები შეიკრიბნენ სათათბიროდ, სოსოს საკითხიც უნდა განეხილათ, რაც კარგს არაფერს უქადდა. სოსომ რაღაც ასაფეთქებელი შეაგდო ოთახში თათბირის დაწყებამდე, როცა მასწავლებლები ის-ის იყო მოვიდნენ. არავინ არ დაზიანებულა, მაგრამ აფეთქების ხმასა და კვამლზე ატყდა წივილ-კივილი. სწორედ ამ დროს მე შევდიოდი სასწავლებელში, გავაღე კარი, ამ დროს მთელი ძალით დამეჯახა სოსო, რომელსაც მასწავლებლები მოსდევდნენ. წავიქეცი, იგი გადამახტა წაქცეულს და გაიქცა. მასწავლებლებმა ზურგიდან ვერ იცნეს სოსო, სახე კი ვერ დაინახეს. მომცვივდნენ მე და მიბრძანეს: ახლავე თქვი, ვინც იყო, თორემ მის მაგივრად შენ დაგსჯითო. მე კი ვიცოდი, ვინც იყო, მაგრამ არ გავთქვი, ვიუარე: – ისე მოულოდნელად დამეჯახა ის ვიღაცა, რომ თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი, წავიქეცი, ის კი გაიქცა, მე რა ვიცი, ვინ იყო-მეთქი. არ დამიჯერეს, სარდაფში ჩამაგდეს და მამყოფეს სამი დღე-ღამის განმავლობაში უჭმელ-უსმელი. ეს კიდევ არაფერი, საშინელი ვირთაგვებით იყო სარდაფი სავსე, შიშით ვერ ვიძინებდი, რადგან შემჭამდნენ; ოდნავ ჩამთვლემდა თუ არა, მაშინვე თვალებს გავაჭყეტდი ხოლმე. ამის მერე დამიჯერეს, რომ ვერ ვიცანი ის ბიჭი და ამომიყვანეს სარდაფიდან.

გორის სასულიერო სასწავლებელში თუ თბილისის სასულიერო სემინარიაშიო, – ახლა ვერ ვიხსენებ ეფრემ II-ის ნათქვამს,– მოსწავლეთა სია ამოიკითხეს: „სიდამონოვ!“ – ამაზე მე გავჩუმდი, ხმა არ გავეცი. კიდევ რამდენიმეჯერ ამოიკითხეს – „სიდამონოვ!“, მაგარმ მე რომ ხმა არ გავეცი, გაჯავრებულმა მკითხეს, რას გაჩუმებულხარ, რატომ არა გვპასუხობო. ამაზე მე მივუგე: ჩემი

გვარი არ გამიგია და რაზე გიპასუხოთ. მე სიდამონოვი კი არა, სიდამონიძე ვარ-მეთქი.

გორის სასულიერო სასწავლებელი რომ დავამთავრე, წამოვედი გახარებული, დავდექი შუა ხიდზე და ჩემი ჩანთა წიგნებიანად შუა ლიახვში გადავისროლე, ისე მოძულებული მქონდა იქ სწავლა; ასე მეგონა, რომ საკმარისი იყო ჩემთვის ის, რაც ვისწავლე, რა ვიცოდი, რომ სწავლა ჯერ წინ მელოდებოდა.

მთლად პატარაობიდანვე მიყვარდა მონასტერი და ბერობა მსურდაო. – ახლა კარგად აღარ მახსოვს ეფრემ II-ის ნათქვამი, მე მგონია, რომ პირდაპირ გორის სასწავლებლიდან წავიდა მონასტერში, როცა წიგნებიანი ჩანთა გადააგდო ლიახვში. ეს ამბავი კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ემახსოვრება კარგად, – რადგანაც მას დიდებული მახსოვრობა აქვს – უშუალოდ ეფრემ II-ისგან მონათხრობი. წასულა პატარა ეფრემი (ერობაში გრიგოლი) ქვათახევის მონასტერში და წინამძღვრისათვის უთხოვია, რომ მორჩილად მიეღო. წინამძღვარი ფრიად გონებანათელი კაცი ყოფილა. მან უწყოდა, რომ ასეთი მცირეასაკოვანის მონასტერში მიღება არ შეიძლებოდა, მაგრამ არც უარით გაუსტუმრებია, რადგან შიშობდა, ვაითუ მშობლებს არ დაუბრუნდეს, სადმე შორს წავიდეს და რაიმე უბედურებას გადაეყაროსო. მიუღია მონასტერში, მიუცია სამორჩილო კაბა, თავად კი ჩუმად შეუტყობინებია მამამისისთვის – აქ არის შენი შვილი, ნუ ეძებ, მოდი და წაიყვანეო. ეფრემის მშობლები, მამა და დედინაცვალი, ღრმად მორწმუნენი ყოფილან. მისულა მამამისი მონასტერში. „მე შორიდანვე დავინახე მამაჩემი, – გაიხსენა ცხონებულმა, – ვცადე დამალვა, მაგრამ სად დავემალებოდი, ხან რომელ ხეს ავეფარე, და ხან რომელს. ასეთი წესი იყო, როცა ვინმე საპატიო კაცი მოვიდოდა მონასტერში, ყველანი გავეგებებოდით, დავმწკრივდებოდით უფროს-უმცროსობის მიხედვით. ახლაც ასე ვიყავით. მოვიდა მამაჩემი, ჯერ წინამძღვრისგან მიიღო დალოცვა, მერე რიგრიგობით მიესალმა ბერებს და ხელზე ემთხვია. ბოლოს მე ვიდექი, მოვიდა ჩემთან, ორივე ხელი მუჭად გამომიშვირა წყალობის მისაღებად და მითხრა: „მაკურთხე, პატარა მამაო!“ არ გამიწყრა მამაჩემი, დამიყვავა, ხომ გინდა, სამშობლოს მეტი სიკეთე მოუტანოო. ასეთნაირად წამიყვანა სახლში მამაჩემმა.

როცა თბილისში განვაგრძე სწავლა, კვირა-უქმე დღეებში სიონის ტაძარში ვლოცულობდი ხოლმე. წირვა-ლოცვა რომ დამთავრდებოდა, სამღვდელოება წავიდოდა, ვიჩოქებდი „არწივზე“ და დიდხანს ვლოცულობდი, – მითხრა ცხონებულმა – თავადაც არ მესმოდა, თუ რატომ ვაკეთებდი ასე, მაგრამ შინაგანი, სულიერი წყურვილი მქონდაო ასეთი.“

ეფრემ II თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამოშვება იყო. სწავლის დროს თუ მანამდე, ბერად აღკვეცილა. როცა წითელ-



მარცხნიდან: მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე)
წმიდა პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე),
რუსეთის პატრიარქი ალექსი I



კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II

მა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ეფრემი არ გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან ახალ ხელისუფალთ, მაგრამ მის შემდეგ კი სხვა სასულიერო პირთაგანი აღარ მიუღიათ იქ სასწავლებლად. ერთი აწ გარდაცვლილი მორწმუნის ნათქვამითა და კათოლიკოს-პატრიარქი ილიას (მიტროპოლიტობის ჟამს) ნათქვამიდან ვიცი, რომ მიუხედავად წითელი რუსეთის მიერ წარმოებული ტერორისა და სხვა საშინელებებისა, ეფრემს ანაფორა მააინც არ გაუხდია და ასე შემოსილი დაიარებოდა ლექციებზე უნივერსიტეტში.

ცხონებული ამბროსის (ხელაია) პატრიარქობის ჟამს ეფრემი – მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა-მოღვაწეობით გამოჩენილი ბევრი სასულიერო პირი იყო საქართველოს ეკლესიაში, თავად კი სრულიად ახალგაზრდა მონოზონი გახლდათ – საეკლესიო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და მრავალი გაჭირვებაც გადაუტანია. ერთხელ, ახალგაზრდებთან საუბრისას, რომელთა შორის მეც ვიყავი. მან გაიხსენა:

– პატრიარქი ამბროსი რომ დაიჭირეს კომუნისტებმა, ცრუ მოწმეებს ეძებდნენ. პატრიარქის შეპყრობამდე ცოტა ადრე საპატრიარქო სახლში, იმ ადგილას, სადაც საეკლესიო საუნჯის საცავი იყო, ხანძარი გააჩინეს შეგზავნილი კაცის ხელით, მერე კი პატრიარქს უშარეს – ეს შენ წაუკიდე ცეცხლი, რათა სახალხო ქონება გაგენადგურებინაო. დამიბარეს, – აქ ეფრემ II-მ დაასახელა ორგანიზაცია და თანამდებობის პირის სახელი და გვარი, მაგრამ მე დამავიწყდა,– ცბიერად შემთავაზა იმ კაცმა: ეფრემ, შენ ახალგაზრდა და ჭკვიანი კაცი ხარ, დიდი მომავალი გელის, თუკი დაგვემოწმები, რომ ესა და ეს დანაშაული ამბროსიმ ჩაიდინაო. პატრიარქობას დამპირდა,– თქვა ცხონებულმა. – აღვშფოთდი ამ უმსგავსობის გამო, დავავლე მარმარილოს ღიათავიან სამელნეს ხელი და ვესროლე. იმ კაცს თეთრი ეცვა, თავი კი მოარიდა სამელნეს, მაგრამ მელანი მაინც გადაესხა ზედ და მთლად დაისვარა. „ახ ტი, მერზავეც!“ – მითხრა და მისი ბრძანებით ვირთაგვებიან სარდაფში ჩამაგდეს. იქ, სიბნელესა და სიცივეში გამაჩერეს რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, არც მაჭმევდნენ და არც მასმევდნენ, დავიტანჯე უძილობითაც, რადგანაც თუ დავიძინებდი, ვირთაგვები შემჭამდნენ. სიკვდილის პირამდე რომ მიმიყვანეს, მერე გამათავისუფლესო.

ამის შემდეგ სასამართლო ფარსი გათამაშებულა, სადაც ცრუმტკიცებებით ასამართლებდნენ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მის ერთგულ სამღვდელოებას. იქ მოსამართლესა და ბრალმდებელს დაცინვით უთქვამთ პატრიარქისათვის, მატყუარები ხართო. გასასამართლებელთა შორის ეპისკოპოსი პავლეც (ჯაფარიძე) ყოფილა. ეპისკოპოს პავლეს უთქვამს –ტყუილიცაა და ტყუილიცო, რაზეც აგდებით უთქვამს იმავე კაცს – რაო, განა მართალი ტყუილიც არისო? – ამაზე აღარაფერი მიუგია ეპისკოპოს პავლეს, გაჩუმებულა.

ამ დროს წამოვიძახე, – თქვა ეფრემ II-მ, – მათქმევინეთ სიტყვა! მოსამართლემ და მისმა ხალხმა ჩაილაპარაკეს, – უკვე ისწავლიდა ჭკუას, ვათქმევინოთო.

– დიახ, ტყუილიც არის და ტყუილიც, – ვთქვი მე, – გახსოვთ, ამა და ამ წელს, – აქ წელი დაასახელა ცხონებულმა, მაგრამ მე დამავიწყდა, – შეშინებული კურდღელივით რომ შემოვარდა სიონის ტაძარში ფილიპე მახარაძე და სთხოვა დეკანოზ ....-ს (მისი სახელი და გვარიც თქვა ეფრემ II-მ, მაგრამ დამავიწყდა), – მამაო, ღვთის გულისათვის, მიშველეო. იმ დეკანოზმა მაშინვე საკურთხეველში დამალა ფილიპე. იმავე წამს ჟანდარმებით გაივსო ტაძარი და მისი ეზო. დეკანოზს გამოეცხადა ჟანდარმთა მეთაური, სამხედრო პატივი სცა და მოახსენა: „თქვენო მაღალღირსებავ, ჩვენთვის ცნობილია, რომ მეფის მტერი იმალება ამ ტაძარში. გთხოვთ, ახლავე ჩაგვაბარეთ!“ სამხედრო პატივით იმიტომ მიესალმა ის უფროსი, – თქვა ცხონებულმა,– რადგანაც მეფის დროს სასულიერო პირებს ერთდროულად სამხედრო ჩინიც ეძლეოდათ. გაუწყრა დეკანოზი, ფეხები დაუბრაგუნა სამხედროს და რუსულადვე უთხრა: როგორ ბედავ ამის თქმას, როგორ,ჩვენ მეფის მოწინააღმდეგეს სიონის ტაძარში დავმალავთ?! ჟანდარმს შეეშინდა დეკანოზის რისხვისა, კვლავ გაიჯგიმა მის წინაშე, კვლავ სამხედრო პატივი სცა ხელის აღებით და მიუგო: მაპატიეთ, თქვენო მაღალღირსებავ, მე თქვენი მჯერა, მაგრამ ნაბრძანები მაქვს, რომ თუ დამნაშავეს არ ჩამაბარებთ, ტაძარი გავჩხრიკო, მე ჩემი უფროსი მყავს და მისი მეშინია! დეკანოზი არ შედრკა: კეთილი, რახან ნაბრძანები გაქვს ტაძრის ჩხრეკვა, მეტი რა გზაა, გაჩხრიკეთ, მაგრამ მე მანამ არ მოგცემთ ჩხრეკის ნებას, სანამ თვითონ ეგზარქოსი არ მოვა და პირადად არ მიბრძანებს; თუ მან პირადად არ მიბრძანა, – წერილობით ბრძანებას ან სიტყვიერ შემონათვალს არ ვენდობი,რადგანაც ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენ ყალბი წერილი შეადგინოთ ან მომატყუოთ, ვითომ ეგზარქოსმა შემომითვალა,– ხოლო სანამ ეგზარქოსი პირადად მიბრძანებდეს,მანამ დავკეტავ ტაძარს და კარს დავლუქავ! – ასეთმა პასუხმა უკან დაახევინა ჟანდარმების უფროსს,რადგანაც სიონის ტაძარი ორბელიანებს ეკუთვნოდათ და თუ დეკანოზი ტაძარს დაკეტავდა და დალუქავდა,ამას დიდი შფოთი მოჰყვებოდა ორბელიანთა მხრიდან და ხალხისაგან. თანაც, ეგზარქოსი არასგზით არ ეახლებოდა სიონის დეკანოზს, დეკანოზი ტაძარს არ მიატოვებდა და შფოთი კი მოხდებოდა. წავიდნენ ჟანდარმები, მაგრამ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ტაძრიდან არ გამოუყვანია სამღვდელოებას ფილიპე. მას ხომ წვერი ჰქონდა,მღვდლის კაბაც ჩააცვა იმ დეკანოზმა, საკურთხევლის გვერდით, სადიაკონოში მალავდა და მიუცილებელ საჭიროებათათვის იქ მიჰქონდა ღამის ქოთანი. როცა ჟანდარმერია დარწმუნდა, რომ ფილიპე არ ჰყავდათ ტაძარში, თვალთვალსაც შეეშვნენ და იგიც მერე ჩუმად გააპარეს. წასვლის წინ უთხრა დეკანოზმა ფილიპეს: ჩვენ შენი არაფერი გვინდა, წადი მშვიდობით. იმიტომ გიშველეთ, რომ ჩამოხრჩობა არ აგცდებოდა, ჩვენ კი სჯულში არ გვიწერია კაცის დაღუპვა. წადი და სიკეთეს ნუ დაივიწყებ! აი, მაშინ რომ არ ეცრუა დეკანოზს, ახლა ხომ აღარ გეყოლებოდათ ზემოთ ფილიპე მახარაძე. დიახ, ტყუილიცაა და ტყუილიც, მაგრამ ასე გვიხდით მადლობას? – ეს რომ ვთქვი, აყვირდა მოსამართლე: გიჟია ეს ოხერი, ხმა ჩაიწყვიტე და ახლავე გაეთრიე აქედან! მე უფრო მოვუმატე ხმას და ვუთხარი: ჩემი ნებით აქედან გამსვლელი არა ვარ და თქვენ თუ ძალით გამათრევთ, ეგ იქნება თქვენი სამართალი-მეთქი. მეცნენ გასათრევად, მაგრამ ადვილად ვერ მომერივნენ, ღონიერი ვიყავი, ბარემ ბევრს მოხვდა მაშინ ჩემი მუშტი.

# სამთავროს მონასტრის არქივში დაცული წმიდა ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერები

სამთავროს მონასტრის არქივში დაცული წმიდა ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერი „სწავლანი მოღვაწებისა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა აბბა ისააკ ასურისა,მოღვაწისა და განშორებულისა,დიდის ნინევის ქალაქის ეპისკოპოსად ყოფილისა“ (22×17,5სმ) მოზრდილი სქელტანიანი წიგნია,ღია ყავისფერ მუყაოს ყდაში, საინვენტარო ნომრით - 252 ა.11. წიგნი 260- გვერდიანია, მე-15 და 241-ე გვერდები დაკარგულია.

„წმიდა ისააკ ასურის სწავლანი“ იღუმენ ექვთიმეს 1928 წელს გადაუწერია მღდელი ალექსი ბაქრაძის ხელნაწერიდან. ავტორის ცნობით, კრებულის დედანს წარმოადგენდა წმიდა ექვთიმე ათონელის ბერძნულიდან ნათარგმნი ხელნაწერი, რომელიც 1903 წელს ათონის მთაზე წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა და მკერდმიყრდნობილის ქართველთა სავანეში გადაუწერია მამა ალექსის,იქედან კი მამა ექვთიმეს. დედანი ხელნაწერი შესრულებული ყოფილა ტყავის პერგამენტზე,რომელიც ივერთა მონასტრის წიგნთსაცავში ინახებოდა.

„წმიდა ისააკ ასურის სწავლანი“ 41 თავისა და საძიებლისაგან შედგება. ხელნაწერს მეორე და მესამე თავები აკლია, პირველი თავი დასასრულის,მეოთხე თავი – დასაწყისის გარეშეა. წმიდა ექვთიმეს ხელნაწერში მითითებულია, რომ ეს თავები დედანში საერთოდ არ ყოფილა.

ხელნაწერი შავი კალმით,საზედაო ასოები და სათაურები კი წითელი მელნითაა შესრულებილი. კრებულს თან ახლავს წმიდა ისააკ ასურის მინიატურა (გვ. მე-3), რომელზეც წმინდანი სრული ფიგურით, მაკურთხეველი მარჯვენითა და მარცხენა ხელში გრაგნილით არის გამოსახული. გრაგნილზე მინაწერია: „დასაბამი ყოვლისა სათნოებისა არს შიში ღვთისა და არს იგი ნაშობი სარწმუნოებისა“ (წმიდა ისააკ ასური).

ცნობილი ფაქტია, რომ წმიდა ექვთიმე, შესანიშნავ კალიგრაფიასთან ერთად, მდიდარი მხატვრული ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული. მის მიერ ნოტირებული კრებულები შემკობილია საოცრად დახვეწილი, ნატიფი და დიდი ოსტატობით, ფაქიზად შესრულებული ორნამენტული დეკორით. ამდენად, შესაძლოა, კრებულში ჩახატული მინიატურის ავტორიც წმიდა ექვთიმე იყოს. ჩვენს ვარაუდს საფუძველს უმყარებს ხატისა და სანოტო კრებულების ორნამენტთა ფერების იდენტობაც. ამასთან, თანხვედრაშია წმიდა ისააკ ასურის ვინაობის აღმნიშვნელი, ასევე გრაგნილში ჩაწერილი ასოების მოყვანილობა და წმიდა ექვთიმეს ხელწერა.

წმიდა ისააკ ასურის სწავლანი, დედნისეული ტექსტის ზუსტი დაცვით,2005 წელს მონასტრის წინამძღვრისა და მოძღვრის ერთობლივი ძალისხმევით გამოიცა.

ხელნაწერი – „გზა ცხოვრებისა” (21,5×17,5 სმ), მუყაოს სქელ ყდაშია ჩასმული და ახლავს წარწერა – „წიგნი მონასტრის საკუთრებაა და არავინ მიითვისოს“. ხელს აწერს ვინმე მონოზონი თეოდორა. ხელნაწერს აკლია პირველი გვერდი, რომელიც ხელახლა გადაუწერიათ. კალიგრაფიის მიხედვით, მისი ავტორი იგივე მონოზონი თეოდორა უნდა იყოს. წიგნს მამა ექვთიმე იწყებს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცნობილი ქადაგებით, რომელიც 1924 წლის საერო კალენდრით ახალი წლის დადგომას უკავშირდება.

არქივში მუშაობისას, საბედნიეროდ, მივაკვლიეთ წმიდა ექვთიმეს ხელნაწერის პირველ დაკარგულ გვერდს. ასოების



წმიდა ექვთიმეს ხელნაწერი „წმიდა ისააკ ასურის სწავლანი მოღვაწეებისა“

მოყვანილობამ და გვერდიდან გვერდზე გადატანილ სიტყვათა მიმდევრობის ერთმანეთთან თანხვედრამ დაგვარწმუნა ამ აღმოჩენის სისწორეში.

კრებულის სატიტულო გვერდიდან ირკვევა, რომ მრავალ წიგნთაგან გამოკრებილი ღვთივსულიერი სწავლანი შედგენილია მღვდელ-მონოზონი ექვთიმეს მიერ. თარიღი მითითებული არაა, თუმცა უნდა შესრულებინა 1926 წლამდე, ვიდრე მას იღუმენის ხარისხში აიყვანდნენ.

ხელნაწერი 256 გვერდისაგან შედგება და თემატურად სამ ნაწილად იყოფა:

ფსალმუნის მუხლობრივი განმარტებები;

სხვადასხვა წმიდა მამის ღვთივსულიერი სწავლანი (ზოგან მითითებულია ავტორი: წმიდა იოანე სინელი, წმიდა გრიგორი ღვთისმეტყველი, წმიდა იოანე ღვთისმეტყველი, წმიდა პავლე მოციქული). მოძღვრებანი სულ 764 მუხლს შეადგენს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწავლანი, რომელზეც ავტორი არაა მითითებული, წმიდა ექვთიმეს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან უავტორო მოძღვრებათა მეტყველების სტილი სრულად ემთხვევა წმიდა ექვთიმეს სააზროვნო პრინციპებს.

დახაზულია ორი ცხრილი, რომელთაგან პირველში მოცემულია 81 საღვთო თვისება, რომლებითაც გამოიხატება ადამიანთა შორის ხატება და მსგავსება ღმრთისა. მეორე ცხრილში ის ბოროტი ვნებებია ჩამოთვლილი, რომლებიც ადამიანს ებრძვიან და ხელს უშლიან მის წარმატებას განღმრთობის საქმეში.

წმიდა ექვთიმეს შედგენილ ხელნაწერ წიგნს „გზა ცხოვრებისა“ თან ახლავს რამდენიმე მისი ორიგინალური თხზულება, რომელთაგან ორ სწავლება- მოძღვრებას ვთავაზობთ მკითხველს:

1) სენაკის ღირსება-მოვალეობა და ბერ-მონოზონთა სასენაკო, დღითი-დღე შთასახედი 20 კანონი:

1. სენაკი ესე არს, ვითარცა ასპარეზი, იგივე საბრძოლველი ველი, სადაც უნდა შეეჭიდო და ებრძოლო სულითა და გულით, თვით შენსავე ხორციელ ბუნებას; და უკეთუ სძლიო და დასცე იგი, იხარო უკუნისამდე, უფლისა მიერ აღთქმულის მიღებით.

2. სენაკი ესე არს, ვითარცა შენი ქვეყნი-

ური საფლავი, სადაც უნდა დასტოვო კვართი იგი სულისა (ხორცთა შენთა საბლარდნელი) და უნდა აღმოაცენო ლოცვისა შენისა მადლის ხე, ცად აღმართული, ცხოვრების მიმნიჭებელი.

3. სენაკი ესე არს, ვითარცა ხორციელი სახლი, რომელშიდაც უნდა ააშენო შენი სულიერი სახლი საუკუნო ცხოვრებისა, რომლიდგანაც გამოხვალ რა, უნდა დაკეტო კარი ცუდად-მეტყველებისა ენისა შენისა. ხოლო რაჟამს შესვლა გენებოს, მაშინ აღახვენ კარი ბაგეთა შენთანი ლოცვად, ვედრებად და დიდებად ღვთისა.

4. სენაკი ესე არს, ვითარცა სალარო და ბეღელი, სადაც შეიკრიბება სულიერი, ყოველდღიური მრავალი კეთილი ნაყოფი იფქლისა, საგზლად ცხოვნებისათვის სულისა.

5. სენაკი ესე არს, ვითარცა მარანი, რომელსა შინა შეიკრიბების სთველი სულიერი მრავალთა ვაზთაგან, ტკბილი ნაყოფი მადლთა.

6. სენაკი ესე არს, ვითარცა საწნახელი, რომელსა შინა დაიწნიხების მტევანნი მორჩილებისანი, მწდეველნი ტკბილისა სასმელისანი, და მახარებელნი გულთანი.

7. სენაკი ესე არს, ვითარცა ჭური, სადაც უკვე შთაისხმის და დაიუნჯების სულიერი კეთილნი, ქრისტეს ახლის სჯულის მადლის ღვინო, ღვთის სიყვარულით დამათრობელი.

8. სენაკი ესე არს, ვითარცა სასტუმრო, რომელსა შინა პატივის-ცემით და წრფელის ლოცვით მოვიპატიჟებთ ზეცათა მეუფესა, და მის წმიდათა დასთა, სულად განმაცხოველებელად ჩვენდა.

9. სენაკი ესე არს, ვითარცა საპყრობილე, რომელსა შინა ნებითა ჩემითა შემოვედი, სასჯელისათვის და შრომისა, კეთილთა მოსარეწელად. ხოლო ეშმაკნი იღვწიან, ნებითა მათითა იძულებით და ძალდატანებით განმიყვანონ აქედგან, კეთილთა ჩემთა განსაბნეველად.

10. სენაკი ესე არს, ვითარცა „ბითეზდა“ (ცხოვართა საბანელთა ტბა), რომელსა შინა მყოფი უძლური, უადრეს ყოველთასა ღამით აღმსთობილი, უსწრობს და უადრეს სხვათა შთავალს სინანულისა ტბასა, და ცრემლით განბანილი, მიიღებს დღითი-დღე კურნებასა სულთასა! და რაჟამს ხელოვანი იყოს, ერწმუნოს მას უფლისა მიერ სხვათაცა კურნება (სახ. იოან. თ. 5:2,3,4).

11. სენაკი ესე არს, ვითარცა სადარაჯო (საყარაულო ადგილი), რომელსა შინა მყოფი დღე და ღამე სიფხიზლით მიჰყურებს, თუ რა დროს მოუხტება გულსა მისსა სულიერი მტერი, ბოროტ მრჩეველი! ხოლო იგი მუდამ გონების თვალით, გულსა შინა შთახედული და დაკვირვებული, ადვილად იხილავს მას; მსწრაფლ შეიპყრობს სამტროდ მის ჩჩვილ ბოროტ ჩაგონებას და მყისვე მოსპობს, და არ მისცემს თავის გულში ბინას, გადიდებას და აღორძინებას.

12. სენაკი ესე არს, ვითარცა ნავთსაყუდელი სულისა, რომელსა შინა მოღვაწეობით მყოფი, ადვილად განერება ყოველგვარ სოფლიურ ცოდვათა მღელვარებათა დანთქმისაგან.

13. სენაკი ესე არს, ვითარცა წალკოტი აღშენებული ხეხილის ბაღი, რომელსა შინა მცხოვრები, უკეთუ დღე და ღამე კეთილმოღვაწე იქმნეს, მრავალი კეთილი ნაყოფი გამოიღოს; ხოლო უკეთუ უდებ იქმნეს, მოეკვეთოს იგი, ვითარცა უნაყოფო ლეღვი (სახ. ლუკასი 13:7).

14. სენაკი ესე არს, ვითარცა თორნე, რომელსა შინა მყოფმა, უკეთუ განახუროს გული თვისი, ვითარცა თორნე, ლოცვითა ღვთისა სიყვარულისათა, მან მრავალი კეთილი სათნოებათა პური ღვაწლისა გამოაცხოს და შეიძინოს; ხოლო უკეთუ თორნე იგი გულისა მისისსა განაგრილოს,

ვერცა მოღვაწებათა პური გამოაცხოს და კეთილთაგან მშიერიცა წარწყმდეს.

15. სენაკი ესე არს, ვითარცა კეთილი ცხოვრებისათვის აღშენებული გოდოლი: უკეთუ შენსა ბუნების საქმესა მტკიცედ წინააღუდგე, მტერი ვერ შემოგივიდეს და უკეთუ ბუნებასა შენსა სათნო ეყო, იგი შინაგამცემელი მტრად წინა-აღგიდგეს, და კარი გოდლისა განუღოს მტერსა, შემოვიდეს მძლავრებით, დაგიპყრას შენ და გოდოლიცა ივარ-ჰყოს.

16. სენაკი ესე არს, ვითარცა საგაჭრო სახლი, სადაც რომ ქვეყნიურ ჟანგებს ზეციურ მადლის ოქროზედ ჰსცვლიდე და მწარე წუთების მიცემით, უთვალავ საუკუნეების ნეტარების დროებს ყიდულობდე და იძენდე.

17. სენაკი ესე არს, ვითარცა სასამართლო პალატი, რომელშიაც მომავალ საშინელ სამსჯავროს დროს გასარჩევ საქმეთა შენთა, ახლავე უნდა, სანამ დრო გაქვს, არჩევდე, ასამართლებდე, აკანონებდე და სჯიდე და მას დროს – უმსჯავროდ და უშიშრად იქმნე.

18. სენაკი ესე არს, ვითარცა ეკლესია, რომელსა შინა შევიკრიბებით სულიერნი ძმანი, გინა დანი და ერკეთ ზარსა გონებისა ჩვენისასა, და ვიტყვით: ჟამი არს მსახურებად და ვიწყებთ...

ხოლო უკეთუ სხვანი ძმანი არა გვყავს და მარტო მხოლოდ ვართ სენაკსა შინა; მას ჟამსა შევჰკრებთ ჩვენ საკუთარ ძმათა და მოყვასთა ჩვენთა, რომელნიც არიან: სული, გული, გონება, ხედვა, სმენა, გულისხმისყოფა, აზრი, ჭკუა, ხალისი, სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, სიმართლე, ნიჭი, ხსოვნა, ღმობიერება, სიმდაბლე და სხვა... და ვიწყებთ ერთსულობით, ერთგულობით და ვიტყვით: მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა და სხვა...

19. სენაკი ესე არს, ვითარცა ყანა, რომელშიდაც შრომითა შენითა სთესავ, და რასაც დასთესავ, კეთილ თესლსა თუ ბოროტს, არ დაიკარგება! იმის ნაყოფს მოიმკი.

20. სენაკი ესე არს, თვით მოწმე, წინაშე მართლმსაჯულისა ღვთისა, თუ როგორ სცხოვრობდი მას შინა.



წმიდა ექვთიმეს ხელნაწერი „20 სასენაკო კანონი“

აღნიშნული სწავლა-მოძღვრება კრებულიდან „გზა ცხოვრებისა“ ხელმეორედაც გადაუწერია წმიდა ექვთიმეს სხვა წიგნაკში. ისიც მონასტრის არქივშია დაცული წმიდა მამის სხვა წიგნებთან ერთად. ხელნაწერის მდგომარეობა – ერთიანად გაცვეთილი ფურცლების კიდეები – გვაფიქრებინებს, რომ მას წმიდა ექვთიმე ყოველდღიურ საკითხავად იყენებდა. ვფიქრობთ, 20 სასენაკო კანონი დახმარებას გაუწევს როგორც მონოზონობის მსურველთ, ისე სასულიერო გზაზე შედგარ ღვთისმსახურთაც.

2) წუთისოფელი

ეს ქვეყანა არის დროებითი, ღვთისაგან გაჩენილი და დაწესებული მისთვის, რომ ყოველი ჩვენგანი (კაცთა ნათესავი) უნდა



წმიდა ექვთიმეს ხელნაწერი „გზა ცხოვრებისა“

მოემზადოს საუკუნო ცხოვრებისათვის და ჰქვიან მას – მოსამზადებელი ხანა, ანუ წუთი-სოფელი. ამიტომ დააწესა უფალმან ამქვეყნად სამნაირი შობა ადამიანისა:

პირველი – დედის მუცლიდგან ხორც-შესხმული შობა ადამიანის სულისა, როდესაც პირველად შემოდის ამ ქვეყანაში საცხოვრებლად.

მეორე – ნათლისღებით შობა, წყლისა და სულისა მიერ წმიდისა (სახ. იოან. 3:3-5). პირველ ხორცით შობილმა, უკეთუ მეორე, ნათლისღების შობა არ მიიღო, ისი საუკუნო სასჯელს მიეცემა (სახ. მარკ. 16:16).

მესამედ – შობა ადამიანის სულისა არის, როდესაც სული განვალს გვამისაგან თვისისა, სტოვებს გვამსა და წუთისოფელსა და თვით სული მიდის საუკუნოსა ცხოვრებასა ან – სასჯელსა. რომ მესამედაც არ იშვას სული თავის გვამისაგან, ეს კაცთაგან შეუძლებლად დასდვა უფალმა! ამიტომ, წუთისოფელი, აქ, ამ ქვეყანას, არავის არ სტოვებს; ყველას აგდებს აქედგან და აჭანს მას, რაც სიცოცხლეში დაიმსახურა, კეთილი თუ ბოროტი.

ამქვეყნად შემოსულ ხალხს წინ უდებს უფალი სამნაირ ცხოვრებას, საუკუნო ცხოვრებისთვის მოსამზადებლად.

პირველი არის: ცოლ-შვილობით ცხოვრება, გინა ქმარ-შვილობით; რომელნიც, უკეთუ იცხოვრებენ ცოლ-ქმარნი, მცნებისაებრ უფლისა, კანონიერ გვირგვინოსნობით და სჯულიერად, ყოველგვარ კეთილისმოქმედებით, იგინი შეიძენენ ღვთისაგან ჯერ ამქვეყნად განმრავლებას და კეთილ ცხოვრებას, ვითარცა სწერს წმიდა დავით წინასწარმეტყველი: „ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა, და რომელნი ვლენან გზათა მისთა. ნაშრომი ნაყოფთა შენთა სჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ: ცოლი შენი, ვითარცა ვენახი მსხმო, კიდეთა სახლისა შენისათა. შვილნი შენნი, ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი, გარემოს ტაბლისა შენისა. აჰა, ესერა, ესრეთ იკურთხოს კაცი, რომელსა ეშინოდის უფლისა. გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, და იხილო შენ კეთილი

იერუსალიმისა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი, მშვიდობა ისრაელსა ზედა" (ფსალ. 127) – ესრეთ კეთილმოქმედნი მეუღლენი, შემდგომად გარდაცვალებისა, იგინი მიიღებენ ღვთისგან მადლის ჯილდოს: ერთი – ოცდაათით განმრავლებით, საუკუნო ნეტარ ცხოვრებისთვის.

მეორენაირი ცხოვრება არის: ქალწულებით ყოფა მთელ თავის სიცოცხლეში, კაცისა და ქალისა. მათი ცხოვრება უნდა იქმნეს ღვთისმოყვარეობით, ლოცვა-ვედრებით, უბიწოებით და უმწიკვლოებით, და ყოველგვარ კეთილის მოქმედებით განატარებენ თავიანთ სიცოცხლეს. ამათი ცხოვრება ქვეყანაზედვე სანატრელია, როგორც სწერს წმიდა დავით: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა; ნეტარ არიან, რომელნი გამოიკვლევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძიენ იგი" (ფსალ. 118:1-2) – იგინიც, შემდგომად გარდაცვლისა მათისა, მიიღებენ ღვთისაგან მადლის ჯილდოს: ერთი – სამოცად განმრავლებით, საუკუნო სანატრელ ცხოვრებისთვის.

ხოლო მესამენაირი ცხოვრება არის საღმრთო სულიერი, მოციქულებრივი და ბერ-მონოზნური, რომელიც ღვთის სიყვარულისათვის სტოვებს და სთმობს საამქვეყნიო ყველაფერს: ცოლ-შვილობას, გინა ქმარ-შვილობას, დედა-მამას, ძმებს, დებს, და ყველა ნათესავს. ეგრეთვე, სტოვებს ადგილ-მამულს და ყველაფერ საცხოვრებელს!. და ტვირთულობს სოფლიურ ყოველგვარ გაჭირვებას მოთმინებითა; და დღე და ღამე გულსმოდგინედ შეუდგება ღვთის სამსახურს, და ღვთისადმი ბოლომდის აქვს ყოველი სასოება დადებული – ესენიც, შემდგომად გარდაცვალებისა მათისა, მიიღებენ ღვთისაგან მადლის ჯილდოს, ერთი – ასად განმრავლებით, საუკუნო სანატრელ ცხოვრებისთვის (სახ. მათესი, თავი 13:23,43). ამიტომ, კეთილი და სანატრელი არის: პირველი – კანონიერი ცოლ-შვილობით ცხოვრება; უკეთეს და უუსანატრელეს არს მეორე – ქალწულებით ცხოვრება; ხოლო უუდიდებულეს და უუბრწყინვალეს არს მესამე – საღმრთო მსახურებით ცხოვრება, რომელსა გარდაცვალების დროს ჰპატრის ხალხი და უგალობს წმიდა ეკლესია და იტყვის: „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ. ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო; დაიმკვიდროს ეზოთა შინა შენთა" (ფსალ. 64:4).

წმიდა ექვთიმე კერესელიძე საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული მოღვაწეა. ამის ნათელი დასტურია ჩვენამდე მოღწეული მისი ღვთივსულიერი სწავლანი და დარიგებანი. ასევე ფასდაუდებელია მისი დამსახურება ძველი ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენის საქმეში. რომ არა მისი ურყევი რწმენა და თავდადება, ქართველი ერის მუსიკალური საუნჯე ესოდენი მრავალფეროვნებით ჩვენამდე ვერ მოაღწევდა. სიცოცხლის ბოლოს კოტე ფოცხვერაშვილისთვის მიუწერია: „ძმაო კოტე, ჩემთან კეთილმეგობრობასა და საუბარს ნუ დაივიწყებ და აგრეთვე ჩვენს დიდ ნაშრომებს წიგნებს ყურადღება მიაქციე, რადგან მე ვიცვლები ამიერ წუთისოფლისგან და ქვეყნიდან, და სამუდამოდ ვშორდები ჩემს საყვარელ ძმებს და მეგობრებს."

ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სამთავროს სულიერი მოძღვარი, იღუმენი ექვთიმე კერესელიძე (1865-1944წწ.), 2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმინდანად შერაცხა (ხსენების დღედ დადგინდა 2 თებერვალი – გარდაცვალების დღე).

*მონოზონი ნინო (სამხარაძე)*

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲞᲝᲠᲤᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲡᲝᲙᲐᲚᲘᲕᲔᲚᲘ

## ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲐ

თუ შენ ცარიელი ხარ, რაც ნიშნავს, რომ სიყვარული არ გაგაჩნია, გინდაც მეტანიები გააკეთო, გინდაც ილოცო – უშედეგო იქნება, და როდესაც რაიმე მიზეზით მოდის ლმობიერება, არ გაუშვა იესოს ლოცვის შესაძლებლობა. ასე, თანდათან, შეიძენ გამოცდილებას. როცა წარმატებას მიაღწევ, მაშინ გონებაში ისმის არა მხოლოდ ლოცვის სიტყვები, არამედ კიდევ რაღაც სხვა. ეს „რაღაც", რასაც შიგნით გრძნობ შენი მხრიდან ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, არის სწორედ ღვთის მადლი, რომელსაც ქრისტე გჩუქნის.

გონიერი ლოცვა აქვთ მხოლოდ მათ, ვინც ღვთის მადლი მიიღო. ლოცვა არ უნდა შესრულდეს აზრით: „აი, მე ვისწავლი და მივაღწევ მას", რამეთუ ამან შეიძლება ეგოიზმსა და სიამაყემდე მიგვიყვანოს. აქ აუცილებელია გამოცდილება, მგზნებარე სურვილი, ამასთან განსჯა, ყურადღება და საღი აზრი, რათა ლოცვა წმიდა და ღვთის სათნო იყოს. ერთი გაფიქრებაც კი – „მე წარმატებას მივაღწიე" – ყველაფერს აფუჭებს. რით უნდა ვიამაყოთ? ჩვენ არაფერი გვეკუთვნის. ეს ძალიან ფაქიზი საკითხებია.

იესოს ლოცვა უნდა შესრულდეს ჩვენი გონებით შინაგანად და არა მხოლოდ ბაგეებით, რათა გონება არ განიბნეს და აქეთ-იქით არ იხეტიალოს. მშვიდად მოვათავსოთ ქრისტე ჩვენს გონებაში და თვინიერებით ვთქვათ: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე". სხვაზე ნუ იფიქრებთ, მხოლოდ სიტყვებზე: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე". მეტი არაფერი, არაფერი! ვილოცოთ მშვიდად, თვალებგახელილმა, რათა ოცნებებსა და ხიბლში არ ჩავვარდეთ. მიმართეთ ქრისტეს ყურადღებით და მისდამი ერთგულებით. შეასრულეთ ლოცვა მშვიდად და თვინიერად (გულისხმიერად) და არა განუწყვეტლივ, არამედ მაშინ, როდესაც გვაქვს განწყობა და ლმობიერება, რაც ღვთიური მადლის საბოძვარია. მადლის გარეშე ადამიანი შეიძლება თვითჰიპნოზის მდგომარეობაში ჩავარდეს, ბოლოს ნათელი მოეჩვენოს, ხიბლსა და გონებრივ აშლილობაში აღმოჩნდეს.

ლოცვა იძულებითი არ უნდა იყოს. საკუთარ თავზე ძალდატანებამ შეიძლება გამოიწვიოს შინაგანი წინააღმდეგობა ჩვენში და ზიანი მოგვაყენოს. ბევრი დაავადდა იმისგან, რომ მათ იესოს ლოცვა შეასრულეს, გამოწურეს იგი თავიანთი თავიდან. რა თქმა უნდა, ხდება რაღაც, როდესაც ლოცვას გამოვწურავთ, მაგრამ ეს არაჯანსაღი მოვლენაა. ასევე, არ გამოიყენოთ ხელოვნური საშუალებები. არ არის საჭირო დაბალი სკამი, არც თავის დახრა ან თვალების დახუჭვა. ბევრი ამბობს: „დაჯექი დაბალ სკამზე, თავი დახარე, დაიძაბე და გონება მოიკრიბე," მაგრამ სად არის... სცადეთ და ნახავთ. სალოცავად გონების განსაკუთრებული კონცენტრაცია აუცილებელი არ არის.

როდესაც ღვთიური, ცეცხლოვანი სიყვარული გამოძრავებთ, არანაირი ძალისხმევა არაა საჭირო. არა აქვს მნიშვნელობა, სად იმყოფებით – მანქანაში, ქუჩაში, სკოლაში, ოფისში, სამსახურში – ყველგან შეგიძლიათ ილოცოთ: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. წყნარად, რბილად, დაძაბულობის გარეშე. ნუ მიეჯაჭვებით კონკრეტულ ადგილს. ყველაფერი ქრისტეს სიყვარულშია. თუ თქვენი სული წყურვილითა და სიყვარულით იმეორებს ამ ხუთ სიტყვას: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“, მაშინ იგი არ კმაყოფილდება. შეუძლებელია ამ სიტყვების საკმარისად მიღება! მათში იმდენი მაცოცხლებელი წვენია!

ლოცვა უნდა იყოს სრულიად უანგარო. ყველაფერი უნდა მოხდეს საიდუმლოდ და უანგაროდ. ანუ, არ იფიქროთ, რომ თუ გონებას მოიკრებთ, მადლი მოვა და გულში მხიარულ თრთოლას იგრძნობთ. ასეთი გაანგარიშებით კი არ უნდა ილოცოთ, არამედ უბრალოებითა და თავმდაბლობით. მუდამ იმედით მიაპყარით მზერა ღმერთის დიდებისაკენ. ბულბულის მსგავსად, რომელიც ყველასთვის უხილავი გალობს, შენც იყავი უანგარო. იდუმალ მიუძლვენით თავი ღმერთის მსახურებას.

იგალობეთ საეკლესიო საგალობლები, წმიდანთა, მოწამეთა ტროპრები, დავითის ფსალმუნები. ყურადღებით წაიკითხეთ ბიბლია და წმიდა მამათა თხზულებები. ამგვარად თქვენი სული დარბილდება, განიწმიდება, განიღმრთობა. მზად იქნება ღვთიური სიტყვების მოსასმენად. ნელ-ნელა თქვენ მოგიხილავთ მადლი, შეხვალთ სიხარულში. იცხოვრებთ მშვიდად, ხოლო შემდეგ ღვთის მადლის წყალობით გაძლიერდებით. მოიშლით მრისხანებას, გადიზიანებას, განაწყენებას, განკითხვას, ყველას მიიღებთ სიყვარულით. მოიპოვებთ იმას, რაზეც პავლე მოციქული ამბობს: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყვარულსა არა შურნ, სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის... სიყვარული არასადა დავარდების, გინა თუ წინასწარმეტყველებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ. გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ“ (1-ლი კორ., 13, 4-8).

იესოს ლოცვა წმენდს სულს და შემოკრებს გონებას. ყველაზე სრულყოფილი მოქმედება ხდება ადამიანის სულის „წმიდათაწმიდათაში“, რომელიც ჰერმეტულად არის დახურული და მხოლოდ ღმერთმა უწყის. ასე, რომ, ჩვენ რაღაც საოცარს ვაკვირდებით! – ადამიანები ღვთის შვილებად იქცევიან – მას შემდეგაც კი, რაც თვითგანადგურების სიღრმეებს მიაღწევს.

როდესაც შენ გყავს ბერ-მოძღვარი, მაშინ ხიბლი საშიში არ არის. როდესაც გყავს კარგი ხუცესი, ღმერთშემოსილი, მის გვერდით, მასთან ერთად ლოცვით ისწავლი ლოცვის საიდუმლოებებს. ნელ-ნელა იწყებ სულიერ ცხოვრებაში შესვლას და ხუცესივით ლოცვას. იგი ვერ გეტყვის შენ: „გააკეთე ასე და ასე“. გააკეთე, რასაც ხედავ მასთან, შენც იმგვარად მოიქეცი. მიდიხარ მოძღვართან, ის გესაუბრება გონიერ ლოცვაზე, მაგრამ უნდა იცოდე: თუ მას არ აქვს გამოცდილება გონიერი

ლოცვისა, ვერაფერს გასწავლის. მაგრამ, როდესაც მან შეიძინა გონებრივი ლოცვის გამოცდილება და მისით ცხოვრობს, აქ არსებობს საიდუმლოება – მოწაფე არა მხოლოდ ისმენს მის სიტყვებს, არამედ ხედავს, თუ როგორ იხსნება მისი გული და როგორ ესაუბრება ღმერთს. მოწაფის სული ხედავს ხუცესს და არა მხოლოდ ხედავს, არამედ სული ურთიერთობს სულთან. ერთი სული განიცდის მეორე სულს. მოწაფე გრძნობს, როგორ მოიპოვება ეს სწორი „ფორმა“, როგორ მოდის ეს მდგომარეობა ღვთიური მადლით.

მხოლოდ დაუფიქრებელი და უგრძნობი ადამიანი, რომლის სულს ლოცვა არ ეხება, არის უცხო მადლისთვის. ილოცეთ, რომ უფალმა გაგიმჟღავნოთ დაფარული საიდუმლოებები. ბევრი რამ არის, რაც ჩვენ არ ვიცით. უთხარით ქრისტეს: „იყოს ის, რაც შენს სიყვარულს სურს!,“ იგი თქვენ წაგიყვანთ. განჭვრიტე, განიცადე იგი!

საჭიროა გონიერი ლოცვის შესწავლა მოძღვრის ხელმძღვანელობით. გონიერი ლოცვა არ შეიძლება შესრულდეს სულიერი დამრიგებლის გარეშე. არსებობს საშიშროება, რომ სული ხიბლში ჩავარდება. საჭიროა სიფრთხილე.

როდესაც შეიყვარებ ქრისტეს, გირჩევნია მდუმარება და გონიერი ლოცვა, მაშინ სიტყვები ქრება. ეს არის ის შინაგანი მდუმარება, სიჩუმე, რომელიც წინ უსწრებს, თან ახლავს და მოსდევს ღვთიურ მოხილვას, ღვთიურ ერთობასა და ღმერთთან სულის შერწყმას. როდესაც ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდები, მაშინ სიტყვები არ არის საჭირო, შენ ამით ცხოვრობ. ეს არის გამოცდილება, რომელიც აუხსნელია. მხოლოდ მას, ვინც განიცდის ამ მდგომარეობას, ესმის ეს. სიყვარულის გრძნობა გავსებს და გაერთიანებს ქრისტესთან, ივსები სიხარულითა და მხიარულებით. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ შენში სუფევს ღვთის სიყვარული, სრულყოფილი სიყვარული. ღმერთის სიყვარული უანგარო, მარტივი, ჭეშმარიტია.

ევედრეთ ღმერთს წყურვილითა და სიყვარულით, მშვიდი სულიერი მდგომარეობით, თვინიერებით, რბილად, ძალდატანების გარეშე და როდესაც ლოცულობთ: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე!“ – წარმოთქვით ეს სიტყვები ნელა, თავმდაბლად, უბრალოდ, ღვთისადმი მგზნებარე სიყვარულით. სიტკბოებით წარმოთქვით ქრისტეს სახელი. თქვით ყოველი სიტყვა აუჩქარებლად, ყურადღებით: „უფალო.... იესო... ქრისტე, შემიწყალე მე!“ – რბილად, ნაზად, სიყვარულით ჩუმად, იდუმალებით გონიერად, მაგრამ ამავე დროს შემართებით, წყურვილით, სურვილით, დაძაბულობის, იძულების ან შეუსაბამო გამომეტყველების, შინაგანი დაძაბულობისა და ზეწოლის გარეშე. როგორ გამოთქვამს დედა, რომელსაც უყვარს თავისი შვილი? „ჩემო ბიჭო!“ „ჩემო გოგონა...!“ „ჩემო ვანიკო!“ „ჩემო მარიკო!“ მხურვალე სიყვარულით. სიყვარულით! – ამაშია მთელი საიდუმლო. აქ გული ლაპარაკობს: „ჩემო შვილიკო, სულო ჩემო!“ „უფალო ჩემო, იესო ჩემო, იესო ჩემო, იესო ჩემო...“

რაც შენს გულსა და გონებაშია, გამოხატავ „ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“.

ლოცვაში მნიშვნელოვანია არა ხანგრძლივობა, არამედ ინტენსივობა. ილოცეთ თუნდაც ხუთი წუთი, მაგრამ ღმერთისადმი საკუთარი თავის სრული მინდობით, სიყვარულითა და მგზნებარე სურვილით. ისეც ხდება, რომ ერთს მთელი ღამე ლოცვა შეუძლია, ხოლო სხვას – მხოლოდ ხუთი წუთი და ეს ხუთწუთიანი ლოცვა უფრო მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლოა, მაგრამ ასეა.

უფალი ყოველგან არს და ყოველივეს აღავსებს. ვცდილობ, გავფრინდე უსასრულობაში, ვარსკვლავეთში. გონება იკარგება ღმერთის სიდიადესა და ყოვლისშემძლეობაში. ვფიქრობ მილიონობით სინათლის წელიწადის მანძილზე, ვგრძნობ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი მუდამ ჩემს წინაშე დგას. ხელებს ვიწვდი მისკენ და სულს ვუხსნი, რათა მას შევუერთდე, ვეზიარო ღვთაებას.

ყველა ჩვენი პრობლემა – მატერიალური, ხორციელი – მივანდოთ ღმერთს. ვლოცულობთ საღმრთო ლიტურგიაზე: „...და ყოველი ცხორებაჲ ჩვენი ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა, შევვედროთ“. მთელ ჩვენს ცხოვრებას გაბარებთ შენ, ღმერთო, რასაც ინებებ, „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. ღვთის კაცი ყოველივეს ლოცვად გარდაქმნის. სირთულესაც და მწუხარებასაც, ყველაფერს ლოცვა ახლავს. რაც არ უნდა შეემთხვეს, მაშინვე იწყებს ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე...“

ლოცვა შემწეა ყველაფერში, თუნდაც სულ უმარტივესშიც კი. მაგალითად, უძილობა გაწუხებს. არ იფიქრო ძილზე, ადექი, გადი ქუჩაში და შემდეგ დაბრუნდი ოთახში. დაწექი, თითქოს პირველად და არ იფიქრო იმაზე, დაგეძინება თუ არა. გონება შემოიკრიბე, წაიკითხე დიდება მაღალიანი გრძლად, შემდეგ სამჯერ „უფალო იესო ქრისტე...“ და ძილიც მოვა.

ვამბობდი: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე!“ და ახალი ჰორიზონტები იხსნებოდა, მდიოდა თვალებიდან სიხარულისა და მხიარულების ცრემლები ქრისტეს სიყვარულისა და ჯვარზე მისი მსხვერპლის გამო. ცეცხლოვანი წადილი! ამაშია დაფარული სიდიადე, სამოთხე. შენ გიყვარს ქრისტე, ამიტომ ამ ხუთ სიტყვას მოწიწებითა და მთელი გულით წარმოთქვამ. ნელ-ნელა სიტყვები ქრება, გული იმდენადაა გალიცლიცებული, რომ საკმარისია თქვა მხოლოდ „ჩემო იესო“ – და სიტყვები ქრება. სიყვარული უკეთესად გამოითქმება სიტყვების გარეშე. როდესაც ადამიანის სული ნამდვილად შეიყვარებს ქრისტეს, იგი ამჯობინებს დუმილს და გონიერ ლოცვას. ღვთიური სიყვარულის სიჭარბე სულს სიხარულითა და მხიარულებით ავსებს.

*ითარგმნა*
*სამთავროს დედათა მონასტერში*

ბერი ეფრემ არიზონელი

## საუბრები და წერილები

ღმრთის მადლმა მონასტერში შემოგვკრიბა, რათა ერთმანეთს შევეწეოდეთ, რათა ვიწვრთნებოდეთ მოყვასის სიყვარულში, მორჩილებაში, მოთმინებაში, სულგრძელობაში, ძმათმოყვარებაში და გვქონდეს ერთსულოვნება. მაგრამ როგორ გავიწვრთვნებით ამ სათნოებებში, როდესაც ერთმანეთს ვაღიზიანებთ, ცოდვისაკენ ვუბიძგებთ და თავადაც ვეცემით? ღმერთი ხომ ხედავს, თუ როგორ შრომობს თითოეული თქვენგანი მორჩილებებზეც და სულიერადაც, ამიტომ მოღვაწეობის ორივე მიმართულებით ადამიანმა გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ სიყვარულსა და სიმდაბლეზე. თუკი ძმობაში სიყვარული და სიმდაბლეა, მაშინ კრებული ღმერთში ცხოვრობს: ლოცვის წარმოთქმით ჩემს თავსაც შევეწევი და ძმასაც; ჩემი სიყვარული მოყვასზეც ვრცელდება, ჩემი ლოცვა ძმას ესმის და ისიც მის წარმოთქმას იწყებს: „ძმა ძმისგან შეწევნილ იქმნების, ვითარცა ქალაქი მტკიცე“ (იგავნი 18,19), ხოლო თუკი მას ლაყბობისაკენ ვუბიძგებ, მაშინ მხოლოდ ზიანს ვაყენებ. განა ეს სიყვარულია?

ნეტარი და ბედნიერია მორჩილი, რომელიც საკუთარ ნებას მოიკვეთს და ღმრთის ნებას ჩაეჭიდება, ასევე მოთმინება და სულგრძელობა აქვს. ჩვენ, ბოლო ჟამის მონოზვნები, მერვე ათასწლეულის შვილები, სუსტები ვართ. თავიდან ფეხებამდე დაფარული ვართ ჭრილობებით, ავადმყოფობებით, სიმსივნით, სასიკვდილო თუ ნაკლებად სასიკვდილო უძლურებათა მთელ პალიტრას დავატარებთ. ყველაფრის მიუხედავად კი ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც კეთილი განწყობა აქვს და მამათა გადმოცემებზე დაყრდნობით, აიძულებს თავს იღვაწოს – გაიმარჯვებს.

ვიყოთ მორჩილნი, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მოვიკვეთოთ საკუთარი ნება და დღე შევავსოთ ლოცვით: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე!“ მორჩილებაზე ვიშრომოთ და ვილოცოთ, მოვიშოროთ ამაოდმეტყველება და სხვათა განკითხვა, რადგან თუ ლოცვა არ გვექნება, მაშინ მის ნაცვლად გვექნება ამაოდმეტყველება: „რა გააკეთა ერთმა, რა გაიგონა მეორემ, რა მოხდა იქ ...“ ამ ყველაფერს საეშმაკო ლოცვა ეწოდება, საუფლო ლოცვა კი არის მდუმარებაში უფლის სახელის მოხმობა. თავი ვაიძულოთ, ლოცვაში ყოველმხრივ ყურადღებით ვიყოთ, რადგან ეს თვით ჩვენთვის არის სასარგებლო.

საკუთარი ნების მოკვეთით ზეცა იხსნება, დღეს კი ჩვენ საპირისპიროს ვაკეთებთ. გვსურს, რომ ყველაფერი ჩვენს ნებაზე იყოს და თუკი ბერი ჩვენს ნებას მოკვეთს, ვჯანყდებით. მაგრამ რატომ? შვილო ჩემო, განა აქ იმისთვის არ მოხვედი, რომ მონოზონი გახდე, საკუთარი ნება მოიკვეთო, ნაკლულევანება დაითმინო და იღვაწო?

რატომ მოხვედი აქ? რათა გქონდეს ის, რაც ერში გაკლდა? – არა. შენ აქ მოხვედი, რათა ყველაფერი უკან მოიტოვო და ყოველივე საკუთარის უარყოფა ღმერთს მსხვერპლად შესწირო. შენ ეს გააკეთე? საკუთარი ნების მოკვეთა მოითხოვს შრომას, ტკივილს და გულისმიერი სისხ-

ლის გაღებას. შენ ეს გაიარე? გაიღე სისხლი, რათა მიიღო სული. არ გაიღე სისხლი? – ვერ მიიღებ სულიწმინდას, რაც საკუთარი ნების მოკვეთას მოჰყვება. არ შეივიწროვე თავი ლოცვაში? როგორღა ჰპოვებ განსვენებას მადლში? დიახ, ამაოდმეტყველება ადვილია, ადამიანი წუთიერ სასიამოვნო გრძნობას განიცდის, ურთიერთობს, ისვენებს, აღფრთოვანდება... მაგრამ თავისდა საზიანოდ.

რა მშვენიერია, იყო მორჩილი! როგორი უდიდესი და წარმოუდგენელი ბედნიერებაა, როდესაც მორჩილებაში მყოფი ადამიანი იღვწის საკუთარი ნების მოსაკვეთად და ამასთანავე იწვრთნება ლოცვაში, ღამისთევაში, საკუთარი აზრების მოწესრიგებაში მამათა სწავლების შესაბამისად. თუკი იგი ამგვარად სულის სასარგებლოდ ატარებს ყოველ საათსა და წამს და ამ დროს მას სიკვდილი მოუსწრებს, მე ვერ დავიჯერებ, რომ დედამიწაზე ვინმე მასზე მეტად წარმატებული იქნება საუკუნო ცხოვრების მოხვეჭასა და ცათა სასუფევლის დამკვიდრებაში.

შვილებო, მოდით, მეტად ვილვაწოთ, პირველ რიგში მე და ჩემს კვალდაკვალ თქვენც. იღვაწეთ მორჩილებითა და საკუთარი ნების მოკვეთით. შეივიწროვეთ საკუთარი თავი არა ბოროტად – სხვების მიმართ გასასტიკებით, არამედ კეთილად – ვნებათა მოკვეთითა და მოყვასის შესაწევნელად. კინოვიის საზოგადო ცხოვრება ჰგავს სპორტულ დარბაზს, საბრძოლო ხალიჩას, სადაც ვნებებს ებრძვიან. როდესაც ძმა მაწყენინებს და მოვითმენ – მაშინ მოთმინებას გამოვიმუშავებ; როდესაც ძმა მამწუხრებს და მე სულგრძელად ავიტან – სულგრძელობას გამოვიმუშავებ, როდესაც ის ჩემზე ზეწოლას ახდენს და მე სიკეთეს ვუკეთებ – მაშინ მტერს ვამარცხებ. ამგვარად, პროვოკაცია სხვისი მხრიდან ჩემს წარმატებას ემსახურება.

ყურადღებით ვიყოთ, რათა არ დავაბრკოლოთ ადამიანები, რომლებიც აქ სარგებლის მისაღებად ჩამოდიან, რადგან ჩვენი სასჯელი ძალიან უწყალო იქნება. სახარებაში იხსენიება ადამიანი, რომელსაც ყელზე ლოდი გამოაბეს და ზღვაში გადააგდეს, ამაზე უარესად მოგვექცევა ღმერთი. ჩვენ მონოზვნები ვართ და ბევრი ვიციით: ვკითხულობთ სასულიერო წიგნებს განმარტოებით, ტაძარში, ტრაპეზზე, ვისმენთ ბერის დარიგებებს, ამიტომ თანამედროვე სამყაროში ერის ადამიანებისათვის უნდა ვიყოთ ნათელი და არა ბნელი ან დაბრკოლებების მიზეზი. უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხელმძღვანელებს. ისინი უფრო ყურადღებით უნდა იყვნენ, მაგრამ ჩვენც უნდა ვიფხიზლოთ, რათა ვიქცეთ ნათლად, კეთილ მაგალითად, ძღვნად ქრისტიანული სამყაროსათვის.

„არავინ დასდვის ხელი სახნისსა და ხედავს იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ცათასა“ (ლკ. 9, 62). ვინც აპირებს წარემატოს და პირდაპირ ღმერთთან მივიდეს, შეუძლებელია, ამ მიზანს მიაღწიოს უკან ხედვით – ე.ი. იმის თვალთვალით, თუ რას აკეთებს ერთი, რას საქმიანობს მეორე – როდესაც ადამიანი მუდამ უყურადღებოა საკუთარი აზრების, სიტყვებისა და საქმეებისადმი. ვერავინ ვერასოდეს ვერ შეძლებს ამ გზით

პირდაპირ ღმერთთან მისვლას. უნდა გახდე ბრმა, რომელსაც თვალები არ აქვს, არ უნდა მიაქციო ყურადღება სხვების ქცევას, არამედ სულიერი თვალით უცქირო მხოლოდ ღმერთს, ნათელს, რათა ამგვარად თავადაც გახდე ნათელი, შენი სული გაბრწყინდეს და შეიცნო საიდუმლოებანი, რომლებიც მონათლული ადამიანის გულში აღესრულება.

სამების სახელით მონათლულმა ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა მიიღო სულიწმიდის მადლი, ეს ღვთიური ნაპერწკალი ყველა მონათლულის გულში სუფევს. მაგრამ ყველამ ვერ შეიცნო ეს მადლი, რადგან იგი დაფლულია ჩვენს ვნებებსა და ცოდვებში. მადლი ვლინდება, ზედაპირზე ამოდის და ხილული ხდება განწმედის შესაბამისად, რაც სინანულითა და ცხოვრების შეცვლით აღესრულება. მაშინ ადამიანი განიცდის და იგებს განმარტებას სახარების გამონათქვამისა: „სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს“ (ლკ. 17,21).

ყურადღებით უნდა ვიყოთ ერთ-ერთი მონოზვნური აღთქმის – მორჩილების მიმართ, იმიტომ, რომ ეს არის ლოცვის მადლის მისაღებად აუცილებელი წინაპირობა. ყურადღებით ვიყოთ, რომ არ აღვასრულოთ საკუთარი ნება, არ გვქონდეს საკუთარი „მე ასე მიმაჩნია,“ ერთგულად მივყვეთ სულიერი წინამძღოლის მითითებებს. არ უნდა ვფარავდეთ რაიმეს ისე, რომ სინათლეზე არ გამოგვქონდეს აღსარების საიდუმლოში. როდესაც მონოზონი რაღაც პირადს, რაღაცას საიდუმლოდ აკეთებს და ცდილობს, ბერს გამოაპაროს, ეს ფუნდამენტური შეცდომა, სერიოზული დაბრკოლებაა ზეციური მადლის მოხვეჭისაკენ სწრაფვაში.

არ უნდა გვქონდეს ისეთი აზრები, რწმუნებები, მიზნები, რომლებიც არ ეცოდინება ჩვენს სულიერ წინამძღოლს. ვინც მხოლოდ თვითონ არის საკუთარი თავის მრჩეველი, ის თავის დამანგრეველი და მტერია; ამიტომ სრული მორჩილება უსაფრთხოა, სტაბილური, პირდაპირ და დაბრკოლებების გარეშე მიჰყავს ადამიანი ღმერთთან.

ლოცვის კურთხეული ნიჭი ყოველთვის ღვთის საჩუქარია. თავიდან იძულებისა და შრომის გარეშე მხოლოდ „უფალო იესო ქრისტეს“ თქმაც არ შეგვიძლია, მადლის შეწევნით კი ლოცვა დიდი სიმსუბუქით წარმოითქმის და თავისთავად აღესრულება, გულში სითბო და ღვთის სიყვარულია. როგორ მოხდა ეს? – ეს საჩუქარია, ღვთის კურთხევა გადმოვიდა. მაგრამ ეს რომ მოხდეს, უნდა არსებობდეს წინაპირობები: ყურადღება და მოწესრიგებულობა ყველაფერში.

აბბა ისააკ ასური წერს: „თუკი ღამით ვკრებთ და დღისით განვაბნევთ, არ უნდა ველოდოთ, რომ რაიმე მნიშვნელოვანს გავაკეთებთ“.

დღის განმავლობაში ყურადღებით უნდა ვიყოთ ყოველივეში, რაც ღამის ლოცვას შეეწევა, ხოლო ღამის ლოცვა დღის განმავლობაში სიფხიზლის შენარჩუნებაში გვეხმარება. ამგვარად, დღისით ყურადღებიანი ცხოვრება, ღამის ლოცვასთან შეერთებული, კარგ შედეგს გვაძლევს.

მოდით, ყურადღებით მოვეკიდოთ ლოცვის წინაპირობებს, რათა წარვემატოთ და ღვთის შეწევნით ლოცვა ვაქციოთ ჩვენს

შინაგან მონაპოვრად, ჩვენს საკუთრებად, იმედად, სინათლედ და ცხოვრებისეულ გზას გვინათებდეს; რათა ლოცვა გახდეს ჩვენთვის ღვთისკენ მიმყვანებელი ხელმძღვანელი, განმათავისუფლებელი, გამომსყიდველი, სულიერი სიკვდილისაგან დამცავი შხამსაწინააღმდეგო საშუალება; რათა ლოცვის მადლმა დაუბრკოლებლად გაგვატაროს ჰაერის საზვერეები და გაგვამართლოს ღვთის ტახტის წინაშე.

ერთ-ერთმა მამათაგანმა თქვა, რომ როდესაც მლოცველ ადამიანს სიკვდილის ჟამს დემონები მუქარით შემოეხვევიან, მაშინ ლოცვა მისთვის იქნება ფარი, იარაღი და ძალა, რომელიც ეშმაკებს განდევნის. ისინი ვერ გაბედავენ მასთან მიახლოებას, ვერც შეხებას და ვერც რაიმე ბოროტების ქმნას. როგორი დიდი საქმეა იესოს ლოცვა! ეშმაკი ყველანაირ ღონეს ხმარობს, რათა ადამიანს ხელი შეუშალოს, ლოცვა თავის მონაპოვრად აქციოს – მაცდურისათვის ხომ კარგადაა ცნობილი, რომ თუ ადამიანი ლოცვას მოიპოვებს, მაშინ თვითონ ამ ადამიანის მიტოვება მოუწევს!

როგორც წერენ წმიდა მამები, ლოცვისას გონება გულში უნდა იმყოფებოდეს, რათა აზრების გაფანტვისა და ფანტაზიებისაგან განთავისუფლდეს და გარეგნული საგნებით არ წარიტაცებოდეს. გონება მოვათავსოთ ერთ ადგილას – სწორედ გულში, რომელიც არის ადამიანის ყველა სულიერ და სხეულებრივ ენერგიათა ცენტრი. გულზე საუბარია იმიტომ, რომ იქ გონება სრულადაა დაუნჯებული და ლოცვის მდგომარეობას იღებს. მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ გული, როგორც სხეულის ორგანო, არამედ პირიქით, გვესმოდეს ის სულიერად. ვუბიძგოთ გონებას გულის ადგილისაკენ, მაგრამ არ წარმოვიდგინოთ ის წარმოსახვაში. როგორც კი გონება გულში დამკვიდრდება, დავიწყოთ შინაგანი ხმით წარმოთქმა: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე!“ როდესაც გონება იფანტება და ფანტაზიორობს, ეს ნიშნავს, რომ ის გულის ადგილიდან გარეთ გამოვიდა, მაგრამ არა სხეულებრივი გულის გარეთ, არამედ სულიერის, – ეს სწორედ ასე უნდა გვესმოდეს და ვასრულებდეთ. საჭიროა, რომ გულის ადგილში დამკვიდრებული გონება თავისუფლად, გაუფანტავად ლოცულობდეს და ამასთანავე არ წარმოიდგინოს თავად გული. ესაა ჭეშმარიტი სწავლება და ხიბლისაგან თავისუფალი შეხედულება.

მოდით, ჩვენს უბრალო ლოცვებში ტკივილით, ძლიერი სურვილითა და იმედით ვევედროთ ქრისტეს, რათა მან ჩვენს გულს თავისი სახელი აჩუქოს. თუკი ამ მადლს მივიღებთ, ვიგრძნობთ, რომ გავმდიდრდით, გავძლიერდით და განვმტკიცდით. მაშინ ჩვენი სულიერი მონოზვნური ცხოვრება აზრს შეიძენს, ხოლო თუკი უყურადღებონი ვიქნებით, მაშინ ჩვენი ცხოვრების დრო უბრალოდ და უნაყოფოდ ჩაივლის. ჩვენ დავბერდებით და სიკვდილს მივუახლოვდებით. გლახაკნი, გავემართებით სხვა სამყაროსკენ, სინანულის საშინელი მდგომარეობით, რომ წავაგეთ ... წავაგეთ მარადისობის ასპარეზზე და ახლა შეუძლებელია რაიმეს გამოსწორება. სანამ ასეთ საუკუნო სასოწარკვეთამდე მივალთ, მოდით, ყურადღებით ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ და ვიღვაწოთ, რათა მონოზვნურად ვიცხოვროთ და სულიწმიდის მადლი მოვიპოვოთ. ამინ!

*თარგმნა მონოზონმა ევგენიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვარი, სქემიღუმენია ელეონორა

(დასაწყისი №18 (43), „სამთავროს მაყვლოვანი“)

დაუნანებლად გამოეთხოვა კაცობრიობა რევოლუციებითა და საზარელი ომებით სახელგატეხილ მეცხრამეტე საუკუნეს და ზარზეიმითა შეეგება ქრისტეს შობიდან მეოცე ასწლეულს. უკიდეგანო რუსული იმპერიის უღელქვეშ მყოფი საქართველოც იმედითა და რწმენით შეჰყურებდა ახალი ეპოქის დადგომას.

მშობელი ერის ყველა სატკივარის უპირველესი ჭირისუფალი ილია ჭავჭავაძე, „ივერიის“ ფურცლებიდან, ღრმა ქვეტექსტებით აღსავსე დამაფიქრებელი წერილით მიმართავს თანამემამულეებს და გასული საუკუნის არაერთი დადებითი მონაპოვრის აღნიშვნის შემდეგ, სვამს კითხვას: „არის დღეს უფრო ბედნიერი კაცი თუ არა?“ და გულნაკლული იქვე პასუხობს – „არა გვგონია!“

ამ უაღრესად საინტერესო წერილის გარჩევა აქ ვერ მოხერხდება, ეს უადგილოცაა, მაგრამ ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მასში დაფიქსირებული გენიარული მწერლის ნააზრევი.

ქრისტიანული ეკლესია ათასწლეულების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ადამის მოდგმის ბიწიერიბისაკენ ლტოლვას. სულიერი მამები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამბიონიდან მოწოდებით, ქადაგებით, შთაგონებით, წმინდანთა და ეკლესიის ჭეშმარიტ შვილთა ცხოვრების აღწერითა თუ ზოგჯერ დაძალებითაც კი ხალხის სულიერი საწყისისაკენ მისადრეკად. ალბათ, ამ გზაზე უნდა დამდგარიყვნენ და აქეთკენ მიემართად მთელი ძალისხმევა რუსული ეკლესიის მამამთავრებსაც, რათა ძმას ძმაზე ხელი არ აეღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. წმინდა სინოდის წევრთა უმრავლესობა იმდენად დაშორებული აღმოჩნდა რეალობისაგან, რომ არც კი ცდილან, იმპერატორი დროის შესაბამისად აემოქმედებინათ.

ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური დილემის წინაშე მდგომი რუსეთის იმპერიის ახალგაზრდა ხელმწიფე ნიკოლოზ მეორე, მიუხედავად პიროვნული მომხიბვლელობისა და უხვად მომადლებული ადამიანური ღირსებებისა, ვერ აღმოჩნდა ისეთი გონიერი მმართველი, რომელიც სახელმწიფოს ტრაგედიას ააცილებდა.

ჯერ იყო და 1904 წელს სრულიად მოულოდნელად დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. რომელშიც სამარცხვინოდ დამარცხდა რუსული არმია და ფლოტი. ამ კატასტროფას 1905 წლის რევოლუციური ქარიშხალი მოჰყვა...

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ყველას ნათლად დაანახა, თუ როგორი პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა იყო სახელმწიფოში დაბუდებული და ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა ამ წინააღმდეგობების დასაძლევად მიმართულიყო, იმპერია კვლავ ძველებურად აგრძელებდა არსებობას და არც კი ფიქრობდა დაგროვილ პრობლემათა მოგვარებას.

ამასობაში კი დადგა 1914 წელი... ზემოთ ვახსენე, რუსეთ-იაპონიის ომი სრულიად მოულოდნელად დაიწყო-მეთქი. სწორედ ასე, სრულიად მოულოდნელად, „ყოვლის დამამხობელი“ სიკვდილის აჩრდილის ალესილი ბრჭყალი ავად გადასწვდა მთელს ცივილურ კაცობრიობას... და მანამდე არნახულ, უსასტიკესი ომის ქარცეცხლში გაეხვია მთელი ევროპა!..

დაიწყო ტრაგედია, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც განსაკუთრებული თავისი მასშტაბით, სისა-

ტიკითა და მონაწილეთა რაოდენობით და რომელსაც სახელად პირველი მსოფლიო ომი ეწოდა. ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, თავისი გაუმაძღრული ბუნების გამოისობით კარგა ხანი და უნდა ითქვას, არც თუ შეფარულად, ემზადებოდნენ ამ შეტაკებისათვის და მიუხედავად ამისა, ეს კატასტროფა ისეთი ელვის სისწრაფით დაატყდა ყველას თავს, რომ გონზე მოსვლა ვერავინ მოასწრო...

ხაზს გავუსვამთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ზღვა სისხლი დაიღვარა, ათი მილიონი ადამიანი დაიღუპა, ოცი მილიონი დასახიჩრდა და ხეიბარი დარჩა, შედეგად კი დაიშალენ და ისტორიის ანალებში ჩარჩნენ ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიები. მსოფლიო ზეგავლენა დაკარგა დიდმა ბრიტანეთმა...

1917 წლის 2 მარტს ტახტიდან გადადგა რუსეთის სვეუბედური იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, რასაც შემდგომ რუსეთის ორი რევოლუცია და სამოქალაქო ომის სისხლიანი ბატალიები მოჰყვა...

ჟამთა დაუდგრომელ ბრუნვას ქართული სახელმწიფოს აღდგენა, მის შედეგად ივერიის უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის ამობრწყინება და მკვდრეთით აღდგომა მოჰყვა. ქართველ კაცს აღელვებს და უდიდესი სიყვარულით აღაფრთოვანებს რწმენა ნანატრი თავისუფლების მოპოვების მარადიულობისა. ერისა და ეკლესიის სასიკეთოდ მაღალ გზაზე შემდგარია ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მთელი კოჰორტა. სწორუპოვარი მოძღვრების – კირიონის, ლეონიდეს, კალისტრატეს, ამბროსისა და სხვათა ენერგიული მცდელობით გაჩაღდა და გაცისკროვნდა ქართული ეკლესიის მოღვაწეობა. თითქოსდა საუკუნოვანი ძილისაგან გამოიღვიძა ერმა. სხვა იერი მიეცა ქართულ ტაძრებში აღსრულებულ წირვა-ლოცვებს.



სხედან: მღვდელმოწამე ნაზარი (ლეჟავა), წმიდა პატრიარქი ამბროსი (ხელაია) აღმსარებელი. უკან დგანან: ბოდბის იღუმენია ნინო (ვაჩნაძე) და სამთავროს იღუმენია ნინო (ციციშვილი)

1917 წლის შემოდგომაზე თეკლათის მონასტრის იღუმენია ნინო ვაჩნაძე ბოდბის წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრად მიიწვიეს. თეკლათელმა დედებმა ელეონორა დადიანს სთხოვეს კრებულის გაძღოლა. ამ გადაწყვეტილებას მოწონებით შეხვდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია და ლოცვა-კურთხევა გაუგზავნა რჩეულს. დედა ელეონორამ უდიდესი მღელვარებით იტვირთა წინამძღვრის პასუხისმგებლობა და 1918 წლის 13 ივლისს მწყემსმთავარს წერილობითი თანხმობა აახლა:

*„თქვენო მაღალმეუფეობავ, ჭყონდიდელო მიტროპოლიტო ამბროსი!*

*მაკურთხეველო მარჯვენას ვეამბორებით ერთობ ჩემი ოჯახის წევრნი, რათა თქვენი წმიდა ლოცვა-კურთხევა უძღოდეს ჩვენს ცხოვრებას, წარსამართებლად ორთავე სოფლის საკეთილდღეოდ. მივიღეთ თქვენი მაღალმეუფების მიერ წერილი ჩვენს მაკ-*

ურთხეველად, რომელიც მორწმუნე ოჯახისათვის შეადგენს დიდს მნიშვნელოვან სიხარულს. ამასთანავე ვისმინეთ შესახებ დედათა მონასტრის კრებულის მიერ არჩევა, მათ უფროს დედად, რომელიც შეადგენს თქვენი მაღალმეუფების სურვილსაც. დამერწმუნებით, რომ ამ წამში დიდს ღელვას განიცდის ჩემი გული წინამდებარე საქმის გამო, თუ რა მძიმე პირობები დგება ჩემს წინაშე. ჯერ ერთი, ვშიშობ, ვაი თუ ვერ გავამართლო დავალებულობა და სირცხვილეულ ვიქმნე თქვენი მეუფეობისა და მთელი საზოგადოების წინაშე და მეორე, ჩემი ოჯახის სიყვარული და მდგომარეობა...

მაგრამ მინდობილი ღვთისა და თქვენი მეუფების მორჩილებას, ვიღებ გამბედაობას. იყავნ ნება ღვთისა და თქვენი მეუფებისა. მხოლოდ გთხოვთ, ვითარცა საღვთო მამას, დახმარება და შემწეობითი ხელის აპყრობა არ მომაკლოთ ამ დიდი ვალდებულებების წინაშე და შემაძლებინოთ უსირცხვილოდ.

თქვენი მაღალმეუფების ღრმად მსახურებელი ქვრივი ოლღა დადიანისა."

ამ რამდენიმე წლის წინ სენაკი-ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში აღმოჩენილი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსის (ხელაია; მიტროპოლიტი ამბროსი მაშინ აფხაზეთისა და ჭყონდიდის ეპარქიებს განაგებდა) ის ქადაგება გამაცნო, მამამთავარს ელეონორა დადიანის ჯერ მონაზვნად კურთხევის (როგორც ეტყობა, დედა ელეონორას, ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიციისამებრ, რამდენიმე წლის განმავლობაში მორჩილად უმსახურნია თეკლათის მონასტერში), ხოლო შემდგომ წინამძღვრად წარდგინებისას რომ წარმოუთქვამს:

„ქრისტეს მიერ საყვარელო დაო!

გილოცავ ანგელოზებრივი სახის მიღებას, დიდის ხნის შენის გულის წადილის მიღწევას. დღეიდან შენ გაქვს გადაწყვეტილი, ემსახურო არა სოფლის ამაოებას, არამედ მხოლოდ ღმერთს.

ბერობა და მონაზვნობა არის იდეურად დაკმაყოფილება კაცის ბუნებრივი მიდრეკილებისა ღვთისადმი. შესაძლებელია, ახლანდელი მონაზვნობა არ შეესაბამება თავის დანიშნულებას, მაგრამ ეს არ გვეუბნება იმაზე, რომ ეს არ არის ადამიანის სულიერი მოთხოვნილება.

ნეტარი ხარ, რომ მიიღე ამნაირი გადაწყვეტილება. ამნაირი გზის არჩევის სიტკბოება განიცადეს წმინდა სულიერ მოღვაწეებმა, მემარხულეებმა და მეუდაბნოეებმა, რომელთაც იტვირთეს ნებით იწროება და მძიმე ღვაწლი მომავალ ცხოვრებაში ნეტარების დამკვიდრებისათვის. განიცადეს ესენი მოწამეთა და აღმსარებელთა, რომელთა დასდვეს სული თვისი ქრისტეს სიყვარულისათვის და რომელნიც ამ მოწამეობაში ქრისტეს სახელისათვის ხედავდნენ ნეტარებას. განიცადეს იმათაც, რომელთაც ხანში შესვლის შემდეგ მიიღეს ქრისტეს სჯული. მათი სული მიემართებოდა ღვთისაკენ იმნაირი სისწრაფით, როგორითაც მწყურვალე ირემი სიცხის დროს მიისწრაფის გამაგრილებელ წყაროსაკენ.

ახლა კი შენც შეუდექი ამ გზას, მიუხედავათ შენის დიდის შთამომავლობისა და განსაკუთრებული მდგომარეობისა ამ ქვეყანად, — ამოირჩიე ამ ქვეყნიური დიდების წილ ემსახურო ქრისტეს და მომავალ დაუსრულებელ ცხოვრებას. აი, ამ არჩევანს, ამ გადაწყვეტილებას გილოცავთ და მოხარულიცა ვარ, რადგან შენ, თავიდან ღრმათ მორწმუნე, ირჩევ ამ გზას დიდის გამოცდილების შემდეგ და გსურს მოახმარო შენი ძალა და ღონე ამ წმ. სავანის კეთილდღეობას.

შენ უარყავი სოფელი და სოფლიური ამაოება და სავსებით შეუდექი ქრისტეს მისი მცნებისაებრ: „რომელსა უნდეს შემოდგომა ჩემ-

და, უარყოს თავი თვისი, აღიღოს ჯვარი თვისი, და შემომიდგეს მე! (მათე. 17,24)". ეს მცნება თხოულობს ჩვენგან თავისი თავის უარყოფას, არა თავისთავის ცხოვრებას, არამედ ღვთისათვის და თავის სულისათვის. მაშ შენც, ღვთის მოყვარეო, უნდა იცხოვრო იმნაირი ცხოვრებით, რომელსაც თხოულობს მონაზონობა.

– რას თხოულობს ჩვენგან მონაზონობა? – უწინარეს ყოვლისა, მორჩილებას, სიმდაბლეს და მოთმინებას. მართალია, შენ უნდა განაგო ამ სავანეში დავანებულ დედათა ცხოვრება და, მაშასადამე, შენ, როგორც მათ წინამძღვარს, უნდა დაგემორჩილონ, მაგრამ ამის მაგალითი შენგან უნდა მიიღონ და ისწავლონ.

თვით მაცხოვარმა გვასწავლა ეს სათნოება. მან დაიმდაბლა თავი, განკაცდა, ხორცი შეისხა, გადაიტანა მრავალი ჭირი, ინროება და ჯვარზე სიკვდილი, და იგივე, გვითითებს რა ამ თვისებებზე, გვეუბნება: „სახე მოგეც თქუენ, თქუენც ეგრეთვე ყოფდითო" (მათე 26. 17,25).

მოიგონე ცხოვრება წმიდათა მოღვაწეთა – ეს გამუდმებული სიმშვიდე, სიწყნარე და მორჩილებაა, რომელთათვის ღირს იქმნენ ღვთის მოწყალებისა. ისინი, უარის მყოფელნი თვისის ნების ყოფისა, მისდევდნენ ღვთის ნების, მცნებათა აღსრულებას.

მეორე მოვალეობა არის ლოცვა და შრომის მოყვარეობა. ლოცვაზე არას ვიტყვი, რადგან ამის საჭიროება შენ სიყრმიდან შეგიგნია და ბუნების მოთხოვნილებათ გაგიხდია, როგორც თქუენი ცხოვრების მცოდნეთაგან გამიგონია. მხოლოდ ვიტყვი ორიოდე სიტყვას შრომის მოყვარეობის საჭიროებაზე ბერობის-მონაზვნობის მიზნის მისაღწევად. მაგალითი ამის დასამტკიცებლად ანტონი დიდის ცხოვრებიდან...

შენც მიჰყევ ამ მაგალითს: შრომა შეცვალე ლოცვით, ხოლო ლოცვა – შრომით. შრომე და ილოცე, რადგან მაცდური ადვილად იმორჩილებს იმათ, ვისაც უყვარს უსაქმოდ ყოფნა.

უკანასკნელი ვიტყვი იმაზედაც, რომ მონაზონისთვის საჭიროა სიმდაბლე და მოთმინება – სიამაყე სძულს ღმერთს („ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი", იაკ. 4,6), „რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს" (ლუკ. 14,11).

ადამიანის ცხოვრებაში დიდია მწუხარება: ჭირი, ვაება, დევნულობა, ცილისწამება მისი ხვედრია. ალბათ ახალს ცხოვრებაშიაც ეს იქნება თქვენი ხვედრი, მეტსაც ვიტყვი, ამ დროიდან უფრო მეტიც იქნება, რადგანაც ჩვენის ხსნის მტერი – მაცდური, მაშინ უფრო ფხიზლობს, მხნეობას იკრებს, როდესაც ხედავს, რომ ადამიანი დაადგა ჭეშმარიტ სათნოებიან გზას. ესევე მოგელის შენც, მაგრამ იცოდე, ეს მოგიტანს მხოლოდ სარგებლობას, თუ მხნედ გადიტან; კეთილი საქმეები შრომით შეიძინების. გამხნევდი, გამაგრდი, არ შეუშინდე მტრის მანქანებას. მოიგონე ქრისტე. განა ის კი არ იყო დევნული? განა ის არ ეტანჯა? მაგრამ როგორი იყო მისი მოთმინება? ის ლოცულობდა მათთვის, ვინც მას ჯვარს აკრავდა!

იტყვი – ის ქრისტე, ის ღმერთია, ჩვენ კი უძლურნი, მაგრამ განა მან არ გვითხრა, მობაძავ ჩემდა იყავითო?

მაგრამ ამას დავეთხოვთ, დიაღ, ეს ჩვენთვის ძნელია. გონების თვალით წარმოვიდგინოთ წმიდა მონაზენი და მოღვაწენი, რომელთა გვაჩვენეს მოთმინების მაგალითი. „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს (მათე. 10, 22).

ესეც ცოტაა. შენ უნდა ეცადო, იხსნა არა მარტო შენი თავი, არამედ გარემოსნი და განსაკუთრებით ისინი, ვინც შენთვის იქნებიან მინდობილნი.

„ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა!" (მათე. 5,16)

შენც ანი მაღალ სანათურზე ხარ და

*ანათე იქ კეთილად. ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. 1919 წ. 17 ოკტ. თეკლ. მონასტერი".*

ამ დროს დედა ელეონორამ ჯერ კიდევ არ იცოდა, მისი შუათანა, მოსკოვის კადეტთა კორპუსის სტუდენტი ალექსანდრე (ჯახუ) რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრებას რომ იყო შეწირული. ეს ამბავი გვიან ამცნეს, უკვე ილუმენიად ნაკურთხს.

ასე დადგა 1921 წელი. განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა სიზმარივით გააქრო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა... როგორც გრიშა ბატონიშვილის ნათესავმა, იმ დროს ჯერ კიდევ ყმაწვილმა, ტაბახმელაში რუს ბოლშევიკებთან შეტაკების მონაწილემ და შემდგომში ემიგრაციაში აღსრულებულმა მიშა (მიხეილ ნიკოლოზის ძე) დადიანმა ერთი პოეტური სტროფით ამოიკვნესა:

*„ჩონჩხი ცეცხლით გამოჩნდა ცამახმელის ძილიკზე*
*და მუქარით დაეშვა კოჯორიდან თბილისზე.*
*გადათელა ბაღნახი, ნერგიც არ გაახარა,*
*საბურთალოს გავიდა და იქ გადიხარხარა..."*

ქვეყნის ახლად მოვლენილმა უმეცარმა „მხსნელებმა" მიზნად დაისახეს თავისუფლებისმოყვარე ქართული ეროვნული სულისა და მისი არსობის ხერხემლის – ქრისტეანული რწმენის აღმოფხვრა.

არსებული სიტუაციის გამო იძულებით ემიგრაციაში გაემგზავრნენ ოლღა დადიანის მაზლი უჩა, უმრწემესი ვაჟი დავითი, ქალიშვილები ნინო და მარიამი. დადგა მთელი ოჯახის ემიგრირების საკითხიც. საქართველოში რჩებოდნენ საუკუნეს მიღწეული ბებია მაია, რომელმაც სასტიკი უარი განაცხადა სამშობლოს დატოვებაზე და მონოზონი ელეონორა. ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა ბათუმიდან. უმძიმესი შეიქმნა ოჯახისათვის ამ ნაბიჯის გადადგმა. ერისა და მამულის წინაშე პირმართლებმა უცხოეთში გადახვეწას დაბრუნება არჩიეს. შემდგომ, ავადმოსაგონარ 1924 წელს, აგვისტოს თვეში, ხორშში მოულოდნელად დააპატიმრეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ჩვეული სისასტიკით ადგილზევე დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო, ოთხი შვილის მამა და ოჯახის უფროსი კოკი დადიანი. მასთან ერთად განუკითხაობის მსხვერპლი გახდნენ იქვე მცხოვრები მეზობლები....

გაუგონარი სისასტიკით შეძრწუნებულ ახლობლებს იმის ნებაც არ დართეს, ქრისტიანული წესით მაინც გაეპატიოსნებინათ ცხედრები... – ავაზაკთა დარად, ადგილზევე დაუფლავთ და ორიოდ მუჭა მიწა მიუყრიათ. გვიან ღამით, მალულად და დიდი რისკის ფასად, კოკისთან თანაშეზრდილ სიყრმის მეგობრებს, ხორშელ მეზობლებს – ბეგო კაშიბაძესა და მიხა გოგიას ცხედარი მოუპარავთ, გაუპატიოსნებიათ და გათენებამდე მამისეულ საძვალეში, წმიდა გიორგის ეკლესიაში დაუკრძალავთ.

ამ ამბის მომსწრენი იგონებდნენ, რომ, მიუხედავად თავსდატეხილი მწუხარებისა, იმის შიშით, რომ ცხედარი მეორეჯერ არ შეურაცხეყოთ, გამწარებული მეუღლე და დები მოთქმითაც ვერ ტიროდნენო.

გამთენიის პირს მიუყვანიათ შინ თავზარდაცემული დედა ილუმენია; აცრემლებული პირჯვარს იწერდა და ერთსა და იმავეს ჩურჩულებდა თურმე – ღვთის ნებააო ყოველი. შინაო – ვთქვით, თორემ გულსაკლავად აოხრებული იყო გრიშა ბატონიშვილის ეზო-კარი, დიდი ხნის დაშლილი და წაღებული გახლდათ დიდი ოდა; ოჯახს ყველაფერი ჩამორთმეული ჰქონდა. არც წმიდა გიორგის ეკლესია წარმოადგენდა საყდარს, მისი ნგრეული საძირკვლის ნაშთიღა მიანიშნებდა ნასაყდრალ ადგილს. ახალი ეპოქის ანტირელიგიურმა კამპანიამ სოფლის ყველა ტაძარი შეიწირა და ერს სამუდამოდ დაუკარგა მათი სახება.

ტრადიციულად გლოვობდნენ დაუტირებელ ოჯახის თავკაცს. იმ წელს ქრისტეშობა ისე შემოსულა, მის მეუღლეს არ გაუხსნილებია. სვეგამწარებულ ილუმენიას თვითონვე გაუკითხავს მეზობლებში მეძუძური რძლისთვის ორიოდ ნაჭერი შაშხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახლომახლო კი არა, ნახევარ სოფელს, გლოვისა და პატივისცემის ნიშნად, ღორი არ დაუკლავს.

ასეც მომხდარა, კოკი ბატონიშვილის პატივისმცემელ, ვაჟკაცობით სახელგანთქმულ კაკა ქაჯაიას დედა ელეონორასათვის მიუმართავს: ლოცვა-კურთხევა მიბოძეთ და მის მკვლელებს გავუსწორდებიო. მაგრამ სქემილუმენიას შორს დაუჭერია: დედაშვილობას, ნუ შესცოდავ; უფალი მაღალია, უბრალო მოკვდავთ ვინ მოგვცა ნება, ცოდვილთ მოვკითხოთ შეცოდებანი. კოკის ხვედრი გლოვაზე მეტია! მისი ობლების მომავალი დედაღვთისას მივანდე და ცოდვას ნუ დაიდებთ, შვილო!

1920-იანმა წლებმა ქარბორბალასავით გადაიქროლა დადიანებზე. პერიოდულად აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ კონსტანტინეს (ჯუგუ), გელას; სიძეებს – კონსტანტინე შარვაშიძესა და გაგი ძიძავას. დახვრიტეს უახლოესი ნათესავები – გრიშა დადიანის ბიძაშვილები, ძმები მუშნი და ოთარ კონსტანტინეს ძე დადიანები; ქალბატონ ციცუს ძმისშვილი დავით პეტრეს ძე დადიანი, არაერთი უახლოესი ნათესავი და ოჯახის მოკეთე....

სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებდნენ ქალებსაც; გამზრდელებში შეფარებულ ბავშვებს, სწავლის უფლებაც არ ჰქონდათ. სიდუხჭირემ და ავბედობამ ხუთი მათგანის სიცოცხლე შეიწირა. მსგავსად აწიოკდა მთელი სანათესაო... მამაკაცთაგან ვინც 1924 წლის სისხლიან კალოს შემთხვევით გადაურჩა, შემდგომში 1937 წლის



სქემილუმენია ელეონორას შვილები:
ქეთევან, კოკი და კონსტანტინე (ჯუგუ) დადიანები

განუკითხაობის მსხვერპლი შეიქნა...

სულში ჩაფურთხებულ, მაგრამ მომავლის იმედით მცხოვრებ ქართველ პატრიოტთა რეპრესირება ცხოვრებისეულ ჩვეულებრიობად იქცა. შეუძლებელია, არ შეგაძრწუნოს მოსკოვში კომუნისტური ხელისუფლების წინაშე ქართველ ბოლშევიკთა თავკაცის – სერგო ორჯონიკიძის განცხადებამ: „მართალია... მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, შეიძლება ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ახლა ამას აღარ ეშველება..."

ჩემს არქივში ვინახავ იმდროინდელი ავბედობის დამადასტურებელ ერთ წერილს. ის ილუმენია ელეონორას პატიმრობაში მყოფი შვილისთვის აქვს მიწერილი.

*„დამტირებელო შვილო ჯუგუ!*

*შენს სახელს ენაცვალოს დედაშენი. მივიღე შენი წერილი, რომელმაც გამახარა. მარა პასუხის გულის ტკივილები აქვს და ნუ აწუხ-*

ებ მას... არ ვიცი, რა ჩემი სიკვდილია მისი ასე ავადმყოფობა, ასეთი გაგრძელებული ავად ყოფნა. ერთ ოჯახს არჩენდა მისი შრომით, მარა მიბრძანა უფალმა ჭირის მოთმენა. მარ- თალია, ახლა ასე არის, მაგრამ ღვთისმშო- ბელი მომირჩენს მის თავს. მხოლოდ, რა- საკვირველია, ჩვენ გვეჩქარება მისი კარგად ყოფნა, რაცა ყოველივე ჩვენი გაჭირვება მას უყურებს. ღმერთი არას გაუჭირვებს, მის თავს მაჩუქებს ჩემი მონყალე მაცხოვარი, და- ნაცვლოს ჩემი თავი.

ჩვენ ახლა ვერ მოგაკითხეთ, ხომ იცი, დიდის მიმდევართა ცოტა ვერ შეძლოთ, ისე დაგვემართა. ჩვილის ბრალია, რაც სენაკ- ში ჩამოიყვანეს, სულ ავად არის და მისი სიყვარულით პასუხიც დარჩა ნამოუსვლელი. შეწუხებული ვარ, იცოდე, მარა ანი მალე ნამ- ოვლენ ბავშვიანათ, გენაცვალე.

ჯუგუ, ახლა ზუგდიდს ნახვლის შესახებ. მარტოკა მე ნამოველი ქუთაისიდან კვირა ღა- მეს. თიხმაზათს სადგურში ჩამოველი ზუგდიდს გასამგზავრებლად. იქ დამხვდნენ ჩვენები და დამაბრუნეს, არ მირჩიეს ნახვლა. სამი დღის შემდეგ ჩეკაში დამიბარეს, დიდი პასუხი მომთხოვეს. შინსახკომელმა — პრაპავედნი- კი ხართ და პროვოკატორი. მე გავუჩუმდი, მერე კითხე, რომელ ნაწილს მიეკუთვნება ეს სახელი, გამაგებინეთ-მეთქი. რომელს და ჩვენ სანინააღმდეგოსო. მერე დიდი ვიბრძოლე, ასე რომ ათი საათიდან დაწყებული მესამე საათ- ამდინ ვიბრძოდი. მოვიკითხე მოღვაწე პირი, მანაც ზოგი რამ შემეკითხა. მე ისეთი სიტყვე- ბით მივუგე, რომ თვითონვე შეჩერდა და რა- ღომლაც სიცილი დაიწყო. ასე გადავრჩი. მერე მეც გავჩუმდი. რადგან ბევრი ხალხი დაიჭირეს, ამის გამო ვერ ნავედი, ჩვენებმაც არ მირ- ჩიეს. ეხლა ცოტა სინყნარეა, ნავალ უსათუოდ. ამ წერილის ნაკითხვა თუ გაახერხე, კარგი იქნება, მარა, არ ვიცი... მრავალს ინერები, ნამომხვლელი ვერ ვიშოვნე და ყველაფერს ერთად ჩვენები ნამოიღებენ. გენაცვალოს დე- დაშენი შენი ცოლშვილიანად, შვილო. საჩვე- ნიანოსი არა ვიცი რა და ვიშიში.

ჩემი ნაწერი არ წაიკითხება, მარა რა ვქნა, მარტო დავრჩი და დამწერი ვერ ვიშოვე... და- გენაცვლოს დედაშენი ცოცუ. ნუ გეშინია, ღმერ- თი მონყალეა, ყველაფერი კარგად იქნება."

დრო-ჟამს გადარჩენილი ეს ბარათი სრულად ვერ წარმოაჩენს მისი ავტორის ქალური კდემითა და დედური რუდუნებით აღსავსე ბუნებას, უხვად რომ მიემადლე- ბინა გამჩენს, მაგრამ საჭიროდ ვცანით, გაგვეცნო მკითხველისათვის (ვინძლო, ოდნავ გაგითავისოთ დროის სიმძაფრე და ხასიათი ზნეკეთილი მანდილოსნისა).

საკმარისია, გონებით მიმოვიხილოთ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომი დაბა სენაკის რეალობა, და თვალწინ დაგვიდგება უწყალო ხელისუფლების მიერ მდინარეების ცივისა და ტეხურის პირას ასობით დახ- ვრეტილი, ათასობით დაპატიმრებული ადამი- ანი და მათი რეპრესირებული ოჯახები.

წერილიდან ვგებულობთ, ჯუგუს დედ- ისთვის დავალებული ჰქონია, ზუგდიდში წასულიყო.

გულდამძიმებული სწერს შვილს დედა ელეონორა, დილის ათი საათიდან სამ საათამდე ჩეკაში ვიბრძოლეო... წარ- მოიდგინეთ, მკითხველო, სიდარბაისლი- თა და ღირსებით აღსავსე ჭაღარამოსილ ქალბატონს რა დღეში ჩააყენებდა ის უვიცი შინსახკომელი, ხეირიანი ქართუ- ლითაც რომ ვერ მეტყველებს, „პრაპავ- ედნიკი" და „პროვოკატორი" მეძახოო, აღნიშნავს ნეტარხსენებული. რამდენიმე საათის დაკითხვის შემდეგ, აზრი რომ ვერ გამოუტანია, თუ რაში ადანაშაულებდნენ, „მოღვაწე" მოვითხოვეო (ეტყობა, რომე- ლიღაცა ხელმძღვანელი პირი ჰყავს მხედ- ველობაში). როგორც ირკვევა, იმდენად აბსურდული აღმოჩენილა იღუმენიასადმი წაყენებული ბრალდებანი, რომ სიცილით გადაბჟირებულ იმ „მოღვაწეს" უმალ გაუ- თავისუფლებია შეშინებული ქალი.

ბედად, ჯუგუ დადიანი მაშინ დახვრეტას კი გადაურჩა, მაგრამ მისი შემდგომი გაუთავებელი დაპატიმრება-გადასახლება 1943 წელს აქტიუბინსკის ციხეში დაღუპვით დასრულდა. უბედო აღმოჩნდა წერილში ნახსენები ნაბოლარაც...

ემიგრაციაში გამგზავრებულმა დედა ელეონორას შვილებმა მარიამმა (ჟოჟომ), ნინომ (ჩაქურიამ) და ლევანმა (ჯონჯიმ) ვეღარასოდეს იხილეს სამშობლოს მიწა.

თითქოსდა უბედურება ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ნეტარხსენებულ იღუმენია ელეონორა დადიანს – მის წინამძღვრობას დაემთხვა გასაბჭოებულ საქართველოში წამოწყებული ანტირელიგიური ქმედებანი. ეკლესია-მონასტრების ნგრევა-გაუქმება ჩვეულებრივ ამბად იქცა. მტკიცე და უწყალო, მძვინვარე და უღმერთო ბოლშევიკური ხელისუფლება სარწმუნოების დევნითა და მორწმუნეთა შევიწროებით გადააჭარბებს ისტორიიდან ცნობილ ათასი ჯურის თავდამსხმელთა ნაავკაცარს. ვერ გადაურჩა დარბევას თეკლათის დედათა მონასტერიც. შეუძლებელია, სრულად აღწერო, რაც იმ წლებში ცოდვის მორევში ჩათრეულმა მოთარეშეებმა ჩაიდინეს. 20-იანი წლები ყველაზე ტრაგიკული დროა მონასტრის ისტორიაში. მიუხედავად ათასნაირი წინააღმდეგობისა, საზოგადოებრივი ზნეობის დაქცევით გულშეძრული წინამძღვარი ჩვეული სულიერი სიმშვიდით განაგებდა მონასტრის სარწმუნოებრივ თუ სამეურნეო განაწესს. უკიდურესი განსაცდელის წინაშე მდგარი სქემიღუმენია ელეონორა პირადი მაგალითით ამხნევებდა დედათა კრებულს და რუდუნებით წვართავდა ქრისტეს სარძლოებს. მოწყალე და კაცთმოყვარე უფალი ბრძანებს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოთ თქუენ“ (მათე, 6. 33). ამ სიბრძნის მიმდევარი თეკლათელ დედათა დასი ხელისუფლების სისასტიკის წინაშე არ შემდრკალა. დედა იღუმენიას ირგვლივ შემოკრებილნი ჭირთათმენისათვის შეემზადნენ და ისე წარმართეს შემდგომი მოღვაწეობა, რომ, სანამ სული ედგათ, ღვთისმსახურება არ შეუწყვეტიათ.

უფლის ნება თუ იყო დედა ელეონორას წინამძღვრობა იმ ავბედით დროს. ბრძენი, დიდი მოთმინების მქონე და სულით ძლიერი პიროვნება გახლდათ ნეტარხსენებული. სწორედ ასეთ ადამიანს თუ შეეძლო განადგურების პირას მდგარი მონასტრის გადარჩენა, პირადი მაგალითის ძალით კრებულის, სამღვდელოთა თუ ერისკაცთა სულიერი გამხნევება და განმტკიცება.

ღვთისმოსავი, მიმტევებელი, ყველას გაჭირვებისა და მწუხარების თანამოზიარე, შემბრალე და მოწყალე სქემიღუმენია ელეონორა დიდი მონდომებით ცდილობდა დედათა კრებულის გამხნევებას. დაუცხრომელი ლოცვითა და ფიზიკური შრომით აღაფრთოვანებდა იგი თავის სულიერ შვილებს და იმ კრიტიკულ წლებში იხსნა კიდეც მონასტერი იავარქმნისაგან.

უკიდურეს სიდუხჭირეში მცხოვრები დასი, ძველებურად სიკეთისა და სათნოებისაკენ იყო მოწოდებული. მონაზვნები ქრისტესმიერი სიყვარულით განიკითხვდნენ ქვრივ-ობოლთ, ნუგეშს სცემდნენ ავადმყოფთ და დახმარების ხელს უწვდიდნენ შეჭირვებულთ.

თბილისში, საპატრიარქოში, ლოცვა-კურთხევის მისაღებად არაერთხელ ჩასული ელეონორა დადიანი საქართველოს ეკლესიის მამამთავართ ამბროსისა თუ კალისტრატეს დაწვრილებით უამბობდა, თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდა დედათა კრებულს და ერის სულიერ წინამძღოლთაგან დალოცვილი და დარიგებული, შინდაბრუნებულზე მომეტებული ძალისხმევით განაგრძობდა ტიპიკონის აღსრულებას.

*პაატა ქურდოვანიძე*

## „მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“...

„მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“...
ლადო ასათიანი

„ძვირფასო შვილო ვალოდია! ერთობ შთაბეჭდილებიანი ხარ, შვილო!... ამიტომ ქალაქმა არ გაგიტაცოს, ძალიან დინჯად იყავი... ავადმყოფობა არ გაიჩერო ტანში... ათასჯერ გადასინჯე გონიერად საქმე და მერე გააკეთე. გკოცნი, მენატრები.
შენი დედა“

ისე, როგორც პოეზიაში, ცხოვრებაშიც არის რაღაც ინტუიციური, გაუცნობიერებელი, დროის მერე რომ დაერქმევა თავისი სახელი... როცა სიტყვები საბედისწერო რეალობად იქცევიან.

არადა, მაშინ, მართლაც, ყველაფერი კარგად იყო: სიყვარულით სავსე ოჯახი, სიმშვიდე, შვილებისა და მშობლების იმედიანი თვალი მომავლისაკენ...

„ავადმყოფობა არ გაიჩერო ტანში“... გადის რამდენიმე წელი და თითქოს დედის ამ სიტყვების პასუხად ისმის ეს სულისშემძვრელი სტრიქონები:


ლადო ასათიანი

„როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დაახნდეს შენი შავი ჩრდილები!“

1937 წელს ლადოს დედა ანტისაბჭოთა აგიტაციაში „ამხილეს,“ დააპატიმრეს და გადაასახლეს. საპატიმროდან გამოგზავნილი დედის წერილი უცნაურად მორიდებულია. დიდი სიფრთხილითა და რიდით მიმართავს ქმარ-შვილს... ეტყობა, გამოუვალ მდგომარეობაშია, თორემ არც არაფრის თხოვნას აპირებდა... ალბათ ის განაჩენივით იარლიყი – „ხალხის მტერი“ აფიქრებს და აფერხებს. – ეს ის დროა, როცა შინ დარჩენილებს გადასახლებულ ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ურთიერთობა ეკრძალებოდათ, მაგრამ ლიდა ცქიტიშვილი, როგორც ჩანს, ცდილობს, თავი ფიზიკურად გადაირჩინოს და სამართლიან სამართალს მიაღწიოს... გადასახლებაში, ალბათ, მასავით ტუსაღები ურჩევენ, რომ იკვებოს. როგორც ჩანს,

ფილტვების პრობლემა აქვს და ამიტომაც აუცილებელია კვება, წამლობა...

„ლადო, შვილო, თუ არ შეწუხდებით, შენ და მამაშენმა წამალი მიყიდეთ. ავად ვარ. მირჩიეს, განსაკუთრებული კვებით მორჩებიო... შაქარი, კაკაო, კისელი, ცოტა ბუბლიკი და სუხარი... საპონი სარეცხი, შალის ჟაკეტი... თუ არ შეწუხდებით... ეს ყველაფერი მამა-შვილმა თქვენი ხელით გამოაწყვეთ, არავის მიანდოთ. თქვენი მისამართიც დააწერეთ. რომ მოხდეს რამე და და არ მოვიდეს, უკანვე მიიღებთ.

გთხოვ, შენი სურათიც გამომიგზავნო, შვილო!..

უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეთ ჩემი საქმე, ეგებ ცოცხალი გამოვიდე... გკოცნებს დედა. მენატრები.“



ლადოს დედა, ქნი ლიდა ცქიტიშვილი

„დედა!.. არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი, რომ არ ვფიქრობდე ჩემს ბავშვობაზე. თითქოს თან დამაქვს ეს ბავშვობა...“ (ლადო ასათიანი დედას).

„ეჰ, რა იქნება, ხელახლა დაიწყებოდეს თავიდან,
რაც დროის დენამ შელახა, რაც დროსთან ერთად წავიდა!
რა კარგი იყო ბარდნალა, როგორი სათაყვანები!
შენ, მამაჩემო, რად დარდობ, რამ დაგისველა თვალები?
ან შენ სადა ხარ, დედილო, ლექსი რომ გამაბედვინო“...

გავიდა დრო და მძიმე სენი, ტუბერკულოზი შეეყარა ჭაბუკ ლადო ასათიანს. მკურნალობს შეძლებისამებრ – აბასთუმანი, საავადმყოფო, წამლები... მაგრამ წამლებზე მეტად ახლა დედის მზრუნველი ხელი სჭირდება, დედის სითბო, დედის შესახებ კი არაფერი იცის, დედა უგზოუკვლოდაა უკვე დაკარგული.... ორი ადამიანის, დედისა და შვილის, ტრაგედია თითქოს ერთ მთლიანობად იქცა, გაუსაძლის ტკივილად, რომელსაც მორჩენა არ უწერია...

რა შეუძლია პოეტს, რომელიც სათქმელს გულში იკლავს, რომელსაც არავითარი შესაძლებლობა არ აქვს, დედის გადარჩენა სთხოვოს ვინმეს, თუნდაც ახლობელს, რომ დაეხმარონ... უზენაეს სასამართლოში გაგზავნილ განცხადებას, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხი არ ექნება – არსაიდან გზა, არსით საშველი – და ერთადერთი, რასაც ის შეძლებს, პატიმარი დედისადმი მიძღვნილი ტკივილიანი ლექსის დაწერაა. ამ ლექსს, ცხადია, ვერსად დაბეჭდავს, სამუდამოდ უჯრაში ჩადებს. ასე შედგა მისი დიალოგი დაკარგულ დედასთან:

## დედას

ამქვეყნად როცა ავიდგი ენა,
პირველი სიტყვა იყავი, დედა;
დედა, სიზმრებმა არ მომასვენა,
შენს ბნელ საკანში გადმომახედა:
გეძახი, მინდა, გაგესაუბრო
შუა აზიის ურწყულ მხარეში...
რა გენატრება — ქმარი თუ უფრო
დავაჟკაცებულ შვილის ალერსი.
მთვარეულივით დავდივარ ხმელზე
აგერ ეს ოცდასამი წელია,
მაგრამ, ძვირფასო მშობელო, შენზე
ერთი სიტყვაც არ დამიწერია.
ეს იმიტომ, რომ მიყვარდი ძლიერ,
დამქონდი, როგორც საუნჯე, გულით
და სიყვარულის სიმღერის მიერ
ვიყავი დღემდე დამუნჯებული.
ახლა კი მეტი არ ძალმიძს, არა,
ტირილი მინდა და შეცხადება,
შავმა სიზმრებმა შავ ნიაღვარად
წარმომიდგინეს შენი ხატება.
ჩემი სახლ-კარი ააწიოკეს
გაუტანელმა გლეხის კაცებმა,
ნეტავ შენსავით ბნელში ვტიროდე,
არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას.
ინგრევა შენი ნაამაგარი
და არ გახსენო, არ შემიძლია.
აღარ გაჰკივის რთველში მაყარი,
ვენახში თოფებს აღარ ისვრიან;
თონეში ცეცხლი აღარ ტკრციალებს,
მამამ ბედელი ვაშლი გაყიდა
და ძველებურად არ მიფრიალებს
შუკაში თეთრი ბაშილაყითა;
ჩვენი მარანი და საწნახელი
უფრო ძლიერმა დაიგირავა,
რკინის ჭიშკრიდან ყვითელ გვალვაში
არ შემოვდივართ მე და ურემი
და გაზაფხულის ხმაზე თავლაში
არ ჭიხვინებენ ბედაურები;
დაიქცა ყველა დიდი კალაბი,
ნავაზს კაჭვს არვინ არ აღრღნევინებს,
წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ,
დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს;
დანაცრებულან ციხე-კოშკები,
„მრავალჟამიერ“ არსად გუგუნებს.
მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.
ო, ვიცი ეს და ამიტომ მინდა
უკანასკნელად მაინც გიხილო,
დედაო, ქრისტეს ხატივით წმინდა
და ეს ტანჯვები შენ გაგიმხილო
და პირვანდელი ლუღლუღის მსგავსად
ხელებგაშლით და თვალებგახელით,
დაუვიწყარო, სიკვდილის ჟამსაც
გავიმეორო შენი სახელი.



ლადოს ოთახი სოფელ ბარდნალაში

„როცა ლადოს ავადმყოფობა მოერია და ლოგინში ჩააწვინა, მე რამდენჯერმე ვინახულე იგი... თითქოს საწოლში შემოჭრილ სენს ებრძოდა... მისუსტებულ ხმას ლექსების კითხვით ხარჯავდა... ამ სტრიქონებით ის ცხოვრებას კი არ ეთხოვებოდა, არამედ ლექსის თქმით სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობდა და პოეზიაზე საუბრით სიკვდილის მოახლოებას ივიწყებდა," – სიმონ ჩიქოვანი.

„1943 წლის ივნისის ერთ დილას სამუდამოდ დახუჭა თვალი. მძვინვარე ომის გამო დაცარიელებულ თბილისში ცოტაღა თუ იყო დარჩენილი ლადოს მეგობართაგან, რომელთაც ცრემლი უნდა დაეღვარათ," – რევაზ მარგიანი.

არ იყო დედაც – ვინ იცის, სად იყო ან ცოცხალი იყო თუ არა...

ამ დედამიწაზე შეუხვედრებლად დაშორდნენ ერთმანეთს და მიუწვდომელ საიდუმლოდ დარჩა პოეტის სიტყვები: „მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად"...

*მოამზადა ნინო ხოფერიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲔ (ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲘ)

# ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

(საუბარი დიდ პარასკევთან დაკავშირებით)

ღვთის ხატება ადამიანში არასდროს ყოფილა ისე დაკნინებული, საყვარელო ძმაო, როგორც დღეს, არასდროს ყოფილა ღმერთი ისე დამცირებული, როგორც დღეს. დღეს ეშმაკი ჩასახლდა ადამიანში, რათა განხორციელებული ღმერთკაცი განყოს. დღეს მთელმა ბოროტებამ ადამიანის სხეულში მოიყარა თავი, რათა ღმერთი განაგდოს. დღეს მთელი ჯოჯოხეთი დედამიწაზე გადმოსახლდა; ნუთუ ვინმეს ახსოვს, რომ ოდესღაც დედამიწაზე სამოთხე იყო? ადამიანის დღევანდელი დაცემა გაცილებით დიდია, ვიდრე პირველი. მაშინ ადამიანი ღმერთს დაშორდა, დღეს კი მან ჯვარს აცვა ღმერთი, ღმერთი მოკლა. ადამიანო, რა გქვია შენ, თუ არა ეშმაკი? მაგრამ რას ვამბობთ? ეს ხომ ეშმაკის ცილისწამებაა. ეშმაკი არასდროს ყოფილა ასე ბოროტი, ასე ოსტატურად ბოროტი, როგორც ადამიანია. უფალი იესო ქრისტე ჯოჯოხეთშიც ჩავიდა, მაგრამ იქ იგი ჯვარზე არ გაუკრავთ. ჩვენ კი ჯვარს ვაცვით! განა ადამიანები ეშმაკზე უარესნი არა ვართ, განა დედამიწა ჯოჯოხეთზე ცეცხლშეგზნებული არაა? ჯოჯოხეთიდან ქრისტე არ განუდევნიათ, დღეს კი ის ადამიანებმა დედამიწიდან გააძევეს, თავისი სხეულიდან, თავისი გულიდან, თავისი ქალაქიდან გააგდეს...

გულზე გველივით შემომხვევია, ძმებო, ერთი ბოროტი კითხვა და ნიშნისმოგებით მეუბნება: ნუთუ ოდესღაც ადამიანი კეთილი იყო, თუკი მან შეძლო ქრისტეს ჯვარცმა? შენ გჯერა ადამიანის, ამაყობ მისით, ოპტიმისტი ხარ? ოჰ, შეხედე ადამიანს, შეხედე კაცობრიობას დიდი პარასკევის მწვერვალიდან, შეხედე ადამიანს, რომელმაც ღმერთკაცი მოკლა, და თქვი: შენ ახლაც ოპტიმისტი ხარ? ნუთუ არ გრცხვენია, რომ ადამიანი ხარ? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ადამიანი ეშმაკზე უარესია?

დაივიწყეთ ყველა დღე დიდ პარასკევამდე და დიდი პარასკევის შემდეგ; შეხედეთ ადამიანს დიდი პარასკევის მიჯნიდან. ხომ არ არის ის ყოველგვარი ბოროტების მწვერვალი, ყოველგვარი დაბრკოლების ასპარეზი, ყოვლგვარი სისაძაგლის თავმოყრა? ჭკუაზე ხომ არ შეშალა ადამიანმა დედამიწა? ხომ არ დაამტკიცა დღეს ღმერთკაცის მკვლელმა ადამიანმა, რომ ის ჭეშმარიტად დედამიწის შეშლილობას გამოხატავს?

თვით საშინელი სამსჯავროც კი, ძმებო, არ იქნება დიდ პარასკევზე საშინელი. არა, ის უეჭველად ნაკლებად საშინელი იქნება, რამეთუ მაშინ უფალი იქნება მსჯავრმდებელი, დღეს კი ადამიანი სჯის ღმერთს. დღეს ხდება ღმერთის საშინელი განსჯა, მას სჯის კაცობრიობა. დღეს ადამიანი აფასებს ღმერთს, აფასებს მას ოცდაათ ვერცხლად, ქრისტეს – ოცდაათ ვერცხლად! ნუთუ ეს არის ბოლო შეფასება? ნუთუ იუდა ჩვენი საბოლოო სიტყვაა ქრისტეს შესახებ?

დღეს კაცობრიობამ ღმერთს სიკვდილი მიუსაჯა. ცისა და მიწის ისტორიაში ესაა უდიდესი ამბოხება, ცისა და მიწის ისტორიაში ესაა უდიდესი ცოდვა. ასეთი რამ არ ჩაუდენიათ თვით დაცემულ ანგელოზებსაც კი. დღეს მოხდა ღმერთის საშინელი განსჯა... სამყაროს არასდროს უხილავს ასეთი უმანკო განსასჯელი და ასეთი საშინელი მსაჯული: არასდროს დაუცინიათ ღმერთისთვის ასე საშინლად. მოხარხარე ჯოჯოხეთი ჩასახლდა დღეს ადამიანში და დასცინა ღმერთსა და ყოველივე ღვთაებრივს. დღეს დასცინეს მას, ვისაც არასდროს გაუცინია. ამბობენ, რომ უფალი

იესო არასდროს იცინოდა, პირიქით, ხშირად ხედავდნენ მას მტირალს. დღეს დაამცირეს ის, ვინც მოვიდა ჩვენს განსადიდებლად; დღეს ვტანჯავთ მას, ვინც მოვიდა ტანჯვისაგან ჩვენს განსათავისუფლებლად; დღეს სიკვდილს ვანიჭებთ მას, ვინც მარადიული ცხოვრება მოგვიძღვნა. ადამიანო, აქვს თუ არა საზღვარი შენს უგუნურებას? აქვს კი საზღვარი შენს დაცემულობას?

ჯვარი, სამარცხვინო საჩუქარი, მივუძღვანეთ მას, ვინც მარადიული დიდება მოგვანიჭა. კეთროვანო, შენ მან კეთრისაგან განგწმინდა – ნუთუ ამის სანაცვლოდ შენ მას ჯვარს უძღვნი? ბრმავ, შენ მან თვალი აგიხილა – ნუთუ იმისთვის, რომ ჯვარი გეხილა და ის მასზე გაგეკრა? მკვდარო, შენ ცხედრისაგან აღგადგინა – ნუთუ იმისთვის, რომ შენს სამარეში ის ჩაგესვენებინა? უტკბილესმა იესომ კეთილი უწყებებით დაატკბო ჩვენი ცხოვრების მწარე საიდუმლო, ძმებო, რომელი ერთისათვის ვანიჭებთ მას ამგვარ სიმწარეს?

„ჩემო ხალხო, რა დაგიშავეთ? განა იუდა არ აღვავსე სასწაულებით? განა არ აღვადგენდი მკვდარს ერთი სიტყვით? განა არ ვკურნავდი ყოვლგვარ ავადმყოფობასა და სნეულებას?.. თქვენ კი რას მომაგებთ? მკურნალობისათვის წყლულები მომანიჭეთ, სიცოცხლის სანაცვლოდ მკლავთ და ხის ჯვარზე მაკრავთ...“

დიდი პარასკევი არის, ძმებო, ჩვენი სირცხვილიც, თავის მოჭრაც და თავს ლაფის დასხმაც. იუდა ისკარიოტელში მეტ-ნაკლებად იყო თითოეული ადამიანის სულის ნაწილი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენ უცოდველნი ვიქნებოდით. იუდას გამო ყველა ჩვენგანი დაეცა; ყველა ჩვენგანმა გასცა ქრისტე; ყველა ჩვენგანმა გასცა ქრისტე და ეშმაკის თანაზიარი გახდა, სატანა შევიწყნარეთ. დიახ, სატანა, რამეთუ წმინდა სახარებაში ნათქვამია: „შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის, შევიდა მისა ეშმაკი“ (იოანე 13, 27). რომელი პურის შემდეგ? – იმ პურის მიღების შემდეგ, რომელიც მას ქრისტემ უბოძა, ზიარების შემდეგ, ქრისტეს შემდეგ. ოჰ, არსებობს კიდევ უფრო დიდი დაცემა, უფრო დიდი საშინელება?!

ვერცხლისმოყვარეობავ, შენ გაეცი უფალი იესო ქრისტე! ვერცხლისმოყვარეობავ, შენ დღესაც ხშირად გასცემ მას. იუდა, რომელიც ქრისტეს მოწაფე იყო, რომელიც ქრისტეს ყველა სასწაულს ესწრებოდა, რომელიც ქრისტეს სახელით კეთროვნებს განწმენდდა, ავადმყოფებს კურნავდა, მკვდრებს აღადგენდა, არაწმინდა სულებს განაგდებდა – ეს იუდა ვერცხლისმოყვარეობამ აქცია გამცემლად და ქრისტეს მკვლელად; მაშინ მე და შენ როგორღა არ გვაქცევს გამცემლებად და ქრისტეს მკვლელებად – მე, რომელსაც არ მიხილავს განკაცებული ღმერთი, რომელსაც არც კეთროვანი განმიწმინდავს, არც ავადმყოფები განმიკურნავს, არც მკვდრები აღმიდგენია იესოს სახელით? იუდა დიდი ხნის მანძილზე იყო მასთან, ვისაც ადგილი არ ჰქონდა, რომ თავი მიედრიკა, რომელიც საქმით და სიტყვით ასწავლიდა, რომ არც ვერცხლი და არც ოქრო არ ეტარებინათ. ხოლო მე? ხოლო შენ? თუკი არ ძალგიძს, ძმაო, უპოვარებისას იყო ბედნიერი, თუკი არ შეგიძლია, სიღარიბით იყო კმაყოფილი, იცოდე, რომ იუდობის კანდიდატი ხარ. ნუ იკითხავ: ნუთუ მე, უფალო? რამეთუ აუცილებლად მიიღებ პასუხად: დიახ, შენ თავად სთქვი. თუკი ესწრაფვი სიმდიდრეს, თუკი აღენთები ფულის წყურვილით, იცოდე, რომ შენში იუდა იღვიძებს. ძმაო და მეგობარო, სამუდამოდ დაიმახსოვრე: ვერცხლისმოყვარეობამ ჯვარს აცვა ქრისტე, მოკლა ღმერთი. ვერცხლისმოყვარეობამ ქრისტეს მოწაფე ქრისტეს მტრად, ქრისტეს მკვლე-

ლად აქცია. მაგრამ ამასაც არ დასჯერდა: მან თავად იუდაც მოკლა. ვერცხლისმოყვარეობას აქვს ის წყეული თვისება, რომ ადამიანს არა მარტო ქრისტეს მკვლელად, არამედ თვითმკვლელადაც აქცევს. ჯერ ის ადამიანის სულში კლავს ღმერთს, ხოლო, როცა ღმერთს მოკლავს ადამიანში, შემდეგ თვით ადამიანსაც კლავს.

სიკვდილი საშინელი საიდუმლოა, ძმაო, მაგრამ უფრო დიდი საშინელებაა, როცა ადამიანები ღმერთს უსჯიანს სიკვდილს და როცა სურთ მისი ყოველნაირი მოკვლა, სრულიად განადგურება, როცა სურთ, რომ ის სავსებით მკვდარი იყოს, ისე რომ მისგან აღარაფერი დარჩეს. დღეს ის დღეა, როცა ადამიანები ღმერთზე უფრო სასტიკნი არიან, რამეთუ ისე აწამებენ ღმერთს, როგორც მას არასდროს არავინ უწამებია; რამეთუ აფურთხებენ ღმერთს, მას კი არასდროს არავისთვის შეუფურთხებია; რამეთუ ურტყამენ ღმერთს, როცა მას არასდროს არავისთვის დაურტყამს. დაე, დადუმდეს ყველა, ვისაც ადამიანის სახელი ჰქვია! დუმდეს ყოველი ადამიანი! დაე, ნურავინ იამაყებს ადამიანობით, ნურავინ იამაყებს კაცობრიობით, რადგან დახეთ: კაცობრიობა თავის გულში ვერ გუობს ღმერთს, ის კლავს ღმერთს. განა შეიძლება, იამაყო ასეთი კაცობრიობით! დაე, ნურავინ დაიკვეხნის ჰუმანიზმს! ოჰ, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სატანიზმია, სატანიზმი, სატანიზმი...

დღეს არც ეშმაკებს, არც ცხოველებს, არც ტურებს არ დაუწნავთ ეკლის გვირგვინი და არ დაუდგამთ ქრისტესთვის თავზე – ეს გააკეთეს ადამიანებმა. ეკლის გვირგვინით შეამკეს ის, ვინც ადამიანი შეამკო უკვდავებით. კაცობრიობამ ეკლის გვირგვინი დაადგა თავზე მას, ვინც დედამიწას ვარსკვლავების გვირგვინი დაადგა! ეკლის გვირგვინს ვადგამთ, მეგობარო, ქრისტეს მეც, შენც, თუკი ვერცხლისმოყვარენი ვართ, თუკი ვჭორაობთ, თუკი ვლოთობთ, თუკი არა ვართ გულმოწყალენი, თუკი ვართ მრისხანენი, თუკი ცოდვილი აზრები გვიტრიალებს თავში, თუკი არაწმინდა ზრახვები გვაქვს, თუკი არა გვაქვს რწმენა და სიყვარული. თითოეული ჩემი და თქვენი ცოდვა ეკალია და იმ ეკლის გვირგვინს ვამატებთ, რომელსაც კაცობრიობა დაუცხრომელად წნავს უფალი იესო ქრისტეს თავზე დასადგმელად.

ღმერთის წამებისას ადამიანი არანაკლებ გულბოროტი აღმოჩნდა, ვიდრე ეშმაკი. თქვენ არ გჯერათ? მომისმინეთ, რას მოგვითხრობს თვითმხილველი: მაშინ მას სახეში აფურთხებდნენ: ოჰ, მას სახეში, მას საოცარსა და მომხიბვლელ თვალებში... ღმერთო, რატომ არ დადაღე კეთრით მათი ბაგენი და რატომ არ აქციე მათი ბაგეები ჭრილობებად? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენთვის მოთმინება და სიმდაბლე გესწავლებინა? აფურთხებდნენ ამ საოცარ, ამ კეთილ სახეს, რომელიც ყოველგვარ თანავარსკვლავედზე, ყოველგვარ ნეტარებაზე უფრო ძვირფასია. რას ვამბობ? დიახ, ყოველგვარ ნეტარებაზე ძვირფასია, რადგან ამ სათნო სახეზე მთელი ნეტარების სისრულე, მარადიული სიხარულის მთელი სისრულეა... აფურთხებდნენ იმ ნათელ სახეს, რომლის წინაშეც ზღვა მშვიდდებოდა და წყნარდებოდა; იმ სახეს, რომელიც ღმობიერს ხდიდა აბობოქრებულ სულებს და მათ სიმშვიდეს ანიჭებდა. და თქვენ ამაყობთ ადამიანით? ოჰ, ნუღარ დადიხართ თავაწეული, მატლო და არარაობავ! არაფერს, არაფერს არ უნდა რცხვენოდეს თავისი თავის ისე, როგორც ადამიანს: არც დემონებს, არც მხეცებს, არც ცხოველებს... ადამიანები ღმერთს აფურთხებენ – არის კი რაიმე ამაზე საშინელი? ადამიანები ურტყამენ ღმერთკაცს – არის კი რაიმე ამაზე სატანისტური? ძმებო, ჯოჯოხეთი

რომ არ ყოფილიყო, ის უნდა გამოგონილიყო ადამიანებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებისთვის...

მას, შემოქმედსა და ღმერთს, აფურთხებდნენ და სცემდნენ, ის კი სულგრძელებდა და დუმილით იტანდა ყოველივეს. შეძლებ კი თავის მართლებას შენ, როცა ყოველგვარ შეურაცხყოფას შეურაცხყოფით პასუხობ? ყოველგვარ ბოროტებას – ბოროტებით? წყევლი მაშინ, როცა გწყევლიან და გძულს მაშინ, როცა სძულხარ? როცა ბოროტებას პასუხობ ბოროტებით, მაშინ უფალ იესო ქრისტეს აფურთხებ, როცა გძულს ის, ვისაც სძულხარ, ქრისტეს სცემ და ტანჯავ, როცა შეურაცხყოფას შეურაცხყოფით პასუხობ, უფალ იესო ქრისტეს ამცირებ, რადგან მას არასდროს ჩაუდენია ასეთი რამ.



მაცხოვარი გეთსამანიის ბაღში

და თავმდაბალ უფალს პილატე ჯვარცმისთვის წირავს, ხალხი კი მას წამებაზე წამებას უმატებს, ტანჯვაზე – ტანჯვას, ლანძღვაზე – ლანძღვას. და გალანძღულ ღმერთს ჯვარზე აკრავენ, ჯვარზე აჭედებენ. ნუთუ ლურსმნებს გაუყრით ქრისტეს ხელებში, რომლებმაც ამდენი ავადმყოფი განკურნა? ამდენი კეთროვანი განწმინდა? ამდენი მკვდარი აღადგინა? ნუთუ დადუმდებიან ბაგენი, რომლებიც ისე საუბრობდნენ, როგორც არცერთ ადამიანს არ უსაუბრია? იაიროს, სადა ხარ? ლაზარე, სადა ხარ? ნაანის ქვრივო, სადა ხარ, რომ დაიცვა შენი და ჩემი ღმერთი? ნუთუ ჯვარს აცვამთ მას – უიმედოთა იმედს, წარუმატებელთა სასოებას, ბრმათა თვალისჩინს, ყრუთა ყურთასმენას, მკვდართა აღდგომას? ნუთუ ლურსმნებს ჩაარჭობთ ამ წმინდა ფეხებში, რომელთაც მშვიდობა მოიტანეს, რომელთაც გვახარეს, რომლებიც ისე დადიოდნენ ზღვაზე, როგორც ხმელეთზე, რომლებიც ისწრაფვოდნენ ყველა ავადმყოფისაკენ? მკვდარი ლაზარესაკენ? ღადარინელი ეშმაკეულისაკენ?

უფალი ჯვარცმულია. კმაყოფილნი ხართ თუ არა ღვთისმბრძოლნო, დამშვიდდით თუ არა, ღვთისმკვლელნო? რას ფიქრობთ ჯვარზე მყოფი ქრისტეს შესახებ? მატყუარაა, უსუსური, მაცდური; თუკი ჭეშმარიტად ძე ღვთისა ხარ, ჩამოდი ჯვრიდან. აჰა, შენ, ტაძრის სამ დღეში აღმდგენელო, შენს თავს უშველე და ჩამოდი ჯვრიდან!

ხოლო რას ფიქრობს ჯვარზე მყოფი უფალი ჯვრის ქვეშ მყოფი ხალხის შესახებ? ფიქრობს მხოლოდ იმას, რაც შეიძლება იფიქროს სიყვარულისა და სიმდაბლის ღმერთმა: მამაო, შეუნდე, რამეთუ არა იციან, თუ რასა იქმან! ჭეშმარიტად არ იციან, თუ რას უშვებიან განკაცებულ ღმერთს. განა ღმერთისათვის ხორცშესხმული ყოფნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე



იუდას ამბორი

ჯვარზე ყოფნა? უფრო მძიმე იქნებოდა, მერწმუნეთ, თუკი მას ყოველთვის გვერდით ეყოლებოდა ნახევრად ეშმაკი. რადგან გაცილებით დიდი სხვაობაა ღმერთსა და ადამიანს შორის, ვიდრე ეშმაკსა და ადამიანს შორის, სიკვდილსა და ღმერთს შორის, ვიდრე სიკვდილსა და ადამიანს შორის. მაცხოვარი გრძნობდა ამ ტანჯვას: მისი წმინდა, უცოდველი ბუნება აღსდგა სიკვდილის წინააღმდეგ და ის, ხედავდა რა სიკვდილის გარდუვალობას, ჭმუნავდა და დრტვინავდა, გული ჩემი მწუხარე არს სიკვდილამდე.

თუკი უფალი წუხს, თუკი უფალიც განიცდის სიკვდილის წინ, მაშინ მითხარით, ყოფილა რაიმე ადამიანისთვის სიკვდილზე უარესი? სიკვდილზე უფრო არაბუნებრივი? სიკვდილზე უფრო საშინელი? სიკვდილი ძნელია ღმერთისთვის და მით უფრო მძიმეა ის ადამიანისთვის. სიკვდილი ადამიანისთვის ყველაფერზე მეტად ძნელია, რადგან ის ყველაზე მეტად განაშორებს ადამიანს ღვთისაგან. ქრისტეს კაცურმა ბუნებამ იგრძნო ეს და ტკივილით აღიარა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევე მე?“ – შეჰღაღადა ღმერთს მხოლოდშობილმა ძემ, მამის თანაარსმა, მამის განუყოფელმა ნაწილმა. ნუთუ ეს არ არის საუკეთესო დადასტურება, რომ სიკვდილი არის ძალა, რომელიც განგვაშორებს, გვწყვეტს, განგვყოფს ღმერთისაგან?

ჯვარს აცვეს ღმერთი. მეტი რაღა გინდა, ადამიანო? რომ არ ყოფილიყო კეთილგონიერი ავაზაკი, ვერაფრით შეძლებდი თავის მართლებას. ის რომ არ ყოფილიყო, დედამიწა სამუდამოდ დარჩებოდა ჯოჯოხეთად. როცა ქრისტეს მიმართ ყველა მისი მოწაფე დაბრკოლდა, ავაზაკმა ის აღიარა, როგორც ღმერთი და როგორც მეუფე: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“ ავაზაკი ჩვენი იმედია, რამეთუ მან მაშინ აღიარა ქრისტე ღმერთად, როცა ყველამ დაკარგა მისი, როგორც ღმერთის იმედი, რამეთუ მან იესო მაშინ აღიარა ღმერთად, როცა იესო იყო გალანძღული, მასხრად აგდებული, ნაწამები, როცა ის გაცვლილი იქნა ბოროტმოქმედზე, მაშინ, როცა ისე საშინლად ეწამებოდა და იტანჯებოდა, როგორც უბრალო ადამიანი.

მაგრამ იმ დროს, როცა ადამიანები ღმერთს აფურთხებდნენ, იმ დროს, როცა ადამიანები ღმერთს ჯვარზე აკრავენ, მთელი ბუნება წინ აღუდგება ყოველივე ამას: „იყო ჟამი მეექუსე; და ბნელ იყო ყოველსა ქვეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე... და ხმა-ჰყო ხმითა დიდითა იესო, და განუტევა სული და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისა მის შორის, და საფლავნი აღეხუნენ. და მრავალნი გუამნი შესვენებულთა წმიდათანი აღსდგეს“ (მათე 27, 45, 59-62).

როცა ადამიანებმა დაამთავრეს ღმერთის დაცინვა და მიწყნარდნენ, მაშინ სამყარო ალაპარაკდა, ქვები ალაპარაკდნენ და უფრო მეტი თანაგრძნობა გამოხატეს ქრისტეს ტკივილის მიმართ, ვიდრე ადამიანებმა. მზეც კი ალაპარაკდა: დააბნელა ნათება მრისხანე მნათობმა ჩვენმა. სინათლეს შერცხვა იმისა, რაც ახარებდათ ადამიანებს. მკვდრებმა საფლავებში გაიგონეს ქრისტეს გმინვა და გაიღვიძეს, საფლავებიდან წამოდგნენ მაშინ, როცა ჯვრის ქვეშ იდგნენ ადამიანები, რომელთაც სხეულში ჰქონდათ მკვდარი სულები. „დღეს ტაძრის კრეტსაბმელი ორად გაიპო, რათა ემხილებინა უსჯულონი და მზემაც დამალა თავისი სხივები, როცა იხილა ჯვარცმული უფალი“.

„ყოველი ქმნილება განიცდის, ყოველი“, დიახ, ყველაფერი, ყველაფერი თანაუგრძნობდა ჯვარცმულ უფალს, ყველაფერი – ადამიანის გარდა. ჯერ კიდევ ჯვარზე მყოფ ქრისტეში შეიცნო ყოველგვარმა ქმნილებამ ღმერთი და აღიარა ის, როგორც ღმერთი. ქრისტემ ჯვარზე ყოფნისასაც გამოავლინა თავისი ღვთაებრიობა. რით? – თავისი მტრებისადმი ლოცვით: „მამაო, შეუნდე, რამეთუ არა იციან, თუ რასა იქმან.“

ჭეშმარიტად, არ იციან ადამიანებმა, რას უკეთებენ ქრისტეს. ღვარძლიანი უვიცობით ადამიანებმა ქრისტე ჯვარს აცვეს, მაგრამ დღესაც ღვარძლითვე ჯვარზე აკრავენ მას. „რამეთუ უკეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისა ჯუარს-ეცუა“ (1 კორ. 2, 8). სიმშვიდითა და სიმდაბლით შემოვიდა უფალი ამ წუთისოფელში. განა უდიდესი სიმდაბლე არ არის ის, რომ ღმერთი ადამიანად იქცევა, იმოსება ადამიანის სხეულით, რომელიც ხრწნადი არარობაა. სიმდაბლითა და სიმშვიდით განვიდა უფალი ამ წუთისოფლიდან; განვიდა მდაბალი, თავის მტანჯველთათვის მლოცველი. ადამიანები არ იცნობენ ქრისტეს, ამიტომ აძევებენ მას, არ იციან, თუ რაოდენ დიდია ის სიყვარული, ის სიმშვიდე, ის სიმდაბლე, როცა ღმერთი აძლევს ადამიანებს იმის უფლებას, რომ ის განსაჯონ, რომ ადამიანებმა მას აფურთხონ, რომ ადამიანებმა მას სცემონ და ბოლოს მოკლან.

დღესაც საშინელია, ძმაო, ქრისტეს ხვედრი ამ წუთისოფელში. თითოეული ჩვენი ცოდვა მისთვის დიდი პარასკევია. ჩემი ერთი ცოდვა და უკვე ჯვარს ვაცვი უფალი იესო. ყოველი შენი ცოდვა, ძმაო, მისთვის გაცილებით დიდი ტანჯვაა, ვიდრე შენთვის და ჩემთვის. ცოდვების ჩადენით მას ჯვარზე აკრავ. თითოეული უწმინდური აზრი, თითოეული ავხორცული გულისთქმა ყვირის და ღრიალებს: ჯვარს აცვით, ჯვარს აცვით ეგე! განა მთელი ჩვენი ცხოვრება ამ წუთისოფელში იესო ქრისტესთვის დაუსრულებელი დიდი პარასკევი არ არის? თითოეული ჩემი ცოდვა სამსჭვალია, რომელსაც მდაბალი უფლის ხელებზე ვაჭედებ, თითოეული ჩემი ვნება ეკალია, მთელი ჩემი ვნებები ეკლის გვირგვინია, რომელსაც ქრისტეს ვადგამთ თავზე. ჩვენ ებრაელებზე უფრო საშინლად ვლანძღავთ ქრისტეს. ებრაელებს შეეძლოთ, ნაკლებად ერწმუნათ ქრისტე, რადგან ის ჯერ კიდევ არ იყო მკვდრეთით აღმდგარი. ჩვენ კი, რომელთაც ქრისტე უკვე ოცი საუკუნეა, მტკიცედ გვიმოწმებს თავის აღდგომას, ჩვენ დავცინით აღდგომილ ქრისტეს, ვაფურთხებთ აღდგომილ ქრისტეს, ხელახლა ჯვარზე ვაკრავთ ქრისტეს, მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს! განა ქრისტეს ჯვარზე არ აკრავს ის მოძღვარი, რომელიც თავის სამწყსოს ქრისტესაგან განაშორებს თავისი ცხოვრებით? განა აღდგომილ ქრისტეს არ აწამებს, არ დასცინის ის პროფესორი და მასწავლებელი, რომელიც თავისი ღვთისმბრძოლური სწავლებით ღმერთს განდევნის თავის მოსწავლეთა

სულებიდან? განა ქრისტეს არ არცხვენს, განა მას არ აფურთხებს თითოეული ქრისტიანი, რომელსაც მხოლოდ სახელად ჰქვია ქრისტიანი?

ვაი, რომ დაუცხრომელად ვდევნით აღდგომილ ქრისტეს, როგორ, როგორ ვდევნით ჩვენ ქრისტეს, – იტყვის ზოგიერთი, – როცა ის ხორციელად არ არის ჩვენ გვერდით? როცა ვერ ვხედავთ მის სხეულს? ოჰ, ვდევნით ქრისტეს, ძმაო, როცა მის სულს ვდევნით, როცა მის სწავლებას ვდევნით, როცა მის წმიდანებს ვდევნით, როცა მის ეკლესიას ვდევნით. ქრისტეს ვდევნით მაშინ, როცა მათხოვარს ვდევნით, რადგან ქრისტე ის არის, ვინც მათხოვრის სახით გვთხოვს; ჩვენ ვდევნით ქრისტეს, როცა შიშველს არ ვმოსავთ, რამეთუ შიშველის სახით ქრისტეა შიშველი; ჩვენ ვდევნით ქრისტეს, როცა მშიერს არ ვაჭმევთ, რამეთუ მშიერის სახით ქრისტე გვეცხადება; ჩვენ ვდევნით ქრისტეს, როცა ავადმყოფს არ ვნახულობთ, რამეთუ უძლურის სახით ქრისტეა უძლური; თითოეული ტანჯულის სახით უფალი იესო იტანჯება; თითოეული მწუხარის სახით უფალი იესო ქრისტე წუხს. ადამიანებისადმი ღვთის განუზომელი სიყვარულის გამო ის განუწყვეტლივ გვევლინება ყველა მშიერის, ყველა ავადმყოფის, ყველა მწყურვალის, ყველა მწუხარის, ყველა უბედურის, ყველა მოძულებულის, ყველა გალანძღულის, ყველა შეურაცხყოფილის, ყველა შიშველის, ყველა დამცირებულის, ყველა დევნილის სახით. ის განუწყვეტლივ იმოსება ადამიანური სხეულით, მასთან ერთად იტანჯება, მასთან ერთად ეწამება, წუხს მის გამო. თავისი განუსაზღვრელი ლმობიერების გამო ის მუდამ მათთანაა დაკავშირებული: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25, 40). ქრისტე ხორცშესხმულია თითოეული ქრისტიანის სახით. ყური უგდე რას ამბობს: „საულ, საულ! რაჲსა მდევნი მე?“ (საქმე 9,4) რამეთუ, თუკი დევნი მას, ვისაც ჩემი სწამს, მე მაფურთხებ, თუკი აწამებ მას, ვისაც ჩემი სწამს, მე მაწამებ.

არა მარტო უფალ იესო ქრისტესთვის, ძმაო, არამედ თითოეული ქრისტიანისთვისაც ამ წუთისოფლის ცხოვრება დაუსრულებელი დიდი პარასკევია. რაც უფრო მეტია შენში ქრისტე, მით უფრო მეტად ივნები. თუკი ქრისტესი ხარ, ჩათვალე შენი თავი მიწის მტვრად, რომელსაც ყველა ისე თელავს, როგორც თელავდნენ ქრისტეს. როცა გწყევლიან – დალოცე, როცა გცემენ – მიუტევე, როცა სძულხარ – გიყვარდეს. მოთმინებით დაამარცხე შენი მტანჯველნი, როგორც უფალმა დაამარცხა. ბოროტებას სიკეთით უპასუხე; იბრძოლე ისე, როგორც უფალი იესო ქრისტე იბრძოდა; ამპარტავნებას ებრძოლე სიმდაბლით, მრისხანებას ებრძოლე სიმშვიდით; სიძულვილს ებრძოლე სიყვარულით, შეურაცხყოფას ებრძოლე შენდობით; ცილისწამებას ებრძოლე ლოცვით. ეს არის გამარჯვების გზა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გაგვიკაფა უფალმა იესომ, მას ტანჯვით მივყავართ აღდგომამდე. ჩვენ ვადგავართ ამ გზას, ამ ერთადერთ გზას, რომელიც მთავრდება აღდგომით, თუკი ვლოცავთ მათ, ვინც ჩვენ გვწყევლის, თუკი სიკეთეს ვუკეთებთ მას, ვისაც ჩვენ ვძულვართ, თუკი ჩვენი მტრები გვიყვარს, თუკი არ ვრისხდებით, როცა შეურაცხგვყოფენ, თუკი ვლოცულობთ, როცა გვაგინებენ, თუკი ლოცვით ვიტანთ, როცა გვაფურთხებენ. ჩვენ ვადგავართ იმ გზას, რომელიც მთავრდება სიკვდილზე ტრიუმფალური გამარჯვებით, თუკი მაშინაც კი, როცა ჯვარზე გვაკრავენ, ქრისტეს მსგავსად, ვლოცულობთ ჩვენი მტანჯველებისათვის: „მამაო, შეუნდე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ ამინ.

# საეკლესიო კანონიკა პასექის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით

მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას კონკრეტულ დღეს აქვს კანონიკური საფუძვლები, რაც საღვთო გადმოცემას და წმინდა მამათა სწავლებას ეფუძნება.

თავდაპირველად წმინდა მამებს მოვუსმინოთ.

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „პასექის დღესასწაული არ აღინიშნება რომელიმე შემთხვევით დროს, არამედ ის იდღესასწაულება იმ კონკრეტულ დღეს, რომელსაც არაერთი ადრევე განსაზღვრული ფაქტორი მიანიშნებს. პირველ რიგში აღსანიშნავია პირველი თვე (ნისანი. გ.მ.) ჭეშმარიტად პირველი დროისა, რომელსაც განსაზღვრავს გაზაფხულის დღეღამსწორობა. მხედველობაში ვიღებთ რა პირველ თვეს, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება თავდაპირველ დროს, რომლიდანაც გამომდინარეობს პირველი თვის განსაკუთრებულობა. ასე რომ, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ რამდენიმე გარემოებას: პირველ დროს, დღეღამსწორობას, მთვარის მეთოთხმეტე დღეს (სავსემთვარობას. გ.მ.) და მათთან ერთად პარასკევს, შაბათსა და კვირას. თუკი ამ ფაქტორთაგან ერთს მაინც გამოვაკლებთ, ჩვენ ვერ შევძლებთ პასექის დღის დადგენას და პირიქით: თუ ყველა ამ ფაქტორს გავითვალისწინებთ, მაშინ შევძლებთ, ჭეშმარიტად ვიდღესასწაულოთ გამომხსნელობითი ვნება ჩვენი მაცხოვრისა.“

წმინდა მამის მიერ აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად დასახელებული დროითი მინიშნებების გარდა, ეკლესია ყოველთვის განსაკუთრებულად ადევნებდა თვალს იუდაური პასექის დადგომას, რომ იგი ქრისტეს აღდგომის დღეს არ დამთხვეოდა ან აღდგომას არ დაესწრო.

საკითხს, მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდ ყურადღებას უთმობს სჯულის კანონი. პირველი უწყება ამის შესახებ არის წმიდა მოციქულთა მეშვიდე კანონში: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან წმიდაჲ დღე აღვსებისაჲ უწინარეს გაზაფხულისა დღეთაჲსა ჰურიათა თანა სრულ-ყოს, განიკუეთენ.“ კრებების მიერ სხვადასხვა კანონის მიღებას ყოველთვის გარკვეული პრეცედენტი განაპირობებდა. პირველ მსოფლიო კრებამდე, ვიდრე აღდგომის დღესასწაულის აღსრულება ერთსა და იმავე დღეს განწესდებოდა, ეკლესიას ძლიერ აშფოთებდა ებიონიტების იუდაურ-ქრისტიანული სექტა, რომელიც სჯულმდებლობდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღნიშვნას ებრაული თვის ნისანის 14 რიცხვში. ამ შეხედულებამ ეკლესიის წიაღში იმდენად მძლავრად მოიკიდა ფეხი, რომ ადგილობრივ ეკლესიათა შორის მრავალგზის გახდა დავისა და პოლემიკის საგანი; თუმცა ქრისტიანთა შორის არსებობდა იუდოფილიზმის სხვა გამოვლინებებიც, რომლებიც ძირითადად იუდეველთა რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი შემწყნარებლობას გულისხმობდა. ამის გამო ბევრმა მსოფლიო თუ ადგილობრივმა კრებამ სხვადასხვა დროს მიიღო არაერთი სიმკაცრით გამორჩეული კანონი, რასაც ქვემოთ მოკლედ შევეხებით.

დაპირისპირება, რომელიც I-III საუკუნეებში ამ საკითხის ირგვლივ არსებობდა, განხილული იქნა პირველ მსოფლიო კრებაზე († 325). წმიდა მოციქულთა სწორ კონსტანტინეს განსაკუთრებით აშფოთებდა აზრთა სხვადასხვაობა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით ადგილობრივ ეკლესიათა შორის. ჰერმიას სოზომენე „საეკლესიო ისტორიაში“ წერს:

იმპერატორი ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ზოგიერთები პასექის დღესასწაულს განსხვავებულად აღნიშნავდნენ და ამის გამო ერთმანეთთან არ ჰქონდათ თანაზიარება; ცდილობდა, რომ ეკლესია განეწმინდა არიანელობისაგან და დაეცვა ცდომილებისაგან, ამიტომ ნიკეაში შეკრებილმა მამებმა ერთხმად განაჩინეს, რომ აღდგომის უწმინდესი დღესასწაული ერთსა და იმავე დღეს უნდა აღნიშნულიყო ყველა ადგილობრივ ეკლესიაში.

ნეტარი თეოდორიტე კვირელის უწყებით, მოციქულთა სწორმა კონსტანტინემ კრების დასრულების შემდეგ მრგვლივმოარული ეპისტოლე გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, ვინც ნიკეაში ჩამოსვლა ვერ შეძლო და შეატყობინა გადაწყვეტილება, რაც კრებამ აღდგომის აღნიშვნის შესახებ განაჩინა. ეპისტოლეში ვკითხულობთ: „აქ (კრებაზე. გ.მ) უწმინდესი პასექის დღის შესახებაც იყო გამოკვლევა. საერთო აზრმა გადაწყვიტა, რომ კარგი იქნებოდა, ყველგან ყველას ერთ დროს აღესრულებინა, რადგან ჩვენთვის რა არის მშვენიერი, რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, თუ არა ის, რომ ეს დღესასწაული, რომლისგანაც მივიღეთ უკვდავების სასოება, ერთი წესითა და ნათელი აზრით ყველასთან უშეცდომოდ იყოს დაცული?“

იმპერატორს მიაჩნდა, რომ „უკანონოა ესოდენ დიდ საკითხში და ასეთი მსახურების დღესასწაულში უთანხმოების არსებობა, რამეთუ ჩვენმა მხსნელმა გადმოგვცა ჩვენი თავისუფლების ერთი დღე, რომელიც არის მისი უწმინდესი ვნებების დღე“ . მოციქულთა სწორი კონსტანტინე ეპისტოლეში ასევე აღნიშნავს: „საშინელი და შეუფერებელია, რომ ამ დღეებში ზოგი მარხულობდეს, სხვები ნადიმებს აღასრულებდნენ ერთად, და პასექის დღეების შემდეგ სხვები დღე-



მაცხოვრის გარდამოხსნა

სასწაულებსა და დასვენებებზე აღმოჩდნენ, ხოლო სხვები განჩინებულ მარხვას უძღვნიდნენ თავს, ამიტომ საღვთო წინაგანგებამ ამის სათანადოდ გამოსწორება და ერთ წესზე მოყვანა ინება.“

იმპერატორის გზავნილიდან ნათლად ჩანს მისი მისწრაფება უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაულის ერთსულოვნად აღნიშვნასთან დაკავშირებით. ეპისტოლის დასასრულს, წმინდა კონსტანტინე კრებაზე არმყოფ ეპისკოპოსებს კიდევ ერთხელ ამცნობს მიღებულ განჩინებას: „ყველამ ერთობლივად განსაჯა, პასექის უწმინდესი დღესასწაული აღსრულდეს ერთსა და იმავე დღეს, რადგან ასეთ სიწმინდესთან დაკავშირებით უთანხმოება შეუფერებელია.“

როგორც ჩანს, კრების განჩინებისა და იმპერატორის ეპისტოლის მიუხედავად, აღდგომის დღის აღნიშვნის გამო ადგილობრივ ეკლესიათა შორის დისპუტი კვლავ გრძელდებოდა.

მორიგ კანონიკურ განჩინებას აღდგომის დღესასწაულის შესახებ ვხვდებით ამჯერად ანტიოქიის ადგილობრივი კრების († 341) პირველივე კანონშიც, რომელიც ეხმაურება ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მიერ აღდგომის დღის აღნიშვნის შესახებ მიღებულ დადგენილებას. კანონში ვკითხულობთ: „ყოველთა, რომელთა იკადრონ დახსნად საზღვარი წმიდისა და დიდისა ნიკეას შეკრებულისა კრებისაჲ მუნ ყოფასა კეთილად მსახურისა და ღმრთისმოყვარისა მეფისა კონსტანტინესსა წმიდისათვის დღესასწაულისა საცხორებელისა აღვსებისა, უზიარებელ და განხდილ იყვნენ ეკლესიით, უკუეთუ ეგნენ წინააღდგომობითსა ზედა მაცილობელობასა კეთილად განსაზღვრებულთა საქმეთასა. და ესენი უკუე ვთქუენით ერისკაცთათვის. ხოლო უკუეთუ ვინმე ეკლესიასა ზედამდგომელთაგანმან ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან შემდგომად საზღვრისა ამის იკადროს გარდასაქცეველად ერისა და აღსაშფოთებელად ეკლესიათა თვისაგან და ჰურიათა თანა აღსრულებაჲ აღვსებისაჲ, ამას წმიდაჲ კრებაჲ მიერითგან უცხოდ სჯის ეკლესიისაგან, ვითარცა არა ხოლო თვისისა ცოდვისა, არამედ მრავალთა ხრწნილებისა და გარდაქცეულებისა მიზეზსა და არა ესევითართა ხოლო განჰკუეთს მღდელობისაგან, არამედ მკადრებელთაცა ზიარებისა მათისათა შემდგომად განკუეთისა. ხოლო განკუეთილთა მათ დაკლებულ ჰყოფს გარეშისაცა პატივისაგან, რომელი წმიდამან კანონმან და საკურთხეველმან ღმრთისამან მოუგო.“

დამატებით შევნიშნავთ, რომ ანტიოქიის კრების მიერ მიღებული კანონი ორი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველად გაკიცხულია ყველა ის ერისკაცი, ვინც გადავა ნიკეის კრების დადგენილებას და აღდგომას განსხვავებულ დროს იდღესასწაულებს. ისინი უზიარებლობითა და საეკლესიო ერთობიდან განკვეთით დაისჯებიან. კანონის შემდეგი ნაწილი ეხება კლერიკოსებს, რომლებიც ეკლესიას აშფოთებენ და აღდგომის დღესასწაულობას იუდეველთა პასექს ამთხვევენ. ასეთ სასულიერო პირებს კრება სამღვდელო დასიდან განკვეთს.

ამდენად, ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მხოლოდ აღდგომის დღესასწაულის საყოველთაოდ, ერთსა და იმავე დღეს,აღნიშვნას, არამედ უდიდეს ყურადღებას აქცევდა იმ ფაქტს, რომ ქრისტიანებს აღვსების დღე იუდაურ პასექთან ერთად არ ედღესასწაულათ.

აღდგომის დღის აღნიშვნის შესახებ მნიშვნელოვან განჩინებას ვხვდებით წმინდა კლიმენტი რომაელის სახელით ცნობილ ძეგლში „მოციქულთა განწესებანი“.

რამდენადაც დღეისათვის ცნობილია, აღნიშნული ეპისტოლის ვრცელი ვარიანტი მეოთხე საუკუნის ბოლოს, ანუ ნიკეისა და ანტიოქიის კრებების შემდგომ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ეპისტოლე რვა წიგნისგან შედგება და მრავალი საკითხიდან, რომელიც ხსენებულ ძეგლშია განხილული, ერთი-ერთი აღვსების დღის განსაზღვრას ეხება. კერძოდ, V წიგნის მე-17 თავში ვკითხულობთ: „ხოლო თქვენ ყურადღებით დააკვირდით გაზაფხულის ბუნიობის ჟამის მობრუნებას, რომელიც მოიწევა ოცდამეორე დღეს მეთორმეტე თვისა, რომელიც არის დისტროსი (მარტი. გ.მ) და შეინიშნება მთვარის ოცდამეერთე დღემდე, რათა მთვარის მეთოთხმეტე დღე (საპასექო სავსემთვარეობა. გ.მ.) სხვა რომელიმე შვიდეულს არ დაემთხვეს და რათა უვიცობით შემცდარებმა პასექი წელიწადში ორჯერ არ აღვასრულოთ, ანდაც ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომის დღე არ ვიდღესასწაულოთ სხვა დღეს, გარდა საუფლო დღისა.“

დამოწმებული უწმინდესი საეკლესიო კანონები (და არა მხოლოდ) ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ორ უმთავრეს საკითხზე:

პირველი, აღდგომის დღესასწაულის საყოველთაოდ აღნიშვნის აუცილებლობა და მეორე, პასექის აღსრულების ვადები, რომლებიც კონკრეტულ დროს უკავშირდება.

არსებობს კიდევ ერთი წინაპირობა: საეკლესიო განჩინებით აღდგომის უწმინდესი დღე არ უნდა დაემთხვეს იუდაურ პასექს.

დაისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა მსგავსი განჩინების მიღების აუცილებლობა? – ეკლესია ყოველთვის მოციქულთა სწავლებიდან ამოდიოდა. წმინდა პავლე მოციქული ცხადად ბრძანებს: „ნუ ექმნებით თანამეუღლე ურწმუნოთა, რამეთუ რაჲ მოყუსობაჲ არს სიმართლისა და უშჯულოებისაჲ? ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა? ანუ რაჲ შეტყუებაჲ არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რაჲ ნაწილ-უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა?“ (2 კორ. 6:14-15).

რა თქმა უნდა, ეს პათოსი აისახა წმინდა კანონებშიც, რომლებიც არა მხოლოდ პასექთან მიმართებაში, არამედ ზოგადად იუდეველებთან ყოველგვარ კავშირს კრძალავენ, რასაც ცხადჰყოფს:

მოციქულთა 70-ე კანონი: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან, ანუ რომლისავე სამღდელოჲსა დასისაგანმან იმარხოს ჰურიათა თანა, ანუ იდღესასწაულოს მათ თანა, ანუ შეიწყნაროს მათგან სადღესასწაულოჲ რაჲმე ძღუენი, ვითარ უცომოჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე ეგევითარი, განიკუეთენ, ხოლო ერისკაცი უზიარებელ იქმენინ.“

მოციქულთა 71-ე კანონი: „უკუეთუ ვინმე ქრისტეანემან ზეთი მიიღოს ტაძარსა საწარმართოსა, ანუ შესაკრებელსა ჰურიათასა დღესასწაულთა მათთა, ანუ სანთელი აღანთოს, უზიარებელ იქმენინ“ .

ლაოდიკიის 37-ე კანონი: „... არა ჯერ-არს ჰურიათა ანუ მწვალებელთაგან წარმოცემულთა სადღესასწაულოთა რათმე ძღუენთა მიღებაჲ, არცა თანადღესასწაულობაჲ მათ თანა.“

ტრულის მე-11 კანონი: „ნუმცა ვინ სამღდელოთა დასთა თანა დაწესებული, ანუ ერისკაცი ჭამს უცომოსა ჰურიათასა, ანუ საკუთრად მეგობრად იჩენს მათ და სნეულებასა შინა მიუწოდს და კურნებასა მიიღებს მათგან, ანუ აბანოსა შინა იბანებს მათ თანა. ხოლო უკუეთუ ვინმე ამათდა ქმნად ხელ-ყოს, უკუეთუ მოყუასი იყოს, განიკუეთოს, ხოლო უკუეთუ ერისკაცი – უზიარებელ-იქმნეს.“

როგორც ვხედავთ, უწმინდესი კანონები

ცალსახად კრძალავენ იუდეველებთან ერთად დღესასწაულობას. მეტიც, ისინი მათთან ურთიერთობასაც კი გამორიცხავენ.

კვლავ დაისმის კითხვა: მაინც რატომ არ სურთ ქრისტიანებს იუდეველებთან კავშირი? პასუხს მოციქულთა სწორ კონსტანტინეს ეპისტოლეში ვიპოვით, იმპერატორის თქმით: „მათ (იუდეველებმა. გ.მ) თავიანთი ხელები ურჯულო, ეწესო საქციელებით გაისვარეს, ამ უწმინდურებმა თავიანთი სულები ნებაყოფლობით დააბრმავეს... აწ არაფერი არ გვქონდეს საერთო იუდეველთა ყველაზე მტრულ ერთან, რამეთუ მხსნელისაგან სხვა გზა გვაქვს მიღებული. წინ უდევს ჩვენს უსამღვდელოეს მსახურებას შესაფერისი სარბიელიცა და რჯულიც. ყველაზე პატივცემულო ძმანო, ამის ერთსულოვნად მიმღებებმა საკუთარი თავი განვაშოროთ ამ სამარცხვინო სინდისისაგან. რადგან ნამდვილად ყველაზე უფრო უჯეროა, რომ ისინი იქადოდნენ, თითქოს მათი მოძღვრების გარეშე ამის დაცვა არ ძალგვიძს. რისი მართებულად ფიქრი შეუძლიათ ამის შემდეგ ამ გონებაცდომილთ, რომლებიც წარიმართებიან არათუ რაიმე აზრით, არამედ დაუცხრომელი აღძვრით, სადაც კი მიაქანებს მათ მათში ჩანერგილი სიშლეგე? ამიტომ ნაწილობრივად ვერ ხედავენ ჭეშმარიტებას, ისე რომ, ისინი მუდამ დიდწილად შემცდარნი არიან, სათანადო გამოსწორების ნაცვლად ერთსა და იმავე წელს მრავალგზის ზეიმობენ პასექს“ .

მოციქულთა სწორი კონსტანტინე სრულიად ნათლად წარმოგვიჩენს იმ მიზეზებს, რის გამოც მიუღებელია იუდეველებთან ერთად დღესასწაულობა. მოგეხსენებათ, დიდი იმპერატორი თავად უძღვებოდა კრებას და მისი ეს პათოსი იქ შეკრებილი წმინდა მამების შეხედულებებიდან გამომდინარეობს. ასე რომ, ეპისტოლის ამ კონკრეტულ ნაწილს აქვს იგივე კანონიკური ღირსება, რაც ზემოწარმოდგენილ უწმინდეს კანონებს. საკუთრივ ამ განჩინების გამოა, რომ აღდგომის თარიღის გამოსათვლელად დამატებითი წინაპირობით ვხელმძღვანელობთ – თუ გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდგომი სავსემთვარეობის შემდეგი კვირა დღე იუდეველთა პასექს დაემთხვა, აღდგომის თარიღი ავტომატურად ერთი კვირით გადაიწევა.



ამრიგად, აღდგომის დღესასწაულის კონკრეტულ დროს აღნიშვნას აქვს როგორც წმინდა მამათა ღვთივსულიერ სწავლებათა, ასევე მყარი კანონიკური საფუძვლები, რომლებიც მსოფლიო კრებათა ეპოქაში განისაზღვრა და დადგინდა. შესაბამისად, საეკლესიო სწავლებათა შუქზე ყოველგვარი კამათი უწმინდესი დღესასწაულის აღნიშვნის ირგვლივ საფუძველს მოკლებულია და ვალდებულნი ვართ, ყოვლადუცდომელი ეკლესიის სწავლებას დავემორჩილოთ.

*გიორგი მეტრეველი*

## სამეურნეო მორჩილება











მორჩილება ტაძარში









ი 17/291









## მორჩილად კურთხევა

2023 წლის 19 მარტს, ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულზე, სამთავროს დედათა მონასტრის სულიერმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) მორჩილად აკურთხა მხევალი ღვთისა მაია (გელიაშვილი).

# ႫႭႬႭႦႥႬႨႱ ႠႶႧႵႫႠႬႨ

ან მიგებაჲ თჳთოეულისა კითხვასა მიერ ღმრთისა შიშითა და სიხარულითა მოუმედგრებელად:

კითხვა: რაჲსათჳს მოსრულ-ხარ, ძმაო, შევრდომითა, წმიდასა ამასა მსხუერპლის-შესაწირავსა, და წმიდათა ამათ კრებულთა?
მიგება: მნებავს განშორებაჲ სოფლისაგან, პატიოსანო მამაო.

კითხვა: ნებითა შენითა ღირს-იქმნები ანგელოსებრივსა ამას სახესა, და წესსა გუნდთა მონაზონთასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

წინამძღუარმან: ხოლო რაჟამს აღირჩიეს კეთილი და სანატრელი ესე საქმეჲ, უკეთუ გნებავს განსრულებაჲ კეთილისა საქმისა, შრომითა, რუდუნებითა და ცჳვილითა განსრულდების.

კითხვა: ნებსით გონებითა შენითა მოხუალა წინაშე უფლისა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაადგრები მონასტერსა განუშორებელად, ვიდრე უკანასკნელად აღმომშჳნუადმდე?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაიცვა ქალწულებასა შენსა ყოვლითა გონიერებითა და სასოებითა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკუდილმდე ჰყოფა მორჩილებასა უფროსისასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

კითხვა: დაითმენა ყოველსა ჭირის-ხილუასა, იწროებასა, ზორიცთა მიერ აღძრულისა მზაკვარებასა, სასუფეველისათჳს ცათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.


მონასტრის სამი კანონი
1. არ განიკითხო!
2. რაჯამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, სთხოვე შენდობა და განშორდი.
3. ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ ძალგიძს — ნურაფერს ეტყვი.
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II